



„ყარაგანიანი“ ვეშტხე კარი.



4

# IV

ქ ა რ ი მ ე ო ტ ხ ე



# ყარაშანიანი



სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი სახლთ-ხუცის და სარ-  
დლის თავადი დავით ორბელიანისაგან. საამოთ სასმეველი.



(მესამე გამოცემა).

გამოცემული  
დავით ლაშარევიძისაგან.



ტფილისი


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა), ვლისაბედის ქუჩა, № 17.

1909.

## შინაარსი.

ყარამანისაგან და სხვათა სანადიროდ წასვლა, ამ ნადირობაში ყარამანისაგან ნადირის ნახვა და დაკარგვა.—ყარამანის საძებნელად წასვლა თორმეტ დღისაგან თვითო თვითო მხარეს.—მცირე რამ ყარამანის ამბავი. — ზორაბის მოსვლა, ყარამანის წინაშე თვისის ამბის მბობა და ყარამანისაგან მასზედ შემწეობა.—აქვანი-ნარისაგან ჯინისტნის სულთნების შეპყრობა და აქვანის განელმწიფება.—ყარამანისაგან წასვლა შაჰრჯანანში; აქვანი დღისაგან ზორაბის ცოლის მუშთარი-ბანოს გამოხსნა.—საჰმან ადამიანთ-მონათესავის მოსვლა ყარამანის წინაშე.—ყარამანისა და ანყაფუზ დღის ომი და ყარამანისაგან მისი დამორჩილება და ანყაფუზისაგან ერთგულად მსახურება.—ანყაფუზ დღისაგან ყარამანის აჰანგის-ციხეში მიყვანა მუშთარი-ბანოს გამოსახსნელად და აქვანი დღის სასიკვდილოდ.—ყარამანისაგან აჰანგის ციხეში მოსვლა, აქვანი დღის მოკვლა, მუშთარი-ბანოს და სხვათა პყრობილთა განთავისუფლება.—ყარამანისაგან ზღვის კუნძულში წასვლა და იმ ზღვიდამ მხეცის გამოსვლა. იმ მხეცის ჭიდილი ყარამანისაგან ხელების დაკვეთა და ეგრე ზღვაში შესვლა.—ყარამანისაგან ზღვაში ჩასვლა და საკვირველების ნახვა.—ყარამანისაგან ჯინისტანში მისვლა და ყარამანისაგან ოკიანეს ზღვიდამ ბერი დღის გამოყვანა.—საჰმანისაგან და ჯინისტნის ხალხთა აქვანი დღის შვილის ქაბუნარას ომი ძლიერი.—მცირე რამ ყარამანის ამბავი.—ქაბუნარას და საჰმანის ომი ძლიერი.—მცირე ამბავი შაჰპალი-შაჰისა და სარვიხურამანისა.—ყარამანის მოსვლა და ჯინისტნიდამ გულისტამ-ბალირამში ყარამანისაგან საჰმანის გაგზავნა გულისტანში თვისის მოსვლის მბობისათვის.—ყარამანისა და სარვიხურამანის წასასვლელად მომზადება.—ყარამანისა და სარვიხურამანისა და სხვათა ხელმწიფეთა და ფალავანთა, ჯართა და დევთა წასვლა ერანისაკენ.—ყარამანისაგან ყაფის მთაში მისვლა ფალანგსარ-ჯადოს სადგომთან.—ფალანგსარ-ჯადოსაგან სარვიხურამანისა, ყამარ-ბანოსი და მუშთარი-ბანოს მოპარვა და ყარამანისა მათ ქალთა საძებრათ წასვლა.—ყარამანისაგან ზღვის პირს მოსვლა და უშანგის ცოლის დილაფრუზის გამოხსნა ზღვის კაცებისაგან.—ყარამანისაგან ყათრანის ცოლის ყამარლუხის გამოხსნა და ფალანგსარ-ჯადოს შეპყრობა.—ყარამანისაგან სარვიხურამანისა და მუშთარი-ბანოს გამოხსნა ფალანგსარ-ჯადოს საპყრობილიდამ.—ყარამანისაგან ფალანგსარ-ჯადოს სიკვდილი და შემდეგ ხოსროვშირისა და გულჩინისა და სხვათა ფალავანთა თვალების ახილვა.—ყარამანისა თავის ჯართა ხელმწიფისა და ფალავანების ერთად შეყრა და სიხა-

რული.—ყარამანის მომზადება ქუი-ყაფის კარის ასაწევად და მრავალთა ჯარ-  
 თა შიგ გავლა.—ყაფის მთილამ აყრა ყარამანისა და გამგზავრება ერანისაკენ.  
 —საჰმანისაგან ბერი კაცისა და ყმაწვილის მოტაცება ჯარიდამ, ყარამანის  
 წინაშე მიყვანა.—ყარამანისაგან დემტი-ყიფჩაღის ქალაქში წასვლა.—ყარამა-  
 ნისა უშანგ-ბათის ქალაქს მისვლა უშანგის მოსახმარებლად. — ყარამანისაგან  
 მრავალთა ჯართა დაწყობა და გაგზავნა უშანგ-შაჰის მისაშველებლად.—რა-  
 ჰინდ დევის მოსვლა და მრავლის მარდუხორმების დახოცვა. — საჰმანისაგან  
 ყარამანთან წასვლა, გზასა ზედა ომი ჰაერიდამ და მრავლის ამოწყვეტა.—  
 ყარამანის ლაშქრის მოსვლა ჰაერიდამ წდევთა, ფერიათა და სხვათა მრავალთა  
 ჯართა უშანგის და ყარამანის წინაშე.—განკითხვა უშანგ ხელმწიფისაგან ქე-  
 თან-შაჰისი, სარჯანი-ჰინდისა და გურგან-ბელად-ქამანისა. — ოჰყალი ჯადოს  
 ძმის აღრაფ-ჯადოსაგან ხოსროვშირისა, ყათრანისა, გარდანქეშანისა და შაჰ-  
 პალის ქალების მოტაცება.—ყარამანისაგან მათდა საქებრათ წასვლა.—აღრაფ-  
 ჯადოს სიკვდილი და ფალანგებისა და ქალების გამოხსნა.



Handwritten notes in Georgian script, written diagonally on the right side of the page. The text includes:

საქმის აღწერა (Description of the matter)  
 საქმის აღწერა (Description of the matter)  
 საქმის აღწერა (Description of the matter)  
 საქმის აღწერა (Description of the matter)

# IV

კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

## ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი

ეს ყარამანისაგან ჯინისტანში მისვლა, ანუაფუს დევის დამორჩილება, აჭანგის ციხეში აქვანი-დევის სიკვდილი, იქიდან ტყვეების გამოხსნა და ყარამანისაგან ზღვაში ჩასვლა. აქავ ყარამანისაგან დილაფურუს დედოფლის ტყვეობიდან გამოხსნა, ყაფის მთაში მისვლა, ფალანგსარ-ჯადოს სიკვდილი. ერანელთა ფალევენების ჰერობილობიდან განთავისუფლება, უშანგბათში მისვლა უშანგ-ხელმწიფის შემწედ, ქუთან-შაჰასი და ყარამიჯინის დამორჩილება, ოჭყალი-ჯადოს და იმის ძმის აღრახ-ჯადოს სიკვდილი.

იმ ყამად რომ ყარამანს საჰმან ადამიანთ-მონათესავე უშანგ-შაჰას-თან გაეგზავნა, გარდანქეშანიც თან გაეყოლებინა და თავიანთ ამბავიც შეეტყობინებინა, იმათის მოსვლის გზის მანუკებულნი და უშანგის წიგნის მომლოდინენი იყვნენ, ლხინითა და ნადირობით დროს ატარებდნენ. დღეს ერთსა საჰმანი და გარდანქეშანი მოვიდნენ და ამადლებულის ხელმწიფის წიგნი ყარამანს მოართვეს. წიგნი გახსნეს, აღმოიკითხეს და მხიარულობას მიეცნენ—და მასინ ყარამანმა სოქვა ლექსი:

უსტარი მომესაამო გულისა მოსალხენია,

აწ პატრონისა ჩემისა უცხო ამბავი მსმენია.

იმ ყამათ ყოველთა ბადიირამში მეოფთა ერანელთ ფალავანთა ყარამანთან ვედრება სწადდათ რომ თავიანთ ქვეუანაში წასულიყვნენ. ამ ვედრებისათვის და უშანგ ხელმწიფის მოწერილ წიგნს ევეჯანი ყარამანს ჰირს შესტკერდნენ და თხოვნა ვერ გაებდნათ და ამბობდნენ გნახოთ საბუიჩანი წასვლისას რას ბრძანებსო. ყარამანმა მათ შეატყო და შაჰ-შაჰ-შაჰას მოახსენა: „ხელმწიფეო, ყამი არის ახლა, დასტურს ვითხოვთ

და წყალობას ვიპყით—რომ დაგვიტხოვოთ ჩვენ ჩვენს სამყოფს წარვი-  
დეთო“. რა ამით უარამანისაგან დათხოვნა შეიტყუეს უზომოდ განმხი-  
რულდნენ. იმ უამად რანიც დევნი, თუ ფერიანი, თუ ხელმწიფი და  
ხელმწიფის შვილები იუვენენ შევიდნენ. უარამანსა და შაჰბალი-ფერიას  
თაყვანი სცეს, ყოველნი თავ-თავის განწესებულს ალაგას დასდნენ, უ-  
არამანის ფალავნობას და ძაღვულობას აქებდნენ. უარამანს უურება დაუწ-  
ყეს და გულისა შინა ამბობდნენ: „ნეტარ რადის ბრძანებს წასვლასა რომ  
ჩვენც თან ვიასხლოთ და ვემსახუროთ“. უარამანმა მათ თავიანთ ალა-  
გას დასხდომა უბრძანა და სუფრის მოღება ბრძანა. მამინვე ბრძანებისა-  
მებრ აღსრულეს. სუფრა მოიღეს და ისრეთი მეჯლისი გაიმართა რომ  
მხახვათავის გასაკვირველი იყო. ამ შექცევასში უარამანმა მუნ მისდომთ  
ფალავანთ შემოხედა და უბრძანა: „სარდალნო და ფალავანნო! დაემზა-  
დებით, ხვალ სწავლირთ წარვიდეთ, რამდენსამე დღეს დავარ-ცხის  
გარეშემოს შექცევით ვინადირთ, მერმე შაჰბალ-შაჰას გამოვეთხოვოთ  
და ჩვენს ქვეყანაში უმანგ-ხელმწიფის სამსახურში წავიდეთ“. რა ფა-  
ლავანებმა ესე მოისმინეს, დიდს სიხარულს მიეცნენ. მერე მტირეს ხანს  
შემდეგ ნადიში გაიურა, ყოველნი თავ-თავის სადგომს წავიდნენ და  
იმავე დღეს ნადირობის თადარიგში შევიდნენ.


რა მეორე დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან  
სიბნელის ზეწარი დაიხა და ქვეყანა თვისის ბრწყინვალეობით მოჭვინა.  
სარდალნი და ფალავანნი იარაღით შეიკაზმნენ, ყოველნი მოვიდნენ და  
უარამანის კარვის წინ დადგნენ. საფი გასწივეს და უარამანის გამოს-  
ვლას ელოდნენ. უარამანი შიგნით კარავში ზე აღზდგა, ღვთის სახელი  
ახსენა, თვისის სამოცდა ოთხის იარაღით შეიჭურვა, თვისის კარავიდან  
გამოვიდა და შემოვარდას ამხედრდა. რა მუნ შეკრებილთა თვალი გა-  
დაავლო, ნახა რომ რაჭინდ-ხელმწიფე, სარვიხურამან, ყათრან, ბარამ-  
ჯიბილ, გარდანქეშან და სხვანი ყოველნი სარდალნი და დიდებულნი  
ცხენებზედ შემსხდარან და მზათ დგანან სახეირანის გამოსვლას ელიან.  
რა უარამანი მათ მიუახლოვდა, ერთმანერთს თავი დაუკრეს და მიესალმ-  
ნენ, საბუირანმა მათზედ გვიან გამოსვლისათვის ბოდიში მოითხოვა და  
მათაც მდაბლად მადლობა მოახსენეს. რა ამით ყოველთა უარამან სრულის  
იარაღით შეჭურვილი იხილეს საგანებელსა რასმეს მიეცნენ. რაჭინდ  
ხელმწიფე დიდად გაჭკვირდა, მივიდა და უარამანს ჰკითხა: „ჩემო თვა-  
ლის სინათლე, ქვეყანაზედ სახელოვნად გამოჩენილო, ყოვლად საკვი-  
ხარო და საქებურო შვილო უარამან, ნადირობაში და შექცევასში ეტ სა-  
მარი იარაღი რათ გინდაო?“ უარამანმა მოახსენა: „ჰე, ქვეყნის ხელმ-

წიფეთ! წუხელის მეტად შოთთან სიზმარი ვნახე, ვგონებ რომ კეთილი არ არის და იმისთვის ესრედ დავემზადეო“. ესე სთქვეს და აღმოსავლეთისაკენ წარვიდნენ სანადიროდ.

აქ ყარამანისა და სხვათა სანადიროდ წასვლა და ამ ნადირობაში ყარამანისაგან ნადირის ნახვა და დაკარგვა.

**რ**ა იმ უამად ყარამანი და სხვანი სანადიროდ ალაგს მივიდნენ, სამი დღე გულისტამის მთაში ნადირობაში შეექცნენ, მრავალი საკვირველი სანახავი იხილეს, მრავალი მხეცი და ნადირი მოკლეს და ამისთანის შექცევისათვის დიდს მხიარულობაში იყვნენ. მეხუთეს დღეს ყარამანს ნადირობაში ერთი ქურციკი (ჯეირანი) რამ შეეუარა და იგი ნადირი გაიგდო ერთს მხარეს და წაჭყვავა.

იმ უამათ სარგებურამან, ყათრან, ბარამჯიბილი და გარდანქეშანი ყარამანის სიახლოვეს ნადირობდნენ. იმ ნადირობაში იმათაც ნახეს რომ ყარამანის მხეცის წინ ერთი ჯეირანი წამოხლტა და ზედ ერთი ატლასის ჩული ეხურა, უცხოს მურასის თვალითა და მარგალიტით შემოკბილი იყო. ამ ჯეირანს თვალები აღმიანს უგვანდა. ყარამანი იმ ჯეირანს გამოუდგა, ჯეირანი ყარამანს და თავის მხეცს დილის ნიავსავით წინ მიუქროდა და მხეციც განრისხებული უკან მისდევდა. რა მათ ისრე მსწრათღი დევნა იხილეს, სარგებურამანი, ყათრანი და გარდანქეშანი მათ გამოუდგნენ; რამდენსაც ეცადნენ რომ ყარამანს და იმ ჯეირანს მოსწეოდნენ, ვერათრით დაეწივნენ. ვერცა თუ რამე გაიგეს, დაბრუნდნენ და კვალად ნადირობას შეექცნენ: რა რომ სადამოს უამი შეიქმნა სარდალნი და ფაღავანნი სრულებით ერთს ალაგს შემოიკრიბნენ; რა დრო გარდავიდა ყარამან აღარსაით მოვიდა, ფაღავანთა და ლაშქართა კითხულობა შექმნეს და ვერავისაგან სცნეს და ვერც არავინ მისი მნახავი იხილეს. ეს ამბავი რაჭინდს მოხსენდა და შაჰშალ-შაჰსას სარგებურამანმა უამბო და უგვლა ფაღავანმა: „ყარამანს ერთი უცხო ჯეირანი აღუჩნდა და მას გაჭყვავა. მე, ყათრან და გარდანქეშანი ბევრს ვეცადებით, მაგრამ ვერ მოვეწიენით“. იმ ლაშქარაკში იმ დამეს იქავ განისვენეს. რა დილა გათენდა, იგი ფაღავანი არცა თუ მასინ მოვიდა, სამ დღემდის ამათ იმ ადგილას დაჭყვეს, მაგრამ არცა თუ მასინ გამოჩნდა. ბადიირამის მთაში და ბარში ყოველს მხარეს მისის ამბავის სცნობლად ფეროები დაფანტეს, მაგრამ ვერა გაიგეს რა, ვერცა თუ მისსა მნახველს სულდგმულს შეხვდნენ. მისთვის დამაშვრალნი და დიდად შეწუხებულნი ყოველს მხრიდად





მოვიდნენ, ორმოცი დღეც შესრულდა რომ ყარამანისა ვერა სტენსრძ. ყველანი დიდად მწუხარებდნენ ყარამანისათვის. შემდეგ შაჰხალი-ფერიამ ზე აიხელა და თქვა: „ადმოსაფუტის მხრისაკენ ერთი ჯადო არის სახელად აშქალ ჯადო ეწოდების. ნუ თუ იმის ჯადოში ჩავარდათ?“ რა ესე სარგისურამანმა გაიგონა, ტირილი და გლოვა შექმნა და თქვა: „ვგონებ რომ მას იმის ცილი წაეკიდათ, ისეთი არავინ არის რომ წამოეყანოს და აშქალი ჯადო მიჩვენოსო? ან მოგვლა და ან ყარამანი დავისხნა და ან მეც მისის ხელისაგან მოგვადეო?“ რა ესე სთქვა მსწრაფლ ზე აღზღვა და წასასვლელად დაემზადა, მაგრამ თაღავანთა არ გაუშვეს და მოასხენეს: „ჰე ქვეყანაზედ ქებულს სარგისურამანო! ამდენი დევნი და ფერიანი აქ არიან, თქვენი მონანი შემოურდილნი, შენ რა გიჭირს რომ წახვიდეო? ხომ მოგეხსენებათ რომ ამ გვარი საქმე მრავალჯერ უქმნია საბოჲრანსაო“. ამ სიტყვის თქმაში იგი თორმეტი დევნი მოასხეს, ხელმწიფემა ბრძანა: „ამ ჯარის დაფანტვა არ შეიძლება, ნუ დაფანტავთო, მანამდის ესენი წავიდნენ და იმ თაღავანის ამბავი შეგვატყობინონო“. რა ესე ბრძანა, მაშინვე თითო დევი თითო მხარეს გაგზავნეს ყარამანის საძებნელად და მის ამბის შესატყობლად.

აქ ყარამანის საძებნელად წასვლა თორმეტის დევისაგან თვითო მხარეს.

**ყ**ველანი მსწრაფლ თითო მხარეს გაემართნენ, რანდ-ნარა დასაფუტისაკენ წავიდა, სითით-ნარა შუგავის მთისაკენ წავიდა, სამანდოვანი ბადაშხანის მხარეს, აქაქუნ დევი ბეჰბანის მთისაკენ, სეჭლან დევი ქუიბროლისაკენ, გემურ დევი ქუი-მარვისაკენ, ქეილან დევი ქუი-სანგნისტინისაკენ, საჭმან ადამიანთ მონათესავე, შაჰარი-ზარისაკენ, მნთუზ დევი ჯაზირეიყარისაკენ, სარყან დევი ბაჭრეი-მიუთის-ჯაზირისაკენ, თემურ დევი ჰაიათის სარისაკენ, ანთუზ დევი ჰეიათისაკენ, ყანუზ-დევი ქუი-ჭაბულისაკენ. უოველნი სხვა და სხვა მხარეს გაემგზავრნენ და უოველს ქვეყანაში ხმა გაატდეს, რომ უსწორთ თაღავანი ზუღუმ-მთიდამ გამოვიდა ხადრობაში და დაიკარგათ, ესოდენი ხანი ვერავის გაუგიათო რომლის მხრისაკენ წასულათ. ესე ამბავი უოველს მხარეს გამოცხადებულად შეიქმნა. გულისტამიირამში გამოცხადებით უთხრეს იქ, ზუღმათისტინის სულთნებმა და თაღავანთა სარდლებმა: „მაგისთვის ნუ შეიჭირვებთ ყარამანი ისეთი საშინელი სახის მქონემელია რომ ვერც აშქალი ჯადო და ვერც სხვა ვინმე დააკლებს რასმესაო“, ესე თქვეს და იმ თორმეტი დევს

მწუხარებით მოკრიდნენ, იმ თორმეტ დეგთ იგი აკემარე და სხვაც მრავალი ჩვეულები მოკვლათ და ფალავნისა ვერა შეეტუთ რა; ამ დევთაგან ათერთმეტნი დეგნი მოვიდნენ, მაგრამ საჭმან-ადამიანთ-მონათესავე არ მოვიდა. რა ამ დევების მოსვლა და ყარამანის უცნობლობა მოისმინა. საწვიხურამანმა, იმედ კარდაწვევტილი ძლიერ შეწუხდა და ენება რომ ყარამანის გულისათვის ხანჯლით თავი მოეკლა, მაგრამ მუნ შუთუთა არ გაუშვეს სასიკვდილოთ, მრავალი იმედიანი სიტყვები მოახსენეს და მისი მწუხარე გული იმით დააწუნარეს. შემდეგ შაჰმადი-ფერიამ თვისნი მეტნიერნი, მუნჯობნი და მერამლენი მოიწვია და რამდის ურა უბრძანა. მათ რამელი ჭყარეს მტირესა ხანსა და დაფიქრდნენ, მოახსენეს: „დიდნო სულთანნო, ნუ შესწუხდებით, იგი ფალავანი ამ ორს წელს შემდეგ ბალირამში მოვაო. ამ ორი წლის განმავლობაში, თქვენ იმას ვერ ნახვით, მხოლოდ საჭმანი კი ნახავსო. გნებავთ ეს თარიღი დასწერეთ, თუ ეს ასე არ მოხდეს და ჩვენ გავმტუენდეთ, ჩვენი თავი მუხალგათ მოგვირთმევიანო, (თავები დაგვაურვიეთ)“. ამათგან რა ესრეთი იმედიანი სიტყვები მოისმინეს, დიდსა მხიარულებას მიეცნენ. და მეტადვე საჭმანის მოუსვლელობისათვის იმედი მიეცათ და იტყოდნენ: „საჭმან თუ საბოყირანს არ შეჭყროდა და მისსა სამსახურსა შინა არ იყოს, აქამდისინ დაბრუნდებოდა“.

### აქ ეს ამბავი დაუტევით და მცირე რამ ყარამანისა მოვიხსენიოთ.

იმ ჟამათ რომ ყარამანი ფალავნებს გაეყარა, ნადირობაში ჯეირანს გამოკვიდა, ერთსა ალაგას ახლეს მოეწია და თვისი დეგის ქამანი შესტორცნა, და იგი ჯეირანი ასეთი შეხტა რომ მის საგდებულსა შინა გაძვრა, იმ დღეს საღამომდისინ სდივა და ვერა გააწეორა, მრავალი უანგარიშო მთა და ბარი გადაარბეინა, მაგრამ ვერ დაიჭირა. რა საღამოს ჟამი შეიქმნა თვისის მხეცის სადავე მოსწივა და ერთსა ალაგას დადგა და ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო და იგი ჯეირანი ვერსად ნახა, მობრუნდა ერთის მთის ძირს, ნახა რომ მშვენიერი წყარო გამოდიოდა. ყარამანს ძლიერ მოეწონა და იმის გარემოს უცხო მწვანოვანს და უვავილოვანს ადგილას გარდახდა, ფალავანმა თვისი მხეცი ბალახსა მიუშვა და თვითონ ცეცხლი დაანთო, ისრით ნადირი მოკლა და მტირესა ხანსა შეექცა, შემდგომ თვისი იარაღი თავით დაიდგა და მტირესა მოსვენებას მიეცა. რა თვისმა მხეცმა იხილა რომ ყარამანმა დაიძინა,

ძიგნას თავი დაანება და თავსა დაადგა და უქეშიკა. როდესაც შუალამე შეიქმნა იმ მთის წვეკრიდამ ერთი საშინელი ხმა მოესმა ისრე რომ იმ მთამ სრულიად ზანზარი დაიწყო, მაგრამ უკამანი დაღლილობისაგან ასეთს მოსვენებას მისცემოდა რომ იმისთანა საშინელმა ხმამ ვერ გამოადგოდა. როდესაც ეს ხმა მხეცმა გაიგონა უური დაუგდო, მეორეთ უფრო უნამეტნავესი ხმა მოესმა, თურმე ახლო მოსულიყო. მაგრამ თვალვანმა იგი ხმაც ვერ გაიგონა. რა უკამანის საჯდომმა ექვს თეხვანმა რაშმა, უკამანის გამოუღვიძლობა ნახა, ტოტის ცემა შექქმნა და ერთი ასეთი შეჭვივირა რომ იმ მთამა და მინდორმა სრულიად ზანზარი დაიწყო. იმ ხმაზედ უკამანი ზე წარმოიჭრა და ბასრს ხმაღს ხელი მოვიღო და ორსავე მხარეს თვალი მოავლო, მაგრამ ვერა რა იხილა, შემდეგ თავის შეშთაობას ურება დაუწყო და გაშტერდა, იფიქრა უკამანმა ხეში შეშთაობარი უბრალოდ არ გამომაღვიძებდა! ნახა რომ არა იყო. მრისხანის თვალით შეხედა თვისსა შეშთაობარსა და ესე სთქვა: „რათ გამომაღვიძე? არ გამოიშვებ რომ მცირე ხანი მოვისვენო“. რა ესე სთქვა დაწვა კიდევ და დაიძინა. რა მცირე ხანი გავიდა მხეცმა ნახა რომ უფრო ახლოს მოვიდა ის საზარელი ხმა, მხეცმაც აქედამ ერთი საშინელი ხმა შესძახა და ტოტს ცემა დაუწყო, ასე რიკათ სცემდა ტოტსა რომ იმის ტოტის ცემას მიწა ჭეკრში აჭეონდა. უკამანმა ამ თავის საჯდომის თეხის ხმაზედ გამოეღვიძა და მსწრაფლად ზეზე წარმოდგა, მცირესა ხანსა მთარ-მოთარა და ვერა რა იხილა. განრისხებული თვისსა მხეცს მოუხლტა და თვისის ოთხმოცდა ოთხის ლიტრიანის მათხანით გალახა და უთხრა: „როდესაც არა არის რა, რა გადრიალებსო? ძალიან დატუქსა და უთხრა: „თუ კიდევ გამომაღვიძებ დმურთსა ვიფიცავ, უშენთ რაც უნდა დამემართოს უსიკვდილოთ არ გაგიშვებ“, ესე სთქვა და კვლად დაიძინა. რა იგი ძიღს და მოსვენებას მიეცა, იმ საზარელ ხმის მქონებულმა უცხო მხეცმა ერთი ისრის მახილზედ მოასწივა. რა უკამანის საჯდომმა შეშთაობარმა თვალი დააკვირვა, ნახა რომ იმ მთიდან ერთი საშინელი და საზარელ რამ ჩამოვიდა, მისი ექვსნი თვალინი დიდორნს საკირის ცეცხლს ემსგავსებოდა და მრისხანებით თვალებს აბრიალებდა და სადაც უკამანს ეძინა მისკენ მსწრაფად მივიდოდა. რა შეშთაობარმა ესე იხილა ძლიერ მეწუხდა, მაგრამ უკამანის გამოღვიძებისაგან შეშინდა და მისთვის ვეღარ დაიჭიხვინა და ვეღარც ტოტს ცემა დაუწყო, მცირესა ხანსა გაშტერებით ურება დაუწყო, შემდეგ მოვიდა და თავს დაადგა, იფიქრა თუ გამოვაღვიძო, ვაი თუ კიდევ უჩინო შეიქმნასო და თუ არ გამოვაღვიძო, უთუოდ ეს მხეცი მძინარეს მოჭკლავს უკამანსაო.

ესოდენი ჭირნახული და სახელი წახუნდება. რა ესეთსა განზრახვას იყო, ფაღვანის გამოდგომება ვერ გაბოდა და იგიცა სიხლოვეს მოვიდა, შეშფაობარი მსწრაფელ გარდახლტა კუდი შეიჭანდრაკა და მას მხედს მიმართა მრისხანის გულით შეუტივა, რა მტირე ხანი გამოხდა იმ მხედ-მაც იგრძნო რომ თვისთან მიდის საბრძოლველად, მანცა აქეთ გამოს-წია. უკრამანს შეშფაობრის განრისხებაზედ გამოეღვიძა, რა მარჯვნივ მიიხედა ნახა რომ ერთი საშინელი ეჭვისის სპილეს ოდენა ნადირი მის-კენ მოიწევს, ისეთია რომ თავი დიდს საუდრის გუმბათს მიუგავს, ეჭვისი თვალი ასხია, თვითთ თვალი თვითთს ადგზნებულს ქურახანას ემსგავ-სება, ეჭვისი ტოტი ება, ღომის ტოტებს ემგზავსებოდა, ასეთის ფშვე-ნით მოვიდოდა რომ მისის ჰირის ორთქლი ცეცხლებერ დამეს ანათებდა, განრისხებულმან შემოუტივა შეშფაობარს, რა შეშფაობარმა მისგან შემო-ტევა იგრძნო, იმანც მამაცურად შეუტივა. რა უკრამანმა ამ ორთა სა-შინელ მხედთაგან ერთმანეთის შეტევა იხილა, მრისხანედ გულმა ძგე-რა დაუწყო, ასე რომ მისის გულის ძგერის ხმა შორად ისმოდა, თვა-ლები თვისის მრისხანებისგან ცეცხლს დამსგავსა და მაშინვე თვისსა ბასრსა ხმაღს ხელი მოავლო და ერთი ასეთი შესძახა რომ იმ მთებმა სრულიად რეევა დაიწვეს. ასე რომ რაც იმ მთაში მყოფნი ნადირნი იფუ-ნენ სულ სხვა და სხვა მხარეს გარდაცვიდნენ. შემდეგ უკრამანმა თვის-სა შეშფაობარს უთხრა: „შენ მაგისი მოპირდაპირე არა ხარო, მე მო-მანებეო“. რა ესე უთხრა, მსწრაფელ საშინელს მხედს მიმართა. რა იმ მხედმა უკრამანის ხმა გაიკონა, იმ მხედმაც ერთი საშინლათ შებდავლა და, მიწასა და ქვას ბრღვნა დაუწყო და ჭაკში ურა დაუწყო, მერე მი-სწვდა და ერთი საშინელი უზარმაზარი ხე მოგლეჯა ძირიანათ და უ-კრამანს მოუხლტა: დასაკრავად მოუქნია, უკრამანმა ჯანი-ჯანიბის ფარი თავსა იფარა და თვისი თავი დმერთსა მიანლო და დადგა. მან მხედმან ესრედ დაჭკრა რომ უკრამანს ეგონა ეს მთები თავზედ დამექცაო, მაგ-რამ იმ დაკრულმან ვერა ავნო რა, იმ საშინელმა მხედმა რა უკრამანი ცოცხალი დაინახა განრისხებული შეახლტა, ოთხივე თათი უკრამანს შე-მოხვია და ასეთი მოუჭირა რომ სული შეუგუბა, ასე ფიცხათ მოექცა იგი მხედი რომ უკრამანს იარაღი ადარა ახმარებინა, თავის მოგლეჯას უპირებდა. ამასზედ უკრამანი დიდად აჩქარდა, ცაღის ხელით წვეკრსა სტარა და ცაღის ხელით ერთი ასეთი მუშტი დაჭკრა რომ თავის ტვი-ნი და ძვალი ერთმანერთში აურია, მან მხედმან სიმწარისგან ასეთი დაჭკრა კუდი მიწასა, რომ მიწა სრულებით შეიძრა, დაიდრიალს და მთა-სავით ძირს დაეცა; რასაც ხელი მოავლო ქვასა თუ ხესა ჭაკში ურა დაუწ-

ყოველი საშინელი გმინვა კვალად ამოუშვა და სული ხორცთაგან დატყდა.

როდესაც უარამანმა მკვლარი იხილა ძლიერ გაჭკვირდა და ღმერთს მადლობა შესწირა, შემდეგ მივიდა თავის საჯდომ ექვს ფეხოვანს გარდაეხვია, გალახვის მაგიერათ კეთილი საუბრით ბოდიში მოსთხოვა, შემდეგ მივიდა და თვალელებში აკრცა და კვალად ღმერთს მადლობა შესწირა, ამისთანა ერთგული რამის შოვნისათვის. იმ ღამეს მუნ განისვენა. რა დღეს გათენდა ფალავანმა იმ მხეცს ოთხი ტოტი მოსჭრა და ოთხი კბილი დაძრო და შინათკენ წასასვლელად დაემზადა და ფიქრობდა: „არ ვიცი რომელ გზაზედ მოველ ამ ალაგასა და ან რომელ მხრისაკენ წავიდე ბადიანამში?“

ამ განძახებაში და საგონებელში რომ იყო, იგი ჯეირანი თვალთა წინ აღმოუჩნდა. რა უარამანმა იგი ჯეირანი დაინახა, იფიქრა „ამ ჯეირანში ერთი რამ არის რომ არ მეშვება, ჩემს სიზმარსაც ეტეობა რომ ჩემის საუფარლისაგან რამდენსამე ხანს მოშორებული უნდა შევიქმნა, აჭა ვგონებ ეს არის ამ მიზეზით სრულდება“. რა ესე სიტუვა დაასრულა, კვალად ფიქრსა მიეცა და იტყოდა გულსა თვისსა: „რადგანაც ეს ჯეირანი არ მეშვება, არც მე გაუშვებო, ანუ თავსა ჩემსა მოგაკლავ და ანუ ამის მართლს და ტყუილს შევიტეობო“. ახსენა მადლი ღმერთი, თვისი ქამანი მკლავსა გარდიგდო, თვისსა მხეცსა ჰმხედრდა და გამოუდგა. რა ჯეირანმა ფალავანი შემკვლარი დაინახა, აღმოსავლეთის მხრისაკენ გაემართა, ისე მიდიოდა როგორც დილის ნიავი, უარამანიც უკან გამოუდგა მცირესა ხანსა მოსწივსა და თვალი დააკვირვა, შემთავისის სადავე მოსწია და დადგა, ჯეირანმაც უარამანს უურება დაუწყო. ამ ჯეირანს თვალთაგან ცრემლი სდიოდა. რა მისი იმ გვარი ცრემლთა დენა უარამანმა დაინახა, დიდსა საკვირველებს მიეცა და კვალადცა შეუტოვა, იგიცა გაექცა, უარამანს დილის ნიავისავით წინ მიუქროდა მზის ჩასვლამდისინ, ფალავანმა იმ ჯეირანსა სდივა, რა მზე ჩახდა სადავეს ასწივა თვალი მოავლო, ხანა რომ ერთს ასეთსა მინდორსა გასულიყო რომ მისს სიგძესა და განსა თვალი ვერ გარდასწვდებოდა, მაგრამ იგი მინდორი უცხო სამეოფი იყო, უცხო ჭავა წყლიანი, მწვანოვანი სურნელებისაგან მრავალი უცხოდ ფერად-ფერადი ვრავილი იდგა, ასე რომ იმ სურნელებისაგან კაცი უცნობო შეიქმნებოდა, ღმერთსა მადლობა მისცა თვისი დამშვრალობა იმ საამო ალაგის ხილვით დაავიწყდა, კვალად თვალი მოაწრა, იხილა რომ იმ პატრონისსა მინდორსა შინა ერთი უცხო ხე იდგა; მივიდა უარამან და იმ ხის ძირს გარდახდა, იგი ჯეირანიც უჩინო იქმნა, მცირესა ხანსა ფალავანმა მშვილდი-ისარი

იპყრა, მინდორსა მას გავიდა ერთი ნადირი მოკლას, მის ხის ძირს მოიღო ცუცხლი ანთო, შეწვა და შეექცა, მაგთამ იმ ჯეირნის საგონებელსა და ფიქრსა იყო:— „ნახე ამ ჯეირნის გამოყოფით რა სასჯელში და განსაცდელში მივეციო, რომ ეს ოდენი ხანია ჩემს საუფარულს და უსწორო ფალავანთა მოუშორდი, იგინი ჩემის ამ გვარად დაკარგვისათვის რა მწუხარებაში იქმნებიან, ვერც არა ამისი შევიტყე რამეო და ვერც შევიპყრა“. რა ესე სიტყვა დასრულა დაწვა და დაიძინა.


რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან თვისი ბრწყინვალეობა ქვეყანას მოჰფინა, ყარამანს გამოეღვიძა, ზე ადგა, ხელ პირი დაიბანა, თავის შემოქმედს მადლი შესწირა, თავის ექვს ფესოვანს მხეცსა ამხედრდა და მას მინდორსა თვალი გადაავლო, ნახა რომ იგი ჯეირანი იმ მინდორის საშუალ ალაგის პირის-პირ იდგა და ყარამანს უუერებდა, ყარამანმა თავსა თვისსა უთხრა: „თაო ჩემო, თუ ამ ჯეირანზე ხელი აიღო გაბრუნდე და იქავ დავარ-ყადას მიხვიდე, ფალავანნი და დიდებულნი რას მეტყვიან და ან რომ მკითხონ ესე ოდენი ხანი ჯეირანს სდივე იგი რა უყავო! მე მათ რა პასუხი მივცე? თუ უთხრასამი დდე ვზდივე ვერ მოგვეწიე ბეზარი შევიქმენ და გამოვბრუნდი, მეტყვიან ფალავან სააბუირანის დავასა სწევო და ერთის ჯეირანისაგან ბეზარი შექმნილა, ვერ მოუკლავსო და ცარიელი შემოქცეულა, ხომ ეს ხმა უფელგან გამოცხადდება და მე მათთან ადარ შედგომება და ვერც ამ სახელს და სიტყვებულს გაუძლებო. მამ მმართებს ამ სახელის დამცირებას და ჩემის საუფარულისა და უსწორო ფალავანთაგან საუვედურს, ამ ჯეირნის გზაზედ ან მოგკდე და ან მისი სწორე რამ შევიტყო, თუ არა და ეგების შეწევნითა ღვთისათა ცოცხალი შევიპყრა და მათ ფალავანთა თანა მისი უცნობო არ მივიდე. ამ ფიქრის შემდეგ, მხეცს ქუსლი ჰკრა და იმავე ჯეირანს გამოეღვა იგიც კვალად აღმოსავლეთისაკენ გაიქცა. ყარამანი რა შეშფაობარს შეასვენებდა იგი ჯეირანიც დადგებოდა, რა შეუტედა იგიც გაექცეოდა. ამ ყოფით ჩვიდმეტი დდე და დამე დაუსვენებლოდ სდივა. მეფარამეტეს დდეს ყარამანი მეტის მრისხანებით სისხლით სავსე თასს დაემგზავსა და სოქვა: „რაც უნდა დამემართოს ამის მოუკლავს არ გაუშეებო“. მაშინვე ქარქაშთაგან ერთი ისარი აღმოახდინა, მშვილდსა დაუსისწორა და მისს სიკვდილსა ღამობდა. რა მან ჯეირანმა ყარამანის ხელში მშვილდ-ისარი დაინახა, თვალის დახამხამების უმაღ უჩინო შეიქმნა. რა ყარამანმა მისი უჩინოდ შექმნა იხილა დიდსა საგონებელსა ჩავარდა და დიდად გატყუებულმან ოთხსავე მხარეს უუერება დაიწყო. ერთის მხრიდამ საშინელი ხმა რამ მოვიდა, ისრეთი

ხმა იყო რამე მთავარი და ბარბა ზრიალი დაიწყო. უარმანმა სთქვა: „ეს რა ხმა არის? მიიხედა ნახა რამე ერთი საშინელი ვეშაპი იყო, დიდსა მთასა ჰტავდა, თვალები ქურახანის სახმილს უგვანდა, პირი კლდისაგან გამოკვეთილს ქვაბს უგვანდა, მნახვთათვის საზარლად კმა იყო, პირთაგან ცუცხლსა აფრქვევდა და უარმანისაკენ მოვიდოდა. თაღვანმა მსწრაფლად შვილდ-ისარი მოიმარჯვა, თვისსა მხედსა ქუსლი ჰკრა და მას ვეშაპს შეუტოვა, ესრეთ სთქვა: „ღვთის ძალით ამ ვეშაპს ერთის ისრის კვრით შუა გაკვეთო. მხედისაგან გარდახტა და ესრედ შესძახა რამე იმ მთავარს და ველმა რეკვა დაიწყო. რა მან ვეშაპმან ისრის ეჭვარება და ისეთი მრისხანედ შეტეგება იხილა, იგი მსწრაფლ უჩინო შეიქმნა. უარმანი ამ საქმეზედ დიდად გაოცებული იყო და ოთხსავე მხარეს ურუბდა დაიწყო; ვეშაპი გელარსად იხილა, მივიდა და ერთ ხის ძირს გარდახდა, რაში ბაღასსა მიუშვა. ფარი თავ ქვეშ დაიდგა, მიწვა და ვეშაპის საგონებელსა შინა დაეძინა. ამ ძილში ფების ხმა მიესმა.“

აქ ზორაბის მოსვლა უარმანის წინაშე თვისის ამბის მბობისათვის და უარმანისაგან მასზედ შეძწეობა.

**მ**ასვე წამსა უარმანს გამოეღვიძა, ნახა რამე პირის-პირ ერთი ვიღაც უღვას, ორმოცდა ცამეტის მწერთის სიმაღლის მქონებული უცხოდ ოქროს ქსოვილით მოსილი უმარწვილი კაცი იყო—და ისრეთი მშვენბერი სახე ჰქონდა რამე უარმან მისსა მშვენბერებას დიდად გაჰკვირდა და დურთს მადლობა მისცა, ესრეთი მშვენბერი ადამიანი ვითარ დაგობადებიაო. რა თვალს დააკვირვა, ნახა რამე იმ უმარწვილსა ოთხი მწვანე ფრთა ჰქონდა და ორსავე თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი სდიოდა. რა უარმანის სიანჭოფეს მოახწივა, დაემხო, პირი მიწას დასდგა და უარმანს ფეხთ მოეხვია; უარმანმა მასშინვე თვისის ხელით მიწიდგან ადაუნა ხელი მოჰკიდა, გვერდით დაიუნა და უთხრა: „უმარწვილო რათა სტირი ეგრე? შენი ამბავი უოველივე დაწვრილებით მანუწეე, ძალა ვისგან დაგდგომია, ანუ უსამართლობა ვისგან გჭირსო. უოველივე მისბე და ძალითა ღვთისათა შემოიკლან რამე ისინი და მათი სახსენებელი ქვეყნიდამ ადუხოცოყო.“

რა იმ უმარწვილმა უარმანისაგან ესრეთი იმედიანი და თვისზედ მოწყალების ხმა გაიგონა, იმედი მიეცა, თავი დაჰკიდა და ღვიძლთაგან ისრეთი სუფთქმადმოუტევა რამე მსმენელთათვის დიდად შესაბრაღისი იქმნებოდა, თავი დაიდო და მოახსენა: „საბუირანო! თუ წყალობას მო-





იღებთ და ისურვებთ სმენათ, ჩემს დაღმებულს და გაჭირვებულს ამბავს უოკუელსავე მოგახსენებ და იმედიცა მაქვს რომ შემწობას მიბოძებთ“.

ჯინისტინის ქვეყანაში შვიდნი სულთანნი არიან, თვითთ თვითთ ასი ათასის ჯანზედ ბრძანების გამტემნი, ერთსა სახელად სექლან-შაჰაჰ ქვეყან, სავზაბარის ხელმწიფე არის. მეორეს მუზაჰარ-შაჰაჰ ქვეყან, საჰაბის ქვეყნის ხელმწიფე არის. მესამესა მუჰჯან-შაჰაჰ ქვეყან, ავაჯ-მუთარის ქვეყნის ხელმწიფეს უხმობენ. მეოთხესა მახლან-შაჰაჰ ქვეყან, სურბათის ქვეყნის ხელმწიფეთ ბრძანებთ. მეხუთესა ნაზათ-შაჰაჰს უხმობენ. ზარბათის ქვეყნის ხელმწიფეთ. მეექვსეს ჰაჯი-ზაამს უხმობენ, ბეიყარარის ხელმწიფე არის—და მეშვიდეს შაჰრ-ჯანან ქვეყან, იბიბყარის ხელმწიფე არის. საბუიარანო! უოკუელთაგან შესაბრადისო სექლან-შაჰის შვილი ვარ, სახელად ზარბა მეწოდება, მე ამას მოგახსენებ რომ, ეს შვიდნი ხელმწიფენი მამის ჩემის ძმები არიან, და ჰაჰათი-ჯანის შვილები არიან. შავი და ბნელი იგი დღე რომ მე დავიბადე ქვეყანაზედ ბიძაჩემს სურბათის ხელმწიფეს ერთი ქალი დაებადა სახელად დაარქო მუშთარ-ბანო, რადენსამე ხნის შემდეგ, ეს შვიდნი ხელმწიფენი სავზაბარში ერთად შეიყარნენ და იგი ქალი ჩემზედ დანიშნეს. რა ფეხზედ დავლა შევიძელეთ და ცოტა მოვიზარდენით, ორნივე ერთად სასწავლებელში მიგვცეს, თოთხმეტი წელიწადი სასწავლებელში გახლდით ერთად და ერთმანერთისა ისეთი სიყვარული გვქონდა, ისეთნაირად გვიყვარდა ერთმანერთი რომ რასაც დღეს ერთმანერთი არ გვიანხა ასე გვიგონებოდა რომ ის დღე ჩვენთვის არ გათენებულყო, და სიკვდილს მივეწურებოდით. საბუიარანო, რა ჩვენი ესეთი სიყვარული გაიგონეს და ნახეს, შვიდნივე ხელმწიფენი სავზაბარში შეიყარნენ, ჩემის ქორწილის მზადება დაიწყეს და მოიხმეს მეცნიერებით სრულნი მდივანნი და დაწერეს რაჟამნი მუშათ-მეზავებულის მუღნითა და გაგზავნეს უოკუელგან ჩავარნი, საცა თავიანთ საბრძანებელში მუგენი და წარჩინებულნი ავალევანნი და დიდებულნი იყვნენ, თუ ქალნი თუ ვაჟნი უოკუელი მოიწვიეს. სამ თვესა სავზაბარში ღზინსა და შექტევას იყვნენ. რადა გრძლათ მოგახსენო, იმ ჟამათ ჩემის გულისა და გონების დამწველი და დამდაგველი მუშთარ-ბანოს სახელი ჯინისტინში და ფერიისტინში უზომოდ განთქმულიყო, ასე რომ მუშთარ-ბანოს სიღამაზე და სიმშვენეიერე მზის ბრწყინვალეებას მიემგზავსებოდა; რომელნიც დევნი, ფერანნი თუ ჯინნი ნახავდნენ მისსა სიმშვენეიერეზედ გაჰკვირდებოდნენ! სრულიად ჯინისტინის შვიდნი მუგენი და დიდიკაცის შვილები მისნი არშოფნი შეიქმნენ, მაგრამ უოკუელი ცუდად მსგვრადობდნენ: ვერცა ერთნი მუშთარის იშოვიდნენ და ვერცა თუ ძალით გაუძლებდნენ მას.

იმ ჯინისტნის ქვეყნის სიახლოვეს ერთი ციხე იყო, უაფის მთის მხრისაკენ, სახელად ქუი-ბაბუდს უწოდებენ რომელიც მზის აღმოსავლეთისაკენ იყო. იმ ციხის გარდა შვიდი ციხე კიდევ სხვა არის, ყოველივე დევებით სავსეა, ამ ციხეებსა და უაფის მთას შიგან კიდევ ერთი სხვა ციხეა, იმ ციხეში ერთი დევია სახელად აქვან-ნარა დევს უხმობენ, იმ ქვეყანას იგი ჰატონობს, ასოცი მწერთა სიმაღლე აქვს, საში ათასის წლის არის, თავი სწილს მიუკავს, მკლავები ღამის ტოტებსა, ფეხები ვეფხვსა, იმ ქვეყნის ხელმწიფე იგი არის. საბუიჩანო, მტხე-ნიან კიდევაც ესოდენის თქვენის შეწუხებისათვის და ამდენის მოხსენებისათვის, მაგრამ რაჟქნა მოუნელებელი ცეცხლი მწვავს.

ფალეგანმა უთხრა: „ძმაო ზორაბო! ყოველივე უკლებლად ბრძანეთ, ნუთუ ძალითა ღვთისათა შეგეწიო რამეს“.

მამინ კვალად გააკრძელა ზორაბმა თავის საზივრის მოთხრობა.

— „საბუიჩანო, ერთ ღრეში გივი-მარის ხელმწიფეს დევები რომ დეეტუსალებინა, იმათ დაჭერაში ის ერთი დევი გაჭტეოდა, თქვენ რომ გივი-მარის ხელმწიფის გაკეთებულ სანურობილე შემუსრეთ და იქილამ თორმეტი ხვადი დევი რომ გამოასხით ის წყეული აქვანიც მათგანი არის, გივი-მარის ხელმწიფემ იგინი რომ შეიბურა, მამინ ის გაქტა და ოკიანეს ზღვაში ჩავიდა და იქ დაიმაჯა. გივი-მარის ხელმწიფე ბევრს ეცადა რომ იგი ბილწი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ვერა განწერა და ვერც ხელში ჩაიგდო. ვიდრემდის გივი-მარისი არ მოკვდა, მანამდის არავინ არ იცოდა თუ სად სცხოვრობდა იგი წყეული, რაკი გივი-მარის ხელმწიფე მოკვდა, მას შემდეგ გამოჩნდა და მთელი ჯინისტანი და უაფის მთა სულ შეაძრწუნა, ასე რომ რისხვა ღვთისა მათ ზედან მოასწივა, რა ეს წყეული აქვანი უაფის მთაში და სხვა სახელმწიფოებში მივიდა, მისის შიშისაგან ყოველნი გარდაიხვეწნენ და გაიქტნენ“.

„იმ წყეულ აქვანის ჩემი მუშთარი-ბანოს ქება და სიმშენიერე სმენიდა. რა მისი ქება სმენიდა, მამინვე ეშის ტროფალი გულის გასწონიდა. შემდეგ რა ესეც გაეგო რომ საში თვეა რაც სავზაბარში ჯინისტნის ხელმწიფეებს ზორაბისა და მუშთარი-ბანოს ქორწილის სამზადისი აქვსთო და ამ სამის დღის შემდეგ მუშთარი ზორაბისა იქმნებო. რა ესე გაეგონა სიცოცხლისაგან უიბელო შექმნილიყო, მამინვე ბრძანება გაეცა რომ, ორასი ათასი ცეცხლის მთრქვეველნი დევნი შემოეკრიბნათ და მსწრაფის სიარულით სავზაბარისაკენ წამოსულიყვნენ, ჩვენის მხრით უცოდინრობით, აქვან-ნარა მოადგა სავზაბარს. ჩემი ბიძანი ხელმწიფენი და ჯინისტნის დიდებულნი კი საში თვე ღზინსა და შეჭტევაში იმყოფებოდნენ.“

ჯინისტნის ბანოვანნი (ქაღნი), შაჰრ-ჯანანში ერთს უცხოთ აგებულს ბროლის სასახლეში შემოიკრიბნენ და მუშთარო-ბანო თავის შესაფერად უცხოთ ძვირფასის სამოსლით და სამკაულით შეამკეს, მრავალი სუნნი-ლი უკმის და უცხო სათამაშოები მოიღეს, ამ საკვირველის ქცევა-ყოფით და დიდებით მუშთარი ერთს კოშკში შეიყვანეს, მეც იქ მიმელოდნენ მრავალნი, ძვირფასის სამკაულით დართულნი ქაღნი და მუშთარის-თან შეექცეოდნენ, ჩემდა საუბედუროდ გათენებულს დღესა. იმ ჟამად მე მამისა ჩემისა სასახლეში ღიბისა და ნადიმობაში შევექცეოდი“.

„რა სადამოს ჟამი შეიქმნა, დიდებულთა მუშთარი-ბანოსთან მიმი-ყვანეს. რა იმ კოშკის კარზედ მივედი, მსახურნი და მასთან მეოთხი ბანოვანნი გამოგვეკებნენ, მრავალი ჰატოოსანნი თვალი და მარგალიტი გადამაყარეს. რაღა გრძლად მოგახსენო, ზემოთ მოხსენებულნი ჯინისტნის სახელმწიფოს ერნი ყოველნი იქ მომეკებნენ დიდის დიდებით“.

„იმ ჟამად ყოვლის უგრძობლად შაჰრ-ჯანანის თავზედ ერთი ყვი-რილი და ხმიანობა შეიქმნა, ისეთი ხმიანობა, რომ მეორედ მოსვლას ემ-გზავსებოდა, დევების ხმამ ქვეყანა მოიცვა, ასე რომ ყურთა სმენა აღარ იყო, მტირე ხნის შემდეგ აქვან-ნარას ხმაც გამოცხადებულნი შეიქმნა. რა ესეთი ხმა შევიტყუეთ, ჯინისტნის სულთნები და ყოველნი იქ მეოთხი უცხოთ შევიქმენით. იმ ჟამათ შაჰრ-ჯანანში მეოთხს ხალხს მისიერ შიში-საგან მტნება დაეუფლათ და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ. იმ ორასი ათასის დევების ხმას და გურზების ტრიალს ქვეყანა შექმწუნებინა. იმ დღესა და ღამეს ჯინისტნის ერზედ მეორედ მოსვლა აღსრულდა. შემდეგ ვნახე რომ ას-ოცის მწერთის მქონებელი აქვან-ნარა დევს, ერთი დიდი ჩოჩოსი ოღენი გურზი ხელთ ეჭირა და ცხვირ-პირიღამ ცეცხლს აფრქვევდა. იმ ბროლის სასახლეზედ ჩამოხდა და ერთი დიდი ნარა გა-სწია და დაიძახა დიდის ხმით: „მე ვარ აქვან-ნარა! ჰეი, ჯინისტნის ერნო, ჩემის ხელიღამ თქვენს, სიცოცხლეს სად გადაარჩენთო! მე ვარ აქ-ვანი აჭანგის ხელმწიფო“. ესე სთქვა და მაშინვე სასახლეში შევიდა, ორ-მოცნი ათასნი ხვადნი დევნი თან შეჰყვინენ. იგი შვიდნი ხელმწიფენი რა-მეღნიც იმ ჟამად იქ იმყოფებოდნენ ჩემის ქორწილის მოსამზადებლად, შეიბურეს და უწყალოდ მრავალი სტანჯეს ჩემის გულისთვის, და თვითო თვითოთ ჯინჯილით შეჰკრეს, შემდგომ მამა ჩემიც შეიბურეს, მერე იქით მიმართეს საცა მუშთარი-ბანო იმყოფებოდა და იმ სასახლეში შევიდნენ, მეც თან შევევევ მიწოდდა რომ მუშთარი გამომეხსნა და ერთის მხრისა-გან გავქცეულვიყავი; მოვიხედე ვნახე რომ თან დევები შემომყვინენ, ენე-ბათ რომ მეც დავეჭირეთ. რა მუშთარიც ესე მიხილა დაიძახა, ჩემის სუ-

ლისაგან უფრო სატროფო და სინტონის, მამტეში, ჩემის მორჩენი-  
სათვის შენს სიყმეს ნუ გააფუჭებო, მე გამიშვი რა გზითაც იყოს და  
შენი თავი მოაჩინეო, ათასი ჩემისთანა შენი ჭირის სანაცვლო იყოსო“.  
საბუბრანო, მეც ეს ღონისძიება ვიხმარე რომ ერთს თანჯრიდამ გამო-  
ვარდი და ერთის მხრისაკენ გავიქეცე. რაც იმ ჭყერში დევნი იფუნენ უ-  
ველნი ერთად გამომიდგნენ და ვერც ერთი ვერ დამეწია, მე მოვჩი-  
მავრამ ვაჟ, ჩემს მორჩენასა და იმ დღის მამგონსა, იმ უამად ჩემს  
გარდა იქ მეფთნი ბანოვანნი და დიდკაცის შვილები თუ მტირენი უ-  
ველნი შეიბურეს, იმ დამეს შაჰრ-ჯანანში ორმოცი ათასი ჯინი მოკლეს.  
რა დილა გათენდა აქვან-ნარა ტახტს დაჯდა იგი ქვეუბები სულ დაიმო-  
ნავა და სულ დევებითა ავსო“.

### აქ აქვანისაგან ჯინისტანის სულთნების შეპყრობა და აქვანის განკლმწიფება.

**რ**ა მას დღეს აქვანი ჯინისტანში განკლმწიფდა, მობინდომა რომ  
ჯინისტანის ხელმწიფენი დაეხრცა, მაგრამ ქუი-სუნხარაბის სულთანი ან-  
უაბუზ-ნარა შუა შემოვიდა და აღარ დახრცინა. მოახსენა: „უმაღლესო  
დევთა ხელმწიფეო! ამათის დახრცვით ზოგაბს ხელში ვერ ჩაიგდებო,  
ესენი ხომ მტკიცეთ დაიმოხეო, თავიანთ ქვეუბები ისევ უბოძეთ, მა-  
გრამ ეს პირობა დაუდე რომ, ზოგაბი ცაში იყოს თუ ხმელეთზედ,  
იზოგონ და შენ მოგართონ ბეგარათაო. უბრძანე რომ უოველს წელი-  
წადში შვიდასი ქალი და ვაჟი მოგართონ, თუ ეს ასე არ აასრულონ,  
ქვეუბებიც გაუოხრე და თვითონაც დახრცეო, მხოლოდ ზოგაბის დედ-  
მამა ტყვეთ შევინახოთ და ექვსი ხელმწიფენი გი გავანთავისუფლოთო“.  
ანუაბუზის რჩევა აქვანიმ მოიწონა, მაშინვე იგი ხელმწიფენი განთა-  
ვისუფლა და იმ გვარი მტკიცე პირობები ჩამოართვა უველა ხელმწიფეებსა.

„რაკი ესე უველა განთავა შაჰრ-ჯანანიდამ უოველს მსარეს მრავალ-  
ნი დევნი გაგზავნა ჩემს საძებნელად, მაგრამ ვერსად მიპოვეს, მეც  
რამდენიმე დღის შემდეგ საბაჰარის ქვეუბანში ჩემს ბიძასთან მივედი თუ-  
მუზ-შაჰასთან, ჩემი შეწუხება უოველივე მოვასხენე, შეგტირე; ვგონებდი  
რომ ჩემთვის წამალი რამ დაედვა, მე მისგან შევლას მოველოდი, მა-  
გრამ იმან აქვანის შიშით დამიჭირა და დამატუსადა, ენება რომ რამდენიმე  
ჯინი გამოეტანებინა და აქვანისთან გავეგზავნე, მაგრამ შემიწყალა ღმერთ-  
მა მამიჩემის მსახურებთაგანნი რამდენიმე იმასთან იფუნენ, ერთს დამეს  
ხელები გამიხსნეს და გამაპარეს. — რომელ აღაგასაც მიველ უველა მესის-

ხლედ შეკიდებოდნენ, „შენის გულისათვის ჩვენი ცოლშვილი დატყვევ-  
დავო და ქვეყანა ახსრდაო, უსიკვდილოდ ადარც შენ გავიშვებთო და-  
მიჭირეს და რამდენსაჲმე ჯინს გამატანეს აქვან-ხარასთან. გზასა ზედა  
ჟამი დავიტყ და იმათაც გამოვეზარე. რა მუნიდამ შადიქამის ქვეყანაში  
მივედი ველარც იქ დაჯრჩი, მაშინდლიდამ აქამოდე სულ მთებში და  
ბიაბანში დავაღ, ამისთანა მწუნხარებდას შინა ღამეოფები. და ამისთანა  
სიარულში ქუი-ქანანის ქვეყანაში მიველ, იქ ერთი ბერი კაცი ვიპოვე,  
მივესალმე მწუნხრის გულით და იმანაც მომიკითხა და მითხრა: „ყარ-  
ბო დაჯექო, დაჯექო, ვკითხე, რა ხნისა იქნები მეთქი, მან მიხასუხა  
ოთხი ათასის წლისა ვიქნებიო შეილო“. შემდეგ მითხრა, შენ ვინა ხა-  
რო? და ან საით გივლიაო და რომლის მიზეზით აქ მოახწივეო, ანუ  
სახელად რა გქვინაო? მე მაშინვე გულმა ველარ გამოძლო, თვალთაგან  
ცრემლი გადმომცვივდა ზირველიდგან ვიდრე უკანასკნელამდე, ყველა  
ჩემი ამბავი მას მოვასწენე. რა ყოველივე სრულებით მოასმინა, ისიც  
ჩემთვის დიდად შესწუხდა, ასე მითხრა: ზოცაბი თუ აქვანი დევისაგან  
მორჩენა გინდა და იმ შენის დამდაგველის გამოხსნა, გულისცამ-ბადი-  
იკამს დავარყადას, რუბი-მასკუნიდამ ერთი ყარამან წოდებული ფალავანი  
მოსულა, რომ ამ ჟამად სააბუიჩანობის დავასა სწევს, თვითონაც თახ-მურად  
ხელმწიფის შვილი არისო. შენი ღონე იმის მეტი არავინ არისო, მისი  
ფალეგნობის ამბავს ცოტა რამეს გაუწიებ, დამიჯერე, მისს მოწყალე  
გულს მიმარტოე, რა ესე გავიგე დიდად მაიმა და მოვასწენე მოხუცსა,  
მაიმა! მიბრძანე რაც შეეხება იმ ფალეგან ყარამანს მეთქი.

— მან მითხრა: „შვილო ერთი შენსავით შავზალ-შავას ცოლი აქ-  
ვანის ძმას ქეივან დევს მოეტაცნა, რამდენსაჲმე ფერიების დიდრონი გა-  
ცის შვილები დაეტყვევებინა, თვითონ აქვანის ძმა ზედცხიგზედ მისულოეო  
და დიდად შეეწუხებინა, მაშინ სააბუიჩან ფალეგანი ყარამანი შავზალ-შა-  
ვას, თვისს შემწედ მოეწვია, ქეივან დევს რომ მისთვის ველარ გაეძლო,  
იგი ტყვეები მოეტაცნა და ზულუმ-მთისაკენ გაქცეულიეო, ყარამანი გა-  
მოსდგომოდა, ქეივანიერ მოეკლა და სხვა ათარიცა და რამდენიმე ასი  
ათასი იმის დევის ღაშქრით და იმის ტყვეებით მამაცათ დავარყადას  
მოსულიეო, ახლა ის ფალავანი იქავ არისო, შენც იქ მიდი და სააბუი-  
ჩანს შეეხვეწე, როგორც ქეივან დევი მოჰკლა ისე აქვან დევს მოჰკლავს,  
შენს უშველებელს სენს ის განგიკურნავს. და სხვას მის მეტს შენი შვე-  
ლა არავის შეუძლიანო“. — მეც იმ კაცის სიტყვა ვირწმუნე, წამოველ დღე  
და ღამე გავასწორე, ბადიიკამში სანადიროსა გიახელ და თქვენ წინ ში-  
შით ვერ წარმოვსდებე. ჭერიანად გარდავიქედი და ამ ალაგას მოგაუვანეთ.

ამისთვის მოტყუებას ვიხილავ სააბუიარანო თქვენ უმაღლესობისაგან. ვეშ-  
პის სახეთ რომ გეჩვენე ისიც თვითონ მე ვიყავ, თქვენ გამოგცადეთ, ვნა-  
ხო ვეშპისაგან შეშინდება თუ არა მეტქი. ჩემს გულსა და განებისა ში-  
ნა ვთქვი: ეს უმაწვილი თუ ვეშპის უშიშარი არის, დავსაც შეებმის მეტ-  
ქი. აწ მაშინ ვცან: თქვენი ძალ-გული და ფაღავნობა, გთხოვთ უიძე-  
დოთ ნურცა მე გამოიშვებთ, მრავლის ჩემისთანისთვის წყალობა გილირ-  
სებიათ, ჩემ საქმესაც ერთი გზა მიეცით, თუ არა და თქვენის ხელით  
აქვე მამკალით და უნუგეშოდ ნუ გამოიშვებთ და ამ მწუსარებას მამარჩინეთ.

მაშინ უარმანმა ბრძანა: „ძმაო ზორაბ! მაგისი ღმერთი მოწყალეა,  
მხოლოდ შენ იმისი არა იცი რა თუ, აქვანიმ შენი სატრფო რა უყო?“

ზორაბმა მწარეთ ამოიხრა და მოახსენა: „ჰე სააბუიარანო! იმ უა-  
მად რა აქვან დევმან ჯინისტინის სულთნები განთავისუფლას და თვისსა-  
გე ქვეუბნებში განაწესა, მერმე მუშთარისთან წოლა მოენდომებინა, მუშ-  
თარი დიდათ შეწუხებულ იმ საქმისა გამო, თვისის თავის სიკვდილი  
ენება, მტრეჭულით მრავალი ელაზარაკანა, მაგრამ მუშთარი-ბანოს ნება  
არ მიეცა. აქვან-ნარას მისი წყენისთვის და მისთანა უებრას ქაღის  
სიკვდილიათვის ძალა აღარ დაეტანებინა, ეთქვა თუ ძალა დავატანოვო,  
ვია თუ თავი მოიკლას და ამისთანა მზე სადღა უნდა ვიშოვნოვო, აქ-  
ვანისათვის ერთის წლის ბირობა გამოერთმევიანა და ეთქვა, რა ერთი  
წელიწადი შესრულდეს, მერმე შენს ნებას დავმორჩილდებიო. აქვანი ამ  
ბირობას შესჯერებოდა, კარგი იქნებაო. „მხოლოდ ამ ერთს წელიწადს  
უკან თუ არ დამმორჩილდები, ვფიცავ თავსა ჩემსა! ზორაბის დედამას  
შენ თვალწინ დავხატავო“. ამას წინათ მუშთარი-ბანოს ერთი ჯიბი გა-  
მოეგზავნა ჩემთან, მოვიდა და ერთსა აღაგას მიზოვნა, „ჩემთან შემოე-  
თვალა, ერთის წლის ვადა მაქვს, იგი ბილწი ჩემთან ახლას ვერ გა-  
იფლის ამ ერთის წლის განმავლობაში, თუ მიშველი რასმეს ეს არი-  
სო, თუ არა და ამაზედ დაჯერებული იყავ, რა ვადა მოკა, იგი ბილწი  
ჩემთან წოლას მოინდომებს და ვფიცავ დამბადებულსა რომ ჩემ თავს  
მოვიკლავო. მე და შენი შეურა და სინარული ამ სოფელს ხომ არ  
გვედირსა და მეორედ მოსვლისთვის დარჩისო“.

რა ესე სიტყვები მოახსენა ზორაბმა, გულსისხლიანი ატირდა და  
საწყლად ვაებდა, რომ მისის სიბრალულით უარმანმაც ტირილი დაიწყო,  
ხელსახრით თვალებს წმენდა დაუწყო. ღმერთს მადლობა შესწირა და  
თქვა: „ღმერთო, გმადლობ შენ, რადკანაც ასე დავიბადებოვარ რომ ვი-  
საც გატარებო და დღეს მე უნდა მომმართონ და შენის შემწობით ამ  
გვარ დევებს უნდა ვებრძოდო და დავიმორჩილო. ამის საქმეც მსჯნალ-

ფერიის საქმესა ჰგავს“, მცირეს ხანსა დაფიქრდა, შემდეგ ბრძანა: „ამს დაფიქრება აღარ უნდა, რაც რომ მოეგვარება ამ საქმეს ის უნდა მოეგვაროს“, შემდეგმ ზორაბის უთხრა: აქედამ ჯინისტინის ქვეყანა რა ერთის ხნის სავალია? ზორაბმა მოახსენა: „აქედამ ჯინისტინის ქვეყანას ადამის ტომი ოცს დღეს იფლისო“. ჰე, საბუიარანო! აქვანისა და მუშთარი-ბანოს ჰირაბის ვადას ჩვიდმეტო დღეც უკლია, რა ესეც გავა, აქვანი მივა და თავის ნებას აღასრულებს, მე რომ მუშთარის თიფი ვიცი, სარწმუნო ვარ რომ იგი იმას არ დამორჩილდება და გაჯავრებული თავს მოიკლავს, ანუ აქვანი მას მოჰკლავს. ჩემი ნაღველი და ფიქრი ეს არის, რომელიც მომიხსენებია და ახლა ნება თქვენი ასრულდეს“. უარმანმა უპასუხა; „მაშ თუ ეგ ეტრე არის, მე ოცი დღის სავალს ჩვიდმეტ დღეზედ როგორ წავიდეთ?“ ზორაბმა მოახსენა: „ფალეევანო, იმ ჯინისტანში ჩემზედ უმაღლესი არავინ იყო ფრენით. თუ მიბრძანებ მარტოკა თქვენ სამს დღეზედ მიგიყვანთ და ერთ დღეზედაც თქვენს შემოვაიბარსა“. ესე სიტყვა უარმანს დიდათ იამა და ბრძანა, „რახან მავის შემძლებელი უოფილხარ, ამ საქმეს დაუფინება აღარ უნდა, ვახსენოთ ღმერთი და წავიდეთო, ზე აღსდგა შემოვაიბარი ერთს გამოკვეთილს კლდეში შეიყვანა დაბა, საჭმელი მისცა და ზორაბის მეგობრობა გამოეცხადა, ანიშნა შემოვაიბარს რომ შემოვაიბარი ზორაბს უნდა წაეყვანა თავისთან. „ზორაბს დაემორჩილეთ“. უარმანი გამოკვეთილიდამ გამოვიდა და ზორაბს უთხრა წავიდეთო. მაშინვე ზორაბმა უარმანისთანა ფალეევანი თვისის სამოცდა ოთხი იარაღით შეჭურვილი. იტვირთა ზურგსა და სამსა დღესა და დამესა მუჭი-ჯანანის ქვეყნის სიახლოვეს მიიყვანა, შემდეგ რა ჩამოასდინა ზორაბი დაღალულობით ძლიერ შეწუხებულიყო, ისე რომ მცირეს ხანს უცნობოთ იყო.

რა ზორაბი გონებას მოვიდა, მოახსენა: „ოჰ, ფალეევანო, ესრედ ვგონებდი თუმცა უაფის მთის რამდენიმე კუთხე რომ ამეკიდნა და ორსა და სამს აშდენს გზას გამეტარებინა, ესრე არ შევწუხდებოდი, მაგრამ თუ თქვენთვის კიდევ მცირე ხანი მეზიდნა, ფიცით მოგახსენებ ასეთი ძალა დამადგებოდა რომ უცილოდ მოგვკვდებოდი. შემდეგ უარმანს ქება შეასხა და მწრაფლ შემოვაიბარის მოსაყვანად გაემგზავრა, რამდენიმე ხნის შემდეგ შემოვაიბარიც მოიყვანა უარმანთან, და იმ დამეს იმ მთაში განისვენეს. რა დილა გათენდა ზორაბი დიდის მწუხარებით იყო და ამას განიზრახავდა, ამ ქვეყნის ხალხნი რომ მნახვენ აქვანი დევის შიშით, ჩემს დაჭერას მოინდომებენ და ვაი თუ ამ ფალეევანს იმათი პასუხის გაცემას და მოზირდაზირობა არ შეეძლოს ხომ ორნივე დაგვიტირეს და აქვანი-

ნარასთან მიგვიყვანეს, მერმე ის წყეული ერთ წამში განუკითხავად გამ-  
თავებულ, ჩემთვის ხომ არა მენადვლება რა, მაგრამ ფაღვანს რადს  
გუმატვლებოდი. ამათ ხელში რათ ჩავადექ? ამ სოფელს ხომ დავიკარგე,  
ვინ თუ ამის ცოდვით სიქაფსაც დავიკარგო. ფაღვანის იქ მიუვანს ძა-  
ლიან ნახობდა, შიშისა და ფიქრისაგან გაშტერებულყოფ, საცოდავი ზო-  
რადი. რა უარამანმა შეხედა შეატყო რამ შიშით ცნობა დაჭყანტოდა.  
ფაღვანმა ჭკითხა: „ზორად! რას დადონებულხარ და ან რა ფიქრში  
ჩავარდნილხარ? მე რამ შენთან ვარ რატომ იმედიახათ და მამაცად  
არა ხარო?—ნუ დადონებულხარ, ღვთის იმედით შენს დადონებულს  
გუფს მალე გავამხიარულებო, შენის მზის ხილვა ხელთა ჩემთაგან აღ-  
სრულდება. დამიჯერე საუთოფო აღარაფერი აღარა გაჭვს. არა თუ მარ-  
ტო ჯინისტანი! სრულიად ქუი-მაცარის იფრითნი და ზუღუშითის გერ-  
ბანნი ერთად რამ შეიკრიბნენ სამოვად წინ მომეგებნენ, არც მათგან  
შეგშინდები, და ვერა რას დამაკლებენ“.

აქ უარამანის წასვლა შაჰრ-ჯანანში, აქვანი დევინსაგან  
ზორადის ცოლის მუშთარ-ბანოს გამოსახსნელად.

**რ**ა ესე ბრძანა, თვისის სამოცდა ოთხის იარადით შეიჭურვს და  
ჯანი-ბეყანის ფარი მხარსა კარდიგო, ქეომარის ქამარი წყელთა შემოირ-  
ტვა და ქეიმუზარ ხელმწიფის გურზი ხელთა მიიდა, ვარუნ-დევინს შუბი  
აიღო თვისსა ეჭვს ფეხფანს ნადირსა ამხედრდა და იმ აღავს ნავარდო-  
ბა დაიწყო. რა ზორადმა უარამანისაგან ასეთი ვარჯისი ნახა, იმედი მიე-  
ცა და მანცა მას მინდოვსა შინა ერთი მარტოქა შეიპურა, შეჯდა და  
სწრაფის სიარულით შაჰრ-ჯანანის სიახლოვეს მივიდნენ, იგი არე უარა-  
მანმა დიდად მოიწონა და მას ციხეს სინჯვა დაუწყო, საკვირველი ქვე-  
ყანა იყო, სიმშენიერით აღმინათ სამყოფზედ ეს უფრო კეკლეტი იყო,  
და ამათს სამყოფს არც ერთი ქვეყანა ჰგავდა, მშენიერი მთა და ველი  
ჭქონდა, მერმე ავჯან-მუსთარის ქალაქი დაინახა. რა შინჯვა დაუწყო,  
ნახა სრულიად მწვანის ჭიქით იყო ნაშენი, რა მზე მიადგა ჯინისტნის  
ქვეყანა სრულიად ოქროს ფერად შეიქმნა და ილაპლავა, მაგრამ იმ ქალა-  
ქის წინ ამდენი ჯინთა ურილობა იყო რამ, რიცხვი არ შედგებოდა; იმ  
ქალაქსა შინა მეოფთა დიაცთა, მამაცთა, მოხუცთა და ურმათა, წივილ-  
კივილისაგან უერთა სმენა აღარ იყო. რა ამათ მართლად თვალი და-  
აკვირვებს, ნახეს რამ რამდენთამე ჯინისტნის სარდალთა და დიდებულ-  
თა, კისრებზედ დიდრონი ჯინჯილნი აბიათ, ხან აღმათ ათრევენ და ხან



დადმა ესე წივილ-კივილი იმის გამო იყო, რადგან წელიწადი გასული-  
ყო, და აქვანის ქუი-სურსაბის სულთანი ანუაბუზ-ნარა დევი გამოეგზავნა,  
ხარჯის მოსაკრეფად შვიდასი ქალი და ვაჟი დაედგა წელიწადში და  
იმას ჰკრეფდა. ხურამბათის სულთნისთვის ჰუმან-ჯინისთვის, თაღუთ-  
სულთნისთვის და შამილ-ჯინისთვის, ჯინჯილნი მოებათ და ისე სტან-  
ჯვიდნენ. იგი მეტყველნი ასე იტყოდნენ ამიტომ გტანჯავთ რომ ზო-  
რად თქვენ იცით და არ გვაჩვენებთ, საბრალო ზორაბმა რა ივინი  
ისე დაინახა, მაშინვე ცნობა დაეკარგა და არ იცოდა თუ რა ექმნა.

რა უკრამანმა შეხედა უთხრა: „ზორაბ! რა დაგემართათ? მანამ მე  
ცოცხალი ვარ ნურავისაგან ნუ გეშინიან და ნურცა რა გეფიქრებათ,  
ნურც იშიშვიო. მე სწორედ სასახლესთან მიმიყვანე და შენ თამაშა მი-  
უურე“. ზორაბმა მოახსენა: ფაღვეანო! მიცნობენ ცოდვა ვარო. უკრამან-  
მა უბძანა: „ზორაბ! თვალი გაახილე სწორედ დამინახე, მე თუმცა არ  
შეიქედლოს და ხელიდამ არა გამამივიდეს რა, არც ამა მოედანზე გამო-  
ვიდოდი, შენ ნუ მომშორდები უეცრად ჩემად შეუტეობლად არა აგიტე-  
ხონ რაო,—შენ მიუურე შეწვენითა დვთისათა ამ დევებს რას განსაფ-  
დელს შევამთხვევო“. ესე თქვა და ზორაბი წინ გაიმძღვარა რომ თვა-  
ლით უურკოს, მაშინვე უკრამანმა თვისი შეშუაიბარა ქალაქისაკენ გაქუსლა.

რა ჯინისტნის ხალხმა ზორაბი მიმავალი და უკრამანი უკან მიდევ-  
ნილი დაინახეს, სრულიად წინ მოეგებნენ და თავი დაუკრეს, ტირილით  
მოახსენეს: „ჩელმწიფის შვილო, ეს რა უამი არის რომ შენ აქ მოხ-  
ველო, აქვანის ბრძანებით ანუაბუზ-ნარა დევი შვიდასის დევით მოვიდა  
შენ სათხოვნელად და ტყვეების მოსაკრებლად, შენი ბიძები ყველანი  
დაატუსადა. და რა იგი ბილწი შენ გნახავს მაშინვე მოგკლავს და  
თავს ტანისაგან განგიშორებს. ან ეს ადამის ტომი რათ მოგიყვანია?  
ამასაც ხომ მოაკვლევინებ, ეს მაინც გებრალეობდეს, მოდი დამიჯერე  
უკანვე შეიქეცით, ჩვენ შენის გულისთვის რაღ უნდა დაგვემართოს უო-  
ველნივე შენის ჭირის სახაცვლო ვიქმნეთო, თღონდ შენი და მაკ უა-  
რობის სანდოდაობა და სიკვდილი არა ვნახოთო“.

ამათ საუბარსა ზედა უკრამანი გულსა შინა იცინოდა. რა იგი ხალხ-  
ნი გაბრუნდნენ, ქალაქსა შინა ხმა ასტყდა, ზორაბ მოვიდაო და თან ერ-  
თი ადამიანი მოსდევსო, ანუაბუზ-ნარას შესაბურაობლად მოდიანო. ამ ქა-  
ლაქის მამაცნი თუ დიანნი, ყოველნივე ვინცა-ვინ იყვნენ მათკენ მიე-  
შურვებოდნენ. ეს ამბავი ანუაბუზ-ნარასაც მოხსენდა, რომ ზორაბი მო-  
ვიდაო. ანუაბუზი განრისხდა და უთხრა: ჰე, თქვენ ძაღლებო! ვიდრემდის  
შიში არ მოგეცით, ვიდრე ზორაბი არ გამოაჩინეთ, აქვანის თავის მზე-

მა, პირველად ზორაბს მოვკლავ და შემდეგ თქვენ ხელშეკრულები აქვანთან მიგასხამთო. მაშინვე ბრძანა, ჯინისტნის სულთნები ხელშეკრულები აქ მოასხითო.

ბრძანებისამებრ ყოველნი მოიყვანეს, სულთნებმა თავიანთ თავის იმედი სრულებით გარდაიწვევიტეს, იმ სულთნების ცოლ-შვილებიც მწუხარებით ტირილდნენ და იგლიჯებოდნენ, ასე რომ მათი ტირილისა და მწუხარების ხმა ზეცამდის აღიწეოდა. იმ უამად უარამანი და ზორაბი ქალაქში შევიდნენ. იმ ქალაქის ერნი სრულიად, ბანთა და კედელთა ზედა გადმოდგნენ, და ჭსურდათ ენახათ თუ რა გვარად უნდა დაეხრცნათ ეს ორნი ერმანი, უარამანს სრულებით არა ეფიქრებოდა, მხოლოდ ქალაქს დაუწყო შინჯვა და იმ ქალაქის შენობაებსა და ბაღთა, სიტურთით მშენიერად იყო შემკობილი. დიდათ მოეწონა; რა ცოტა გაიარეს თამუზ-შაჰსას სასახლესთან მივიდნენ და დადგნენ, ნახეს რომ ამ სასახლის წინ ტახტი დგას ოქროსი და ზედ ერთი ოთხმოდგა ცამეტის მწერთის მქონებელი ღამივით დევი და ვეშპის ბოლოიანი ზის, გვერდით ერთი თავის საფერი ლახტი უძევს, ამიერ და იმიერ ორასი დევი ოქროს ტახტზედ უსხედან და ჯინისტნის ხელმწიფენი ჯინჯილებით შეკრულები წინ უდგანან, ამათან შვიდასი ტუვე კიდევ სხვა დგას, ხუთასი გაუკითხავი ხვადნი დევნი ამათი იასულები არიან. უარამანმა რა ესე იხილა, მხეციდამ გარდახტა და ახლა უკან მიიდეგნა ზორაბი და ანუბუზს ქვევითად მიმართა. იმ უამად ანუბუზი იმ სულთნებს უწყებოდა. მაგრამ შეიტყო რომ კარზედ რაღაც არეულობა შეიქმნა, მიმოიხედეს ნახეს რომ, ერთი ორმოდგა ათის მწერათის სიმაღლის მქონებელი ადამიანთ ტომია, უცხო სომხის იარაღით შეჭურვილი შემოვიდა შეუზოვრად: იმისთანა იარაღის მქონებელი რომ კაცის თვალს იმისთანა იარაღი ჯერ არ ენახა, ხელთ ერთი გურზი უჭირავს და იმ ტუვევითან მოვიდა, რა ნახეს მუნ მუოფთა დევებმა გაშტერდნენ და თქვეს ნეტარ ეს ვინ უნდა იუოსო და ან აქ რას აკეთებსო ეს უბედურით!

რა უარამანი მას ტუვევებს მიუახლოვდა, იმათ იასულოვანს ერთს ასეთი სილა ჰქონდა რომ, მაშინვე მიწასთან გასწორა, მეორეც იმის ცხას მიადევნა. რა მათ სხვათა იმ ორის ამხანაგის ისე უწყალოდ დახლოდა იხილეს, სრულიად გაიქცნენ, უარამანმა მაშინ ამ ხელმწიფეთა ხელები დაუხსნა და სხვანიცა პერობილობისაგან განთავისუფლდა. რა ანუბუზმა ესრეთი საქმე იხილა, განრისხებული ცხვირიდამ და პირიდამ ასეთი ცუცხლი გარდმოუტევა რომ მნახავთა ასე ეგონათ მუხის ჭექა არისო, რა მუნ მუოფთა ჯინთა ისეთი უოფა-ქცევა და სიფიცხე იხილეს ქება შეს-

ხეს, მაგრამ იმა დევთა შიშისგან გულები ღამის დაუსქდათ. ანუბუზი წამოხლტა და სსჩქაროდ უარმანს მომართა, ესრეთ შესძახა: „ჭე, მიწათაგან ნაშობო! შენ ვინა ხარ რომ აკრე თავს იწევო? და ან ამ საქმესა შერებო, ჩემისთანა გამომჩენილის სხასაღარის წინ და ამ გვარნი ჰერობილნი ვითარ განთავისუფლო?“ შემდეგ დაუფრებლად თვისი გურზი რამდენჯერმე დაიბრუნა, ჰეარში შეაგდო, დაიჭირა და უარმანს მოუქნივა. რა ჯინისტნის ერმა ესე დაინახეს, დიდსა მწუნარებას მიეცნენ და უთხრეს ზოგასა, ეს რა საქმე იყო რომ შენ ჩვენ გვიყავო? შვიდი სახელმწიფო დღეს ხელმეორედ დააქციეო, ამის წინა მწუნარება არ გვეუფოდა რომ მეორეთაც არ გაგვასლებინაო?...

### აქ საჭმან-ადამიანთ მონათესავის მოსვლა უარმანის წინაშე.

იმ უამად ჰეარიდან ერთი რამ გამოჩნდა, ასე რომ დევნი, ფერიანი და ჯინნი სრულებით გაოცდნენ და ზეცას ურება დაუწვეს, ესრეთ იტყოდნენ ეს რა საგვირველება რამ უნდა იყოსო?! მასვე წამს ნახეს რომ ჰეარიდამ მეხივით რაღაც ჩამოხდა და ხელთა სამას ლიტრიანი ნაჯანი უზურია, რა დევთა და ჯინთა იგი ცხადთ დაინახეს, იცნეს რომ საჭმან ადამიანთ მონათესავე იყო, რომელიც გივი-მარის ხელმწიფემ მრავლის ცდით იგი ძლივს ხელში ჩაიგდო და საზერობილეს დამწვედია, ეს იგი საჭმანი არისო, რომლისაგანაც უფის მთის დევნი შეძრწუნებულნი იყვნენ, გულდანდობით ვერ დაიძინებდნენო, რა საჭმანი სრულებით იცნეს ჯინთა და დევთა, მისის შიშისგან შემოდგომის ფურცელივით თრთოლა დაიწვეს, ესრედ იტყოდნენ, „კიდევ მოვიდა ჩვენის აღსრულების და ამწვევების დღეო“. „ვაჭ, ჩვენსა დღესაო და ჩვენსა განენასაო, რომ ამისთანა დროს შევესწარითო. ესე გაუკითხავი ჩვენი მტერი კიდევ თვალთ ვიხილოთო, ამის ხელიდან სრულიად ქვეყანა ამოსწვდებაო, ვერც ჩვენ გადურჩებით და ვერცა ქუი-უფის დევნიო და ვერცარა აჭანგის ციხის მეოფნი“. რა ამ საგანებელში იყვნენ უნობო შეიქმნენ.

იმ უამად რა უარმანი თვისის შემუთაობრიდამ გარდასტა, დევთა მინდომეს რომ იგი შემუთაობარი შეეზურათ და აქვანი დევთან ფეშქაშათ მიეყვანათ, რომელიც დევი მის შესაზერობლად მივიდოდა მასინვე მოჰკლავდა, ამ უფთით თითქმის რიცხვით ორმოცეტი დევი მოკლას. რა მისგან ესრეთი ძლიერება განიცადეს, სხვათა ვერა რომელმან მასთან მისვლა ვეღარ გაბედეს. რა იმ უამად საჭმანმა შემუთაობარი დაინახა, მასინვე იც-

ნა მივიდა და შდაბლად თავი დაუკრა, მაშინვე საჭმანი კარდაქსვია და თვალებში კოცნა დაუწყო, ჰკითხა: სააბუირანი რა იქმნა? მან თავით ანიშნა სააბუირანი, რომელს მხარესაც წასუჯიყო. საჭმანმა შეშფაობის სიდავე დაიჭირა და დადგა. შემდეგ ზორაბი მოვიდა ისიც მოქსვია მიქსალმა და მოიკითხა, ყარამნის სად ყოფნა მისკან შეიტყო, რა ჯინისტნის ხალხმა ესე ნახეს, დიდსა სიხარულსა მიეცნენ და ჰკვირობდნენ.

აქ ყარამანისა და ანუაბუზ დევის ომი და ყარამანისაგან მისი დამორჩილება და ანუაბუზისაგან ერთგულად მსახურება.

**მ**იმ უამად რა ანუაბუზ დევმა ყარამანი დაინახა, მსწრათჳ მოუხლტა და თვისი გურზი მოუქნივა, ყარამანმა ჯანი-ბეყანას ფარი თავსა იფარა და იგი გურზი მას აატანინა, მისმა მხილველმა ჯინისტნის ერმა დიდი ქება შეასხეს, რა ანუაბუზმა ნახა რომ თვისმა გურზმა ვეკა ავნორა, დიდათ განრისხებულმან კბილებს თავთახი დააწყებინა, ასე რომ შეტის მრისხანებით გაშმაგდა, მეორეთ კიდევ მოუქნივა, მაგრამ შეწეგნითა დუთისათა ყარამანს ვერცა იმან ავნორა, შესამეც დაჰკრა, მაგრამ თუნდა არ მოხვედროდა ისრე შიინია. რა რიგი ყარამანს ერგო ქეითმარ ხელმწიფის გურზსა ხელი მიჰყო და ანუაბუზს მიმართა, რა ანუაბუზმა თვისზედ განრისხებული ნახა, თავსა ფარი იფარა და დადგა ყარამანი მისწვდა და ლახტი ხელთაგან წაართვა და მეორეს ხელით ერთი ასეთი სილხა ჰკრა რომ სამჯერ მტრედივით უიარზედ გადატრიალდა და მიწასა დაეცა. რა მათ მადურებულმან ესე იხილეს, დიდი ქება შეასხეს, და მსწრათჳ საჭმანი მიიჭრა, ანუაბუზს ორივე ხელები შეუკრა და კისერზედ დიდი ჯინჯილი მოაბა, შემდეგამ მობრუნდა ყარამანი თვისსა მხედსა შეჴდა და მადლის ხმით შესძახა: „შე ვარ ყარამან სააბუირანი! აწ ჩემის ხელიდამ ცოცხალნი სად გადამიჩიებო“. ესე სოქვა და ბასრსა ხმალსა ხელი გაიკრა გაერია დევთა ლაშქართა შინა და გაუკითხავად ხოცდა. რა დევთა და ჯინთა ამ ფალეგნის ყარამანობა შეიტყვეს, მოვიდნენ თავი დაუკრეს და შეჭფიცეს ერთგულთაზედ და დამორჩილდნენ, აქვანისაგანაც ბევრი რამ შესჩივლეს.

ყარამანმა უთხრა: „სულთანო და დიდებულნო! დღეის შემდეგ აქვანი დევისაგან ნულარ იშიშვით, დუთის შეწეგნითა ისეთს საქმეს უზამთვისის ძმის აქვადი დევის სიკვდილი იმასთან თამაშობა იყოსო“. მერ-

მე ანუბოზ დევის მოყვანა ბრძანა: მათ მსწრაფლად ანუბოზი მოიყვანეს, რა ანუბოზმა უკრამანი დაინახა, ხის ფუჭტელივით ხრთოლდა და იწყო, მცირედა უკლდა რომ ხორცთაგან სული არ გასცვივდა, უკრამანმა უბრძანა; „ანუბოზ ნუ გეშინიან! სწორე თქვი სეილან-შაჰა და მისი ცლშვილი, მუშთარი-ბანო სადა ჰყავსო ჰერობილათ—ანუ იგი წყეული აქვანი დევი სად არისო?

ანუბოზმა მოახსენა: „საბოჟრანო თუ შემიწყალებ სწორე მოგახსენებ. მაშინვე უკრამანმა საჰმანს უბრძანა: „იგი ჰერობილობილამ განთავისუფლო“! საჰმანმა ბრძანებისამებრ განთავისუფლდა. ანუბოზი ზე აღზღვა მივიდა და უკრამანის წინაშე მიწასა აკოცა და სრულის ერთგულობის ფიცით დაემორჩილა და მოახსენა: ფაღვანო, რა ჩემზედ ესეთი მოწყალება მოიღეთ, ვფიცავ დუთისა სახელსა და თავსა შენსა რომ დევის შემდეგ ვითარ საჰმან, მეც საუკუნოდ შენი მოჩილი ვიქმნებიო, და შენსა სამსახურსა ზედა მოვკვდებიო. ამ მოხსენებაზედ ფაღვანმა ნება მისცა და უბრძანა: „რაც იცოდე დაწვილებით ყოველი მიაშბეო“. ანუბოზმა ჰირი აღადო და მოახსენა, უშირველესო ფაღვანო, აღმოსავლეთის მხრისაკენ უაფის მთის ძირში ერთი მთა არის სახელად ჰანგ-ყაღას უხმობენ, რომელსაც თქვენ მკითხავთ. იგი ტყვენი იქ არიან, მაგრამ თვითონ აქვანი ახლა საფუზაბარში იქმნებაო. სწორე ეს არის რომელიც მოგახსენე.—ამაზედ უკრამანმა ანუბოზს უბრძანა: შენ შეგიძლიან ახლა აჰანგის ცხემში მიმიყვანო თუ არაო? საჰმანმა აღარ დააწყალა და მოახსენა: მე მონსა თქვენსა შემიძლიანო, რომ ქუი-ბაბუთში მიგიყვანოთო. უკრამანმა საჰმანს უბრძანა, შენ ჩემს მაგოვრად აქ უნდა იყოფო, ამიტომ რომ არამც თუ აქვანიმ შეიტყოს და წამოვიდეს, ვაი თუ ჩვენ გზაზედ აგვცდეს, მოვიდეს და ეს ჯინისტნის ჰეყვანა ააოხროსო, მერმე ამ ჩემს შესთაბარს შენს მეტსა ვერავის ვანდობო, შენ უნდა შეშინახო, ზორობიც შენ უნდა გებაკებოდესო. საჰმანმაც მღაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: ნება თქვენი აღსრულდესო. რა უკრამანმა საჰმანი დააროგა, ანუბოზმა მოახსენა: შეწევნითა დუთისათა შენ იმ აღაგს მშვიდობით მიგიყვანო, თუ ჩემს სამკვიდროს ჰეყვანს მევე წყალობას მიზამთო. ფაღვანმა ამა საჯფოსა ნება დართვა და აღსრულება აღუთქვა.



აქ უარამანის ანუაბუზ დევისაგან აჭანკის ციხეში მიუვანა, მუშთარის გამოსახსნელად და აქვანი დევის სასიკვდილოდ.

**მ**აშინ ანუაბუზი მივიდა თაუვანი სტა, ზურგთა შეისვა ჭაკრში აღფრინდა და აღმოსავლეთისაკენ წაიუვანა უარამანი; რამდენიმე კუნძული გაატარა და ქუი-ბაბუთის ქვეყანას მივიდნენ. ანუაბუზმა მოახსენა: ფალავანო, ამ ციხეს კარი არა აქვს რომ შევიდეთ, ამაზე უმაგრესი ციხე, ცასა და ქვეყანაზედ არსად არისო, რასა ბრძანებო? ქეიმურაზ ხელმწიფე შვიდი წელიწადი ადგა მაგრამ ვერ აიღო, ვერცარა გააწეოდა, დადგნობული უკანვე შეიქცა, მერმე ჯიმშუდ-შაჰა მოადგა ვერცა მან აიღო, იგიცა ცუდათ მაშურალი გარე შეიქცა, კვალად თორმეტნი ადამის ტომნი ფალავანნი მოვიდნენ რომელიც სახელფანნი ხელმწიფენი ბრძანდებოდნენ მაგრამ ვერცა მათ აიღეს, იგინიც სამუფთა თვისთა წაბრძანდნენ. სხვანნი კიდევ მრავალნი ხელმწიფენი და გამომჩინებნი ფალავანნი ამ ციხის აღებას შემოსდგომიან მაგრამ ვერა გზით ვერ აუღიათ, რომელი ერთის სახელეობი მოკახსენეო, რიცხვი არ შეიკლება. იგინიც უფელნი ძალ-კაც-ცუდებულნი და იმედ გარდაწეგეტნი დიდის იმედისა და სახელისაგან უიმედო ქმნილნი გარე შექცეულან თუ ამ ჩემს. მოხსენებას არ ირწმუნებ, უფელისავე ესე ამბავი, იმ ქვებსა ზედა სწერია, ან ვითარ მოსულან, და ან თუ ვინ უფელიან, და ან რა ჭირი და ომები გარდაუხდიათ, ანუ როგორ გარე შექცეულან, და თვითთ თვითთ რა ერთი ხანი დაუფრინათ, და ან რაერთი მეომარი ამოსწეგეტათ, ანუ რა თარიღში ბრძანებულან, და ან რა თარიღში გარე შექცეულან. თუ ღმერთი მშვიდობით მიგვიუვანს იმ ციხის ახლოს, იქ იხილავ მათსა ამბავსა და მაშინ უფელსავე თვითთ თქვენ სტნობთ.

რა უარამანმა ანუაბუზისაგან ესე მოისმინა, დიდათ შეწუხდა და მტრისა ხანსა ფიქრსა რასმეს მიეცა, მაგრამ ციხეში შესვლისა ვერა იფიქრარა, მალე აიხედა და ანუაბუზს უთხრა: „ამ ციხეში შესვლისა ერთი რამ მოვიფიქრე და გამოყარჩიე თუ ეს ასრე არა, ვგონებ რომ სხვა რიგად არა გაეწეოს რა—და არც ამის მეტი წამალი რამა აქვს, მაგრამ თუ შეიძლო და ხელიდამ გამოგივიდა შენ, მე კი დიდი იმედი მაქვს ამ ფიქრისა, თუ ეს ესე არ იქმნას და ვერ შეიძლო რომელიც მე ამომიჩიევა, სხვა რიგად ნულარას ვეცდებით და არცარა გაეწეობა რაო; მაშინ ჩვენსავე გზაზე წავიდეთო. მაგრამ ჩემი აქედამ ამ გვარად წასვლა ჩემსა სამუფთასა სიკვდილი ათას წილად მირჩევიანო, ჯინისტანში რადას პირით მივიდე? ცარიელს იქ მისვლასა და ტუგეთ ამბავთა უტნობლობასა, აქ ჩე-

მი მიწასთან გასწორება ბევრათ უმჯობესია ვიდრე ჩემი სასაბურთაობის სასხელის დამცირება“.

მასინ ანუბუზი წადგა წინ და მთახსენა: „რაც გამოგირჩევია სასაბურთაობა, მე წამალი მონასა შენსა მიბრძანე, ჩემგინა რაც შეიძლება დეს გაფიცებ დმერთსა სასიკვდილოდ ნუ დამზოგავო, ნურც შემინახავო. ურამანმა უთხრა, აბა ჩემო ერთგულო საყვარელო და ამხანაგო ანუბუზ! დდეს ღვთისა და შენის გარდა, შეტი არავინა მუავს აქ, ვიცი შენის ერთგულობისა და ფაღვეზობისაგან რომ, ჩემთვის თავგაწირული ხარ და სიკვდილს არ მოერიდება, რაც გითხრა ისრე უნდა მოიქცე, ჩემი რჩევა აი რა არის, რომელიც მოვიფიქრე. შენ უნდა დიდის ჯაჭვით ხელები შემიკრა, მხოლოდ ჩემი საომარი იარაღი კი სულ ყველა ზედ უნდა მქონდეს. ასე ხელ-შეკრული ამიყვანე და ციხისაკენ წამიყვანე, შეცინოვანნი დეგნი წინ მოგეტყებებიან. რა მე ხელები შეკრულს მნახვენ, ჩემსა ამბავსა გკითხავენ, შენ ესე უთხარ, „აქვანი-ნარამ ტუვეთ შეიპურა თქო და აქ გამომატანათქო. ამ მიზეზით ციხეში შევალთ და ღვთით ყოველივე გადავიდებო. ანუბუზმა მთახსენა: ეგ რომელიც მიბრძანე, მაგას მაგ გვარად მოვიქმედ და დვილათაც შემიძლიან შესვლა, ისგამ ვაი თუ გვეგონს რამე და ბოლოს ავად მოხდესო საქმე, მერმე რაღა ვქნათო? ურამანმა უთხრა: კაცი ცდას არ უნდა დაზარდეს და დმერთი შემწე იქმნება, მასინ თუ არა ნება ღვთისაა, სწორედ გეტყვი ანუბუზ, ჯინისტანში ცარიელს მისვლას ამ ციხიდგან სიკვდილი უმჯობესია წელანაც გითხარ. შენ ეს ჩემი ნათქვამი აღსრულე და ვნახოთ დმერთი რა წუადობას გვიზამსო. ანუბუზმა ნახა რომ დამლას აღარა გაეწუბოდა რა, სხვაფრივ მოხსენება ვეღარა გაუბედარა, მაგიდა და ურამანს მძიმის ჯაჭვით ხელ-ფეხი შეუკრა, მხოლოდ თვისი სამოცდა ოთხი იარაღი ზედ შეანარჩუნა, მასინვე ურამანი ჰყარში აღიყვანა და იმ ციხისკენ გაემართნენ, ანუბუზმა გახედა ნახა რომ ჯინისტანის მხრისაკენ შავ დრუბელსავით ჰყარით რაღაც აჭანგის ციხისაკენ მოდიან, რა კარგათ დააკვირდნენ ნახეს რომ დევთა აურიცხველი ლაშქარი იყო, დასტა-დასტად დაწყობილნი მოდიოდნენ, ნახეს რომ მათ შუა აჭვანი დევი მძიმის საჭურველით შეჭურვილი—მოვა მრისხანებით.

რა ანუბუზმა დაინახა დიდათ შეშინდა და ძალიან შეფიქრიადა უთხრა: ფაღვეზო, აჭა გზასა შინა აჭვანმა დევმან მოგვასწრო, ათასი წელიწადი სიცოცხლე რომ გვექონდეს ერთსაც ვეღარ მოვირჩინთო, თქვენც ისრე შეკრული ბრძანდებით. ესე თქვა და იმედი გარდაიწვიოტა. ურამანმა გაიცინა და უთხრა: „ანუბუზ ნუ გეშინიან, აჯაღს უწინ არავინ მამ-

კვდას, შენ რომლისაჲ გზით და ხერხით ეცაღე რომ შენი თავი რა-  
გორმე მოარჩინო და შენ მე ხელშეკრული აქვანს მიმეცი, ვნახოთ დღით  
რას იზამს“. ამ სიტყვებში და ღაზარაკში რომ იყვნენ, ქუი-ბაბუთის წინ  
მიმაჯაღმან დევებმა ანუბუზთან მოახწივეს, ნახეს რომ ერთი ადამიანი,  
ხელ შეკრული, ანუბუზს ცხისაკენ მიჰყავს. რა ერთმანერთი გაიციეს მი-  
ესაღმნენ და მოიკითხეს, ვიდრე ესენი ერთმანერთს მიესაღმებოდნენ, აქ-  
ვანი დევეტ მოვიდა. აქვანი იმიტომ მოდიოდა რომ ანუაფუზი ჯინისტნის  
ქვეყანაში ტყვეების მოსაკრებლად გაეგზავნა და დაგვიანებისათვის გან-  
რისხებულყო და ანუაფუზთან მოდიოდა, რადგანაც მუშთარობანსთან  
ერთი წლის ვადა დაეღვა და ვადა შესრულებულიყო და რამდენიმე დღეც  
შეტი გასულიყო და ანუაფუზისაკენ ამბავი არ მოსულადა, აქვანი ამი-  
ტომ დიდათ იყო განრისხებული. თავისი შვილი ქაბუნ-ნარა ასი ათასის  
დევით გაეგზავნა და ეთქვა, ჯინისტნის მამდნი გაწვიტე და დიანნი  
სავზაბაკში მოასხიო. თუ ანუბუზი შენი შემწე არ შეიქმნას, თავი მო-  
სჭერ და აქ მომიტანეო. ქუი-სურხარაბიტ შენთვის მამიციო, მე კი აჭან-  
გის ცხეში წავალ და იმ ტყვეებს ერთს გზას მივცემო. ამიტომაც  
მიდიოდა აჭანგის ცხეში, რომ იქაური სჯამე გაერიგებინა. მაგრამ ან-  
უბუზს ადრევე შეეტყო აქვანის გაწერა და ანუბუზი წინ მიეკება,  
აქვანის თავუანი სცა მივიდა და ხელს აკოცა, და უარამანი ხელეშე-  
კრული მართვა, მოახსენა: „ჰე ბაბუთის მადლო ხელმწიფე! ნიდა-  
გამც შენი მტერი ასე შეკრული შენ წინ მოგივიდესო“. აქვანიმ უარ-  
მანს შესედა, ნახა რომ ერთი უსწორო ფაღავანი სამოცდა ოთხის ა-  
რადით შეჭურვილი ანუბუზს ჰკიდა, ესრედ საშიშრად ჰსჩანს რომ მის-  
ნი შემხედავნი სულიერნი შიშით გონებას დაჰკარგავდნენ. მაგრამ უ-  
არამანს კი ამდენის დევისაკენ არა ეფიქრებოდა რა, იქით და აქეთ მი-  
დოროსა შენობათა და ტყვეთა უშიშრად უყურებდა.

რა აქვანიმ უარამანისა იმ გვარი სახე დაინახა, დიდათ განჰვირდა  
და სხვანი ხვადნი დევნიც ვინც იმყოფებოდნენ, უცნობოდ შეიქმნენ, მის  
ყურებას ვერ გაუძლეს და ზირები მოარიდეს. რა უარამანს შავის მთის  
ოდენმა აქვანიმ შეჰხედა, აქვანის ტანმა ხის ფურცელივით თრთოდა და  
იწყო და ცნობა დაჰკარგა, მსწრაფლად ისევ გონებას მოვიდა და უბრ-  
ძანა: ჰე ანუბუზ! მე ჯინისტანში გაგზავნე და შენ აქ რას იქ? ან ეს  
ადამიანის ნათესავი სად ჩაიგდე და ან სად მიგყავსო, შენ ხომ ამის  
მორევანს ვერ შეიძლება. სწორედ მითხარ ეს როგორ იხელეთო?

ანუბუზმა მოახსენა, ხელმწიფეო, მე რომ ამას წინათ ჯინისტანში  
კამისტუმრეთ, მივედ თუ არა შვიდასი ტყვე მოგერიბე მფინდომე რომ



სავსაბარში თქვენს სამსახურში მომესხა, იმ უამად ვნახე რომ ზოცადი მოვიდა და ეს ადამიანიც თან მოიყვანა. ჭე, ხელმწიფეთა ხელმწიფე! შეგობენით სავი დღე და დამე ვიბრძოლეთ, მრავალს ვეცადე ომით და ვერა გავაწყურა ამასთან. მეოთხე დღეს შეიდასნი ნარა დევნი და მე, დავუმზადენით და თქვენის დოვლათით და ათასის ცდით ძლივას დავი-მორჩილეთ, შეგვარით და ვაზირებდი რომ სავსაბარში მომეყვანა, „მაგ-რამ ამბავი შეგიტყვივი რომ აჭანგის ციხისაკენ წაბრძანებულეიყავით: 'შემ-დეგ მე ეს ადამიანი ავიკიდე და აჭანგის ციხისაკენ წამოვიყვანიე, ზო-რადი და შეიდასი ტყვე დაჭერილი ჩემს ძმას თუაბ-დევს მივბარაკე“.

აქვანიმ რა ზოცადის დაჭერა გაიკონა დიდათ იამა, ანუბუზს ქება შეასხა და გამარჯვება მიულოცა და სავსაბარში მრავალი ადრეუქვა, ამ-ბის კითხვითა და შექცევით აჭანგი-უაღას მოვიდნენ. იმ უამად ანგურ-დევი რომელიც იყო ციხის თავი და აქვანის სარდალი, იმან შეიტყო რომ აქვანი ციხეში მობრძანდება, წინ მოკეტება ვითარცა მართებული იყო, და იმ რიგათ შეიყვანა ჰსტივით. რა აქვანი მივიდა თვისსა ტახტსა დაბრ-ძანდა, ანგურ და ანუბუზ მარჯვნივ და მარცხნივ დასხდნენ, სხვანიცა რომელიც სხდომის დირსნი იყვნენ მათ ქვემოთ დასხდნენ, ნადიმი და მუჯლისი გაიმარათა;—რა დევთა დვინომ დასძლივა ბრძანა, სეოლან-შაჰა და მუშთარ-ბანო და სხვა ზურბილნი ეგულა მოქსნათ: მათ ბრძანება ადასრულეს და ეგულანი მოასხეს აქვანის წინაშე. რა მათ აქვანი იხილეს თვისის თავებიდან იმედი გარდაიწვივითეს და ერთმანერთს ესაღებოდ-ნენ. მათ უკან უარამანი მოიყვანეს. მძიმის ჯაჭვით შეკრულ-შეპეტღილი და მათ ქვემოდას დაახოქეს. რა უარამანმა აქვანი იხილა ას ოცის მწერ-თის სიმაღლის მქონებელი ტახტსა იჯდა, ერთი გუმბათის ოდენი დიდი ღახტი წინ ედვა და მსაჯულად ბრძანებოდა, ნახა რომ ორმოცდა ოთხი დიდებულნი და სულთანნი წინ ეხოქა და მუშთარ-ბანოც ამათში იყო. ვითა მზე ქვეყანასა, ეგულას ისე ანათებდა, უარამანმა მაშინვე შეატყო რომ ზოცა-ბის სანატრელი და სატრფო მუშთარი ის იყო. ენება რომ იმავე წამს იგი. ჯაჭვები დაემსხვრია და ტახტს ზედან მჯდომი აქვანი მაშინვე მოეკლა, მაგრამ მოთმინებას მისცა თავი, გულსა შინა სთქვა, ვნახათ საქმე სა-დამლის მიაღწევსო. ამათაც უურება დაუწიეს უარამანს; იხილეს რომ ზურ-ბილათ ჭევიანდათ ერთი ადამიანთ-მოხანთესავე. თქვენს ამ საბრძოლ ადამიანთ-მოხანთესავეს რადა დამართებიაო, რომ ესეც ჩვენს ჭირში ჩავარდნილათ?

რა მუშთარ-ბანომ იგი ფაღვეანი იხილა იმედი მიეცა და გულსა შინა შიში დაუმსუბუქდა. აქვანიმ ჯინისტის ხელმწიფეთა შეხედა და უთხრა: „დღეს წელიწადი შესრულდა ჩვენის ჰირობისა! თუ მუშთარის

ნებას არ დაართვევინებთ თქვენს ჰირობაზე, მამიჩემის მზემა ყველას სიკვდილს მიგცემთ! იმ უამად მათ ისეთი მრისხანე თვალთ შეხედა რომ, მუნ მეოფნი მისი შიშის ზარისაგან სულის ამოსვლას მიეწურვნენ. ამ მრისხანების მსმენელნი სეილან-შაჰს და სხვანი დიდებულნი, მუშთარი-ბანოს ყველამ შეეხვეწნენ და სთხოვეს, „ჰე, ქვეყნის მნათობა! ეს ხომ მოგესხენებათ თქვენი ვადის აღსასრული არისო, ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი შენზე და ჰკიდა, ერთობით გვედრებით ნება მისცე აქვანის და ამდენს სულს შენი გულისათვის ნუ დაახოცნიებო, რამდენი ასი ზორობისთანა მოსამსახურე ახლავს ხომ იცი, დმერთი იწამე და ჩვენი სიცოცხლე გვანუქეო!“

რა მუშთარიმ მათგან ესე ვედრება მოისმინა, ესე უპასუხა სირინოზის ხმით: „აქვანი დევისთანა ათსიმც ზორობის ჭირის სანაცვლო შეიქმნასო!... მე სიკვდილისათვის ნურავინ მაშინებთ, მე მაშინ მოვკვდი როდესაც ამ ციხეში დავტუსაღდიო“. ამ სიტყვების მსმენელმან უკამანმა თვისსა გულსა შინა დიდი ქება შესხა მუშთარი-ბანოს. რა ესე სიტყვები აქვანიმ მოისმინა, ისე განრისხდა რომ თვალები ანთებულს სახმილს დაუმზგავსდა, გააღო პირი და ისეთი დაიდრიალა რომ იქ მსხდომნი ყოველნი უცნობო შეიქმნენ. მაშინვე ჯალათებს უბრძანა, ჰურობილთა დახოცვა. იმ უამად ბრძანებისა მისისა აღმსრულებელნი ჯალათნი წინ წარსდგნენ და მათის თავების დაკვეთისათვის დაემზადნენ.

აქ უარამნისაგან აჭანგის ციხეში მისვლა, აქვანი დევის მოსაკლავად, მუშთარი-ბანოს და სხვათა ჰურობილთა გამოხსნა ტყვეობიდა.

იმ უამად უკამანი თვალანობის ნამუსს ჩავარდა, ღვთის სახელი ასხენს და მადლის ხმით ჩვეულებისამებრ ასეთი შესძახა რომ აჭანგის ციხეში და ქუი-ბაბუთის ქვეყანამ სრულიად, იმ არე-მარემ ზრიალი დაიწყო, იმის ხმაზედ, ციხე ისე საშინლად შეიძრა რომ კაცს ეგონებოდა ცა ქვეყანას დაეცაო, იმ რკინის ციხეში მეოფნი დევნი უსულო შეიქმნენ. რადენსამე ხანსა გულშემოყრილნი ძირს ეუარნენ. უკამანმა მაშინ იგი ჯინჯილები რომლითაც თვითონ იყო შეკრული, სრულიად დაღეწა, შემდეგ სხვანი ჰურობილნი გაანთავისუფლა დევებს. საომარი იარაღნი წაართვა და იმათ მისცა, მივიდა და სეილან-შაჰს მოახსენა: „დღეიდან ძალითა ღვთისათა ნულარ იშეშვით, მე თქვენის გამოხსნის გულისათვის მოვსულვარ რომ გაგანთავისუფლოთო“. რა უკამანისაგან ესეთი სიტყვები ისმინეს სიხარულსა მიეცნენ ყველანი, რა უკამანმა იმ ჰურობილ-



თა ესეთი იმედისი სიტუებები უბრძანა, მაშინვე მადლისა ხმითა დანი-  
ძახა: „მე ვარ ურამან უთილი სხაბერანი, თქვენი უწყალოთ ამომ-  
წვევტელი და უაფის-მთის დეგებისა“!...

რა აქვანი დევი ცნობას მოეგო, ნახა რომ ურამანს ბასრი ხმალი  
ხელთა უჭირავს და პირის-პირ უდგას, მადლისა ხმით ურამანს შესძახა,  
„ზულუმ-მთა და უაფის-მთა სრულიად გააოხრე! ჩემი უსწორო ძმა ათარი  
მოჭკაღ და ახლა აჭანგის ციხეშიც მოხველთ!? ეს შენვე იცი რომ შენმა  
წერამ მოგიუფანა აქ სასიკვდილოთ“. მაშინვე თვისსა გურზსა ხელი მო-  
ავლო და ურამანს მოუდერა, ურამანმა მსწრაფად ქეომარ - ხელმწიფის  
გურზი მიაკება მისსა გურზსა, რა გურზი გურზსა მოხვდა, მათგან  
ასეთი ხმა გამოხდა რომ, მათი ხმა ზეცას აღიწივა, მაგრამ ურამანს  
არა ევნოდა. შემდეგ რა რიგი ურამანს ერგო, ბასრსა ხმაღსა ხელი  
გაიკრა, სახელი ღვთისა ახსენა და აქვანს მოუქნივა, მან თვისი გურზი  
თავსა ზედან იფარა მისგან შეკლას ელოდა, მაგრამ ესრედ შედგრად  
დაჭკრა რომ ურამანმა გურზი შუაზედ გადუწვიტა და ცალი მკლავიც  
გააგდებინა, აქვანიმ ხელი დაავლო თვისსავე მკლავსა და ურამანს შე-  
სტყორცნა, ურამანმა იგი ფარს აატანინა, მეორეთ შემოჭკრა ერთი ხელი  
და ერთი ფეხიც მოსწვიტა, მაშინ აქვანი გარდაიქცა, მესამეც შემოჭ-  
კრა მას ბილწსა და თავი ბურთავით გაუგოდა, და მისი სახსენებელი  
ქვენიდამ აღბრცა, და იმის ბილწი სული ჯოჯოხეთს გაისტუმრა. რა  
მისმა სარდალმა და ციხის თავმა ანგურ-დეგმა და მუნ მეოფთა დეგთა  
იხილეს, გაჯავრებული გულ-მესისხლეთ, ყოველმა ერთ-პირათ შემოუ-  
ტივეს ურამანს, მაშინ ურამანმა სამი ნარა ერთმანერთზედ გასწია,  
ბსე რომ მისის ხმისაგან ცა და ქვეყანა ირუედა, ანუბუზს უბრძანა:  
„შენ ჯინისტის ხელმწიფენი შეინახე რომ იმათ ამ ომში არა ევნოთ-  
რა, და მე ამ წყეულებს ჩემი ძალ-გული უნდა ვაცნობოვო, რომ საბო-  
ლოთ აღარ დამივიწყოხნო. ესე სთქა და შეუტივა და მცირესა ხანსა  
ყოველნი გაუჭირვებლად ამოსწვიტა და განაქარვა. ნახა რომ, ნახოდა  
დეგების მდინარის სისხლს კაცი ვერ გაუვიდოდა, შემდეგ ღმერთს  
მადლობა შესწირა ურამანმა და შეისვენა ცოტა ხანს.

რა ანგურ-დეგმა და სხვათა გადაჩოხილთა, იმათზე იმ გვარი რის-  
ხვა ღვთისა იხილეს, შეიგნეს რომ ომით აღარა გაეწეობარა, მაშინვე  
მოვიდნენ ერთობით პირ-მიწაგაერთებით ურამანს თავყანი სცეს დანაშაუ-  
ლის მიტეგებას ეაჯენ, სეილან-შაჰა, მუშთარი-ბანო და ანუბუზი, შუა  
შემოიუფანეს და მათი შუამავლობით ურამანმა მათი დანაშაული ყოვე-  
ლივე ანატივა. შემდეგ ურამანი შევიდა სასახლესა, სეილან-შაჰა და მუშ-

თარი-ბანო ტახტზედ დასხა, თვითონაც სკამი დაიდგა ტახტს წინ დაბრ-  
 ძანდა: ჭინისტნის დიდებულნიც მის გვერდით დასდნენ. უარამანმა  
 მათთან საუბრობა დაიწყო. მაშინ ანგურ-ნარა დევი მივიდა, უარამანს  
 თაფი დაუკრა და ქება შეასხა, მუხლსა აკოცა და ფიცით საუკუნოთ უა-  
 რამანის მონა შეიქმნა და სხვანი იქ მეოფნი დევნიც საუკუნოდ უარამა-  
 ნის მორჩილნი და მონანი შეიქმნენ. მერმე წავიდნენ აქვანი დევის ცო-  
 ლი და დედა მოიყვანეს და ორასი ადამის ტომიც ჰყოლოდათ იმათ და  
 იგინიც თან მოასხეს, მარადის მათი საჭმელი ადამიანთ ხორცი იყო;  
 ის ადამიანები საჭმელად ჰყოლოდათ. უარამანმა იგი ზურობილნი კაცნი  
 მოიკითხა და იმედი მისცა. რა უარამანმა აქვანის დედას შეხედა დიდად  
 გაუკვირდა და ბრძანა: „ხემათ დღეთა ამაზე უბილწესი არსად არა მი-  
 ნახავს რა“. სამოცდა ხუთი მწერთა სიმადლე ჰქონდა ოავი ვეთხვს უგ-  
 ვანდა, შირი საშინლად დაედრინა, კაც ეგონებოდა რომ ვინმე უნდა  
 ჩაუღამოსო, თორმეტი კბილი გარეთ დაკიდებული ჰქონდა, თვალები  
 დიდსა ფარს უგვანდა, ზევათი ქუთუთოები არა ჰქონდა, ძუძუები დიდ-  
 რონს თულუხებსავით ეკიდა, ფეხები ფრინველს ემსგავსებოდა. აქვანის  
 ცოლიც იმასა გვანდა. რა აქვანი იმათ მკვდარი ნახეს, დედასა და ცოლ-  
 მას მას ბილწზედ ბევრი იტირეს მისცვიდნენ და შეჭამეს: რა უარა-  
 მანმა ესე იხილა დიდათ გაუკვირდა, თურმე მათი წესი ესე იყო. მა-  
 შინვე აქვანის ცოლი ანგურ-დევის ქუი-სურხაბის სულთანს შერთო, მერ-  
 მე უარამანმა უბრძანა: „მე მსურს რომ ზღვის კუნძულები ვიხილო,  
 ამიყვანეთ და იქ წამიყვანეთ“.

აქ უარამანისაგან ზღვის კუნძულზე წასვლა, და იმ ზღვი-  
 დამ მხეცის გამოხვლა, იმ მხეცის ჭიდილი და უარამა-  
 ნისაგან ხელების დაკვეთა და ეგრე ზღვაში შესვლა.

ღნეაბუზ-ნარამ უარამანი შეისვა და ორნი დევნი სხვანი მოვიდნენ,  
 სეილან-შაჰა და მუშთარი-ბანაც იმათ შეისვეს, ანგურ-დევი მართებულის  
 ჭრევით წინ გაუძღვათ, ოკეანეს ზღვისაკენ თამაშის საუურებლად გაემართ-  
 ნენ. რა იმ ზღვის ძირში მივიდნენ რომელიც ჯაზარაში იყო, მას შინა  
 მეოფნი დევნი მოვიდნენ ანგურთან ამბვის შესატყობლათ, ანგურ-დევმა  
 უარამან სანაპირანისაგან აქვანი დევის სიკვდილი და ქუი-ბაბუთის თვის-  
 თვინ ბოძება უამბო. იმ კუნძულებში მეოფთა დიდებულთა და მცირეთა  
 უველა წვრილად უამბო. რა მათ ესეთი საკვირველი ამბავი გაიგონეს  
 გაჭკვიდნენ და დიდსა სიხარულსა მიეცნენ, ამისთვის რომ იმ წყეულ ისა-

გან მრავალ მწუნსადაც იყვნენ და მრავალს ტანჯვას აყენებდა და ცუდუბრად საქმედად გაუკითხავად ჰხრდა იმათ.

იმ უამად ჯიმა-აზირაში მყოფნი დიდნი თუ მცირენი ყოველნი თან წამოასხა, ყარამანთან და თაყვანი აცემინა და დამორჩილა. რა ყარამანმა სრულებით მუნ მყოფნი დაიმონა, მერმე ქუი-სურხაბისაკენ წაბძანდა, ანუბუზმა ქუი-სურხაბში მრავალი საკვირველი თვისებაები აჩვენა, იმ უამათ ყარამანმა იმ ჯიმაში ას ოცდა ერთი საკვირველი მადანი იზოგა ისე რომ იმისთანა მადანი არც ერთ ადგილას ენახა, და მისთვის დიდსა მხიარულებას იყო, ყარამანმა შეხედა ზღვის საშუალ ალაგს და ერთი მორთული მთა ნახა რომელიც სიმაღლით თავი ცასა სწვდებოდა, თურმე ქუი-სურხაბი იმ მთას ეწოდებოდა, იმ მთის ნყოფი წყე თუ მიწა ესრედ წითელი იყო რომ, ახალფერით შედებულს ემსგავსებოდა. რა ყარამანმა იგი იხილა ათი დღე იმ ალაგს დაჰყო, და მეთერთმეტე დღეს ისევ აჭანგის ციხეში მობძანდა, შემდეგ ჯინის ტნისაკენ წამოსასვლელად მზადება იწეეს, რადესაც მოემზადნენ ყველანი წამოვიდნენ.

აქ ზღვის კაცისაგან ყარამანის ჭიდილს და ყარამანი-საგან მისი ხელების დაკვეთა.

**რ**ა ყველანი მოემზადნენ წამოსასვლელად, იმ უამად ნახეს რომ ხარის მგზავსად შექმნილმა თილისმამ, იმ კალანის პირზედ ტრიალი დაუწყო. რა ყარამანმა და მუნ მყოფთა დევთა შეხედეს, თილისმის ტრიალსა, ყარამანმა გაიკვირვა! შვიდი დღე და დამე დაუფრებლივ იტრიალა, შემდეგ ისე ძლიერ დაიფურია რომ იმ მთა და ბარში მისი გაუგონებელი არაფინ დარჩა. მიბრუნდა და პირი ზღვას შეაქცია, ანუბუზ იმის თილისმის ყოველისავე მეცნიერი იყო, ზე აღზდგა და სააზერანს მოასსენა: ჰეი, ფალეგანო! აბა იმ ზღვისაკენ შეიხედე ნახე რა ამბავიაო. რა ყარამანმა ზღვას შეხედა ნახა რომ ის ზღვა ისრეთ აღიოდა და ჩადიოდა რომ ქუი-ბაბუთის მთას სწვდებოდა, მცირეს ხანს უკან ნახეს რომ ერთი კაცის თავი გამოჩნდა, რისავე მხარეს თმები გარდაშლიდა, და იმის თმებს ერთი თვალუწდომი მინდვრის ოდენი ალაგი დაეჭირა, ცალის თვალადამ მეორე თვალადინ ერთი ალაჯი სიგანე იქნებოდა, რა ტანი დაუნახეს ღომის ემსგავსებოდა და მისს მხარ-ბეჭთა სისრულე მადლსა მთასა ჰგვანდა, წელს ზევით ორმოც-და-ექვსი ხელი ება და ვეფხვის ტოტებს უგვანდა, თითო ხელის სიზრტეე თითოს კალოს ოდენი ჰქონდა. რა ფეხი ხმელეთზედ გამოდგა სიმაღლით თავი აჭანგის ციხეს შეუსწორა,

და ორხსავე მხარეს ურუბა დაიწყო, და ორმოც-და-ექვსის ხელით ტაში დაუკრა, და დიდის კასკასით სიცილი დაიწყო. მისს სიცილზედ და ტაშის კვრასზედ ისრეთი ხმა გამოხდა რომ იგი მთა სრულიად შეიძრა. რა იგი კაცი იხილეს და მისი ხმა ესმათ, იმ ალაგს მყოფნი სულ გაიქტნენ, იმ ზღვის კაცმა აჭანგის ციხეს მომართა და საცა უკამანი იყო მის ალაგს მოვიდა და აჭანის სასახლის ბურჯის წინ დადგა, იმ უამად უკამანიც იმ სასახლის ბანსა იჯდა, მაშინ იმ საშინელის კაცის მხილველნი ჯინისტნის ხელმწიფენი და დიდებულნი სრულებით იმ საშინელი ზღვის კაცის შიშით დაწყლდნენ და უკამანის უკან იმალებოდნენ.

რა იგი ზღვის კაცი მიახლოვდა, უკამანმა ღვთის სახელი ახსენა და მშვილდისარი მოიმარჯვა: შემდეგ სამი ისარი ჰკრა, ესრედ ძლიერად შესტურდნა რომ, თუმცა სალასა კლდესა სტემოდა შიგ კავარდებოდა, მაგრამ მას ვერა ავნო. რა იმ ზღვის კაცმა უკამანისაგან თავისზედ ესე რამი იხილა, განრისხებულმა საცა უკამან იჯდა, იმ კაცმა, იმ სასახლეს ხელები მოაფლო და იგი სასახლე ისე შესძრა რომ დაქტევას მტირე უკლდა, იმ თილისმით შექმნილმა ხარმა პირით ცუცხლის ფრქვევა დაიწყო; ის ზღვის კაცი იმას არ შეეშუა, მიიხედა მოიხედა და უკამანი დაინახა, თავის ორმოც-და-ექვსის ხელით ტაში დაუკრა და კვალად კასკასით გაიცილა, ასე რომ ამ ხმაზედ იმ კალაფანმა ზრიალი დაიწყო. იგი ზღვის კაცი მივიდა და რამდენიმე თვისი ხელი უკამანს სატყეელში ჩაავლო, და მაგრად დაუჭირა, ესრედ რომ იმისმა ბრჭყალებმა ჯაჭვი დაახია და ხორცმდინაც უწივა, ენება რომ უკამანი ადევანა და ოკიანეს ზღვაში გარდაეგდო, მაგრამ ძალითა ღვთისათა ვერცა თუ ალაგადამ შესძრა. რა ჯინისტნის ხალხმა და აჭანგის ციხის მყოფთა დევთა იმის მკლავები იხილეს, უკამანის იმედი გარდაიწვიტეს და რაც შეეძლოთ შორს იმალებოდნენ, მაგრამ ანუბუზ და ანგურ-დევი თუმცა იმ-იშვიდნენ იმ ზღვის კაცისაგან; მაგრამ ფალევენობის ნამუსსა ჩავარდნენ და უკამანთან დადგნენ, სხვანი კი გარდაიხვეწნენ და დაიმაღნენ—მაგრამ ამ ორთა თქვეს: რაც უნდა დაგვემართოს, ვნახოთ ეს ფალაფანი ვითარ შეებმის და რას იქნა? იმ ზღვის კაცს ისეთი ჩვეულება ჰქონდა რომ ხანდისხან ხმელეთზე გამოვიდოდა და უნდოდა რომ ხმელეთი სულ ერთიანათ მოენადირობინა, მაგრამ ის თილისმა კალაფანზედ რომ იყო შექნილი, იგი რამდენისაზე დღის წინათ შეიტყოდა და ტრიალს დაიწყოდა, მუნ მყოფნი ყოველნი დაიმალებოდნენ. რა ხმელეთზე ფეხს გამოსდგამდა, რომ სულთერს ველარავის ნახავდა, ზღვაშივე ჩავიდოდა.

რა იმ უამად უკამანი მუნ მყოფი იხილა, დიდათ გაჭკვირდა, და

მისი ზღვაში გარდაცდება დააპირა, იმ ზღვის კაცმა რომ ვერ შესძრა მეორე ხელიც მოატანა. რა უარამანმა ესრე იხილა მაშინვე ხმაღსა ხელი მოიფლო, მკლავებსა შემოჭკრა, და ორი მკლავი გააგდებინა, მისი მკლავები ძირს დაეცნენ მარმარილოს სვეტებივით. როდესაც იმ კაცმან უარამანისა ესრეთი ძლიერება ნახა, ერთი ასეთი შესძახა რომ მისის ხმისაგან ქვეყანა შეიძრა, იქილამ ახლტა და ზღვის საშუაღს ჩახლტა და ზღვა ორათ გაიყო, ისე რომ ოკეანეს ზღვის ძირი ლამის გამოჩნდა; იმ ჩახტომასზედ დეღვა შეიქმნა, ისე რომ იგი ქვეყანა სრულიად წყლით აღივსო და უცხო საკვირველი მხეცნი, ზღვის ტალღამ გარეთ გამოიყარა და ზღვის სხვა და სხვა საკვირველი ხმები ასტუდა, ასე რომ კაცისა გონებას მოსტაცებდა, იმისთანა საკვირველება კაცის თვალს არ აღეს არ ენახა, ორმოცი დღე ზღვიდამ გამოსული წყალი იმ ქვეყანაში არ დაშრა, იმ ზღვიდამ ერთი ტირილისა და გლოვის ხმა გამოვიდოდა რომ მსმენელთ ესრეთ ეგონათ რომ ასი ათასი კაცი ერთად შეკრებილან და ტირიანო. რა იმ ქვეყნის ხალხმა უარამანს შემოხედეს, ბასრი ხმალი ხელთა უჭირავს და მისის ხმლის პირისაგან სისხლი წვეთს, და იგი ზღვის კაცი აღარსად ჰხინას, და უარამანი ზღვისაკენ ისეთის მრისხანის თვალთ იუურება რომ მისის გულის ძვერა ერთსა აღაჯსა გაიგონებოდა, წინ ორი საშინელი მკლავი ეგდო, მისი თითები თვითოდ იდღსა მარმარილოს სვეტს ემსგავსებოდა, და უარამან დიდათ გაცოცხლებული უუურებდა, შეატყუეს რომ ეს ხელი მის ზღვის კაცისა იქნებაო; წარმოსდგნენ და უარამანს თავი დაუკრეს, დალოცეს და ქება შესხეს, გამარჯვება მიულოცეს: ფალეგანმა მრავალი მადლობა უბრძანა. მეომე დასხდნენ, უარამანმა ბრძანა; „ერთსა თეთრსა მარმარილოს ქვაზედ, ჩემი და იმის სახე გამოხატეთო“.

რა უარამანისა ესე ბრძანება გაიგო ანგურ-დეგმა, მაშინვე ზღვაში ჩახლტა, სამი დღე იმ ზღვაში იმყოფებოდა, მეოთხე დღესა გამოვიდა და ერთი სამოცდა ექვსი ადგიანი მარმარილოს სვეტი, გამოიტანა მას ზედ ოცდა ცამეტი სტრიქონი რომ იყო დაწერილი, დიდის ცდითა ზღვის პირილამ აჭანვის ცხეში მიიტანა, და უარამანის წინ დასდგა.

რა უარამანმა გაშინჯა დიდათ გაჭკვირდა, უარამანმა უბრძანა: „ესეთი უცხო რამ საილამ იშოვნეო? მან მოახსენა. ჰე, სააბურიანო! ზღვის ძირში ორმოცი ადგილის სიგანე და ორმოცი სიგრძისა, ერთი ქალაქი ვიპოვნე მისი ცხე თუ ქალაქი და სასახლე და კოშკები, უოველივე შენობა მწვანის მარმარილოთი არის ნაშენი, ეს სვეტი ერთს დიდსა სასახლის წინ იდგა, იმასთან ოთხი სხვა სვეტი დგას. რა უარამანმა ესე მოისმი-



ნა, უბრძანა: ანგურ, იქნება იმისთანა წამალი რამ, რომ მეც იქ ჩავიდე და ის ქალაქი ვნახო? ანგურმა მოახსენა: ეგ როგორ შეიძლება რომ ადამიანთ ტომი ზღვაში ჩავიდეს და არ დაიხრჩოსო. უკრამანმა მიუგო, „თუ ერთს საშუალებას არ მოიგონებთ რომ მე ამ ზღვაში ჩავიდე და ის ქალაქი არა ვნახო, იმისი ჯავრი მომკლავსო“. ამ სიტუვას ზედა ვინც იქ მოუფინი ჯინნი იუვნენ, ანუ დევნი ეგელანი იქ შეიყარნენ და უკრამანს მძიმეთ სალაში მისცეს, ანუაბუზ დევმა უკრამანის ბრძანებუელი სიტუვა იმათ უამბო, და ესეც უთხრა, ესე იგი უკრამან არისო, რომ უარუნ-ხელმწიფის თილისმა და ქეიომარ-ხელმწიფის თილისმა გატყეს, და თორმეტი ზურობილინი დევნი გამოიყვანა და ქეი-უამარში ათარ-დევნი მოჰკლავს. ესე იგი უკრამან სააბუიარანი არისო, მეჩემ აქ მოვიდა, აქვანი დევნი მოკლავს და ახლა კუკანეს ზღვაში ჩასვლას მოუნდომებია, ამის წამალი არის რამე თუ არაო? რომ სააბუიარანი ზღვაში ჩავიდეს და უვნებლად იაროსო?

რამათ შეკრებილთა უკრამანის სახე იხილეს, ერთმანერთს თვისის ენით ეუბნებოდნენ, ამას წინათ მრავალნი სააბუიარანები მოვიდნენ მაგრამ ამისთანა სახის ფალევანი არ გვინახავსო, ეტყობა რომ მეორედ მოსვლა მოახლოვებულაო, რომ ამისთანა სააბუიარანი მოკვლევიანო. შემდეგ მოვიდნენ და უკრამანს სალაში მოახსენეს და ქება შეასხეს, დასხდნენ და უკრამანის ზღვაში ჩასვლას ფიქრობდნენ, გადაწყვიტეს, ერთი ბრძლის სახლის გაკეთება მისი გარეშემო სრულად აღმასის შუშებით და ბასრის ხანჯლებით შემოჭედვა, რომ მხეტია ზღვაში არა ავნონ რა, ადგილ-ადგილ დევების დასაჭერი ალუები გაუკეთეს, და უკრამანს მოართვეს, უკრამანი მამინეკ სახანავად მივიდა და ძლიერ მოიწონა, იგი შიგანაც შევიდა, შიგნიდან გარეთ ეგელასა ხედავდა. შემდეგ მათ სამის წლის საზრდო მას სახლში შეზიდეს, ჯინისტინის სუფთნები მივიდნენ უოველინი, უკრამანს გამოქსალმნენ, მოახსენეს, ფალევანო! ეგ რა ფიქრი იყო რომ თქვენ იფიქრეთ, ჩვენ ესე უზატრობით გვიშვებ. სხვა სააბუიარანებს ეგ არ უფიქრიათ და არც არავის მოუნდომებიაო. დიდის ვედრებით წაუსვლელობას ევედრებოდნენ, მაგრამ არ დაიშალა. სეილან-შაჰას დაავალა უკრამანმა და სთხოვა. „თუ ვინიცობა მე კუკანეს ზღვაში დავრჩე და იქ დავიკარგო და ვეღარ მოვიდე, მამინ თქვენ ბადიარამში მიდით, და იქ ჩემთან მოყოლილს ფალევნებს აცნობინეთ ჩემი ესე ამბავი. მე ერთი სატროფო მუავს, სახელად სარვინურამან წოდებული, ამას ჩემი ამბავი უამბუ და შეატყობინე, მეჩემე შაჰნალ-შაჰას შემახვეწე, რომ იგინი ისევე ადამიანთ სამყოფს მისახან, უშანგ-შაჰის სამსახურში მისწიონ და ჩემი ამბავი უოველივე დაწვრილებით უშანგსაც მოახსენონ. ვითარ აჰანგის ცი-

ხეში ერთი ბროლის სახლი გააკეთებინე და ვითარ ზღვაში ჩაყვდი და  
ოქ დაფიკარგე და აღარ გამოეჩნდი“.

აქ ყარამანისაგან ზღვაში ჩასვლა ზ საკვირველების ნახვა.

**რ**ა ესე ბრძანა, ორმოცნი დევნი მოვიდნენ, ჯინჯილები გასერკებ-  
ზედ გაიმაგრეს, ორმოციც მისს ბროლის სახლზე უნდა გამოებათ. ის  
ორმოცნი დევნი იმა ზღვის ქალაქისა უცხო ბელადნი იყვნენ, მრავალჯე-  
რაც უფთელიყვნენ, აჭანგიდამ აფრინდნენ და იგი ბროლის სახლი ყარა-  
მანითურთ ზღვაში ჩაიტანეს. რა ყარამანმა ზღვის ოთხსავე მხარეს უუ-  
რება დაუწყო, გაგონების გასაცრებელი საკვირველება ნახა, რომ კაცის  
თვალისაგან არ ნახულიყო, ყარამანმა რა ესენი იხილა, დაშბადებულს  
მადლობა შესწირა, სამი დღე და დამე ზღვაში იარეს, მეოთხე დღეს  
დასავლეთის მხრიდამ ერთი გრიადი მოესმათ, რა შეხედეს იმ მხრისა-  
კენ, რადცამ დაახედა, მეორე ზღვის მხარეზე ნახეს რომ ბნელაში ერთი  
დიდი შთის ტოლი, რადც გამოეჩნდა, ყარამანმა რა იგი დაინახა დევებსა  
ჭკითხა, ეს რა ამბავია?! დევებმა მოახსენეს: საბუირანო, დასავლეთის  
მხრისაკენ ერთი კუნძული არის, სახელად საბურის-კუნძულს უწოდებენ,  
ერთი მხეცი იმყოფება იმის ძირში; მაგრამ ეს მხეცი ვერ დაგვიინახავს,  
ძლიერ მესისხლე მტერი კი არისო. ამ სიტყვის თქმაში ერთი ძლიერი  
გრიადი მოვიდა, თურმე ის მხეცი ნიანგს გამოეჭტეოდა და ნიანგი უკან  
მოსდევდა. რა დაინახეს იგი ნიანგი ერთი ისრეთი საზარო სანახავი იყო  
რომ მნახველნი მის ურების შიშს ვერ გაუძლებდნენ. როდესაც ანგურმა  
და სხვათა იგი ნიანგი დაინახეს, თვასის თავის იმედო გარდაიწვიოტეს,  
ყარამანიც ღმერთ ევედრებოდა. იმ დევთა იგი სახლი ცალ მხარეს მია-  
ფარეს დიდის ცლითა და ვაი ვაგლახით და შემდეგ თვითონაც ნიანგი-  
საგან ცალის მხრისაკენ მსწრაფად დაიმაღნენ. რა ნიანგმა იგი მხეცი აღ-  
მოსავლეთის მხრისაკენ გაიგლო და უკან მისდევდა, ესენი დიდსა სიხა-  
რელსა მიეცნენ და თავის გზისაკენ გაემგზავრნენ, ყარამანმა ორმოცი  
დღე და დამე ოკიანეს ზღვაში განვლო, და ვიდრე ოკიანეს ზღვის ძირში  
იყო. როდესაც იმ ქალაქს მივიდნენ, ანგურ-დევმა მოახსენა, თვალყვანო  
იგი ქალაქი ეს არისო, ყარამანმა ძლიერ უურადლებით დაათვალიერა.

როდესაც ყარამანმა იმ ქალაქის შენობანი ნახა, ათი დღის სავალად  
სიშოროთ მწვანე მარმარილოთი ერთი ქალაქი იყო აშენებული, დევებო  
წავიდნენ იგი ციხე-ქალაქი სრულიად დაიარეს და თვითეულად ერთსა-  
მალაქსა კოშკსა ავიდნენ, ამ კოშკსა წინა ერთი უცხო მდებარე მინდო-

ჩი ქქონდა, იმ მინდორზე ოთხი უცხო სვეტი იყო დამდგარი, ამ სვეტებზედ ას ორმოცი მწერთა კუბო იდგა, და თავით ერთი ოქროს სვეტი ქქონდა, — და იმ ოქროს სვეტს ზევით, ერთი მურასა თავი იდგა, რომ მისი თვლები უფროსო იყო. და იმ ძვირ-თვის თავზედ ცამეტი სტრიქონი რამ ეწერა, იმ სვეტის წინ კვალად ერთი მარმარილოს სვეტი იდგა და იმ სვეტზედ უცხო იარაღები ეკიდა თორმეტ კუთხიანი, და იგი თორმეტი კუთხე ესრეთ ბასრათ იყო, თუმცა დიდის მთის ოდენი ფოთადისათვის დაეკრათ მასაც კი შუა გაჰკვეთდა, ისეთი წამალი ქქონდა წასმული, რომ ამდენს ხანს ზღვაში იყო და არ დაჟანგებულყო, იგი მისესავით ბრწინავდა, იმ იარაღს სიდიდე და სიგრძე ოცდა ათი ადგილი ქქონდა, იმაზედაც რამდენიმე სტრიქონი ეწერა. რა იგი იარაღი იხილა უკამანმა დიდად მოიწონა და თქვა, ეს იარაღები ბარამ-ჯიბილისთვის კარგი იქნებაო. შემდეგ ანუბუზს უბრძანა: ამ კუბოს ხუფს ასწიე. მე მსურს ვნახო ვინ არისო. ანუბუზმა ხელი მიჰყო და აზიდა იგი კუბოს ხუფი, უკამანმა ჩახედა ნახა რომ, ას-ოცი მწერთის მქანებელი ვიდაც იყო, თავი კაცს უგავდა და მას ქვევით თევზსა. ანუბუზმა კუბოს ხუფი ისევ დახურა. და მას გარდა ოთხასი მწვანე მარმარილოს სვეტები იდგა და უფელ სვეტზედ იყო დწერილი. უკამანმა: იმ წერილების ჰიკები გადმოაღებინა და შეინახა. შემდეგ ანგურს უბრძანა, ამ სვეტებთაგან ერთის თან წამოღება. ჩემი მოსვლა და წასვლა ზედ დაწეროთო და აქავ უნდა მოიტანო, ანგურ-დეგმა მაშინვე ერთი სვეტი ამოიღო და მოამზადა თან წამოსაღებლად, უკამანმა სიარულსა შინა ნახა რომ ერთი დიდი გუმბათის ოდენი ქვა ეგდო, იმ ქვას რადაც კარები ეტუობოდა. უკამანმა ჰკითხა, ეს რა უნდა იყოსო ნეტა? ანუბუზმა მაშინვე ხელი მიჰყო გასაღებად, ბევრი ეცადა მაგრამ ვერ გააღო, უკამანი დიდად შესწუხდა ამიტომ რომ უნახველი რჩებოდა. მერმე ანუბუზმა და ანგურმა დიდის ცდითა და წვალებით ძლივას გააღეს, შიგნით ასეთი ბნელი იყო რომ კაცის თვალი ვერას დაინახავდა, ანუბუზმა შამჩრალი ხელთა დაიჭირა და ისე შევიდნენ, ერთი დღე იარეს და იმ ქვის ბოლოს ძლივს გავიდნენ, ორმოცდა ორი წვრილი ოთახები იხილეს, და იმ ოთახებს სათითაო კარებები ქქონდა, იგი ოთახები უველა დაიარეს, და ერთ ოთახთაგანში ერთი ბერი დევი ნახეს, ოთხმოცდა თხუთმეტი მწერთა სიმადლე ქქონდა, საზარო სახილველი რამ იყო, ისეთი დაბერებულიყო რომ წელში მშვილდ-ისარივით მოხრილიყო მეტის სიბერისაგან. რა მან ბერმან დევმა ფეხის ხმა გაიგონა შემოსდა, „შემიწვალე ზარდან დეგო, შენი ბრძოლა ადარ შემოიღიანო“. ანუბუზი წინ წადგა და უთხრა, დეგო ვის

ეხვეწებიო და ან ვისგან გეშინიანო? ჩვენ შენი მტერი არა ვართ, ჩვენ უკამან-ყათილის სააბუიანის მონანი ვართო. შემდეგ იმ ბერმა დევმა უთხრა: „ხვადო დევო! იგი სააბუიანი რომელიც ადამის ტომი არის, ის ამ უძირთ ზღვაში როგორ ჩამოვიდა? მათ მიუგეს ბროლის სახლი გააკეთა და იმით ჩამოვიდაო. რა ბერმა დევმა ესე გაიგონა დიდათ გა-მხიარულდა, ის დევი საში ათასი წლისა ყოფილიყო, თურმე ჭერ ხმე-ლეთი არ ენახა, შემდეგ შეეხვეწა იმ დევებს კარზედ გამოიყვანეთო მეც მინდა ვნახო სააბუიანიო, მათაც გამოიყვანეს და იგი ბროლის სახლი დაანახვეს. უკამანმა ნახა რომ ახუბუხსა და ანგურ-დევის ერთი ბერი დევი მოჭყავთ, რა მიიყვანეს ეს ბერი-დევი უთხრეს, აი უკამან-ყათილი ამ ბროლის სახლში ბრძანდებაო. მოვიდა იგი დევი ამ სახლთან თავი დაუკრა, შემდეგ უკამანმა იგი ქალაქი სრულიად დაათვალიერა მხო-ლოდ იქ ნამოვნი ერთი გურზი, თავი და მარმარილოს სვეტი თან წა-მოიღო, და ის ბერი დევიც თან წამოიყვანა, იმ დევებმა იგი ბროლის სახლი აიღეს და გამომგზავრდნენ, შვიდი დღე და ღამე იარეს და მერვე დღესა ხმელეთზედ გამოვიდნენ და დიდსა სიხარულს მიეცნენ. უკამანმა ღმერთს მადლობა შესწირა და მსწრაფლ ბროლის სახლიდამ გა-მოვიდა და მრავალი სადმერთო შესწირა უფალსა. შემდეგ იქილამ აჭან-გის ციხეში მოვიდნენ მშვიდობიანად. აჭანგის ციხეში შუოფნი სელიან-შაჭა და სხვანი დიდსა სიხარულსა მიეცნენ უკამანის ხილვისათვის, მი-ვიდნენ და ფაღვეანს ხელსა აკოცეს და ციხეში შეიყვანეს დიდის პა-ტივის ცემით. უკამანმა ბრძანა: მარმარილოს სვეტზედ იგი თარიღი დაეწერათ. რა დროსაც უკამანი მოსულიყო, ან რა დროს ზღვაში ჩა-სულიყო, ან იმ ზღვიდამ გურზისა და თავისა და ბერი დევის ხმე-ლეთზე გამოიყვანა, ორმოცი დღე და ღამე აქედამ ჩასვლა და შვიდი დღე იქილამ ამოსვლა, ყველა თვითეულად დააწერინა. რაც რომ გარდა-ხედოდა იქ ყოფნაში. შემდეგ ანგურ-დევის უთხრა, აიღე ეგ სვეტი და ზღვაში ჩაიტა და იმ ალაგას გაამაგრეო. მხოლოდ იქილამ ერთი ნიშანი რამ მოიტანეო. სელიან-შაჭამ და სხვათა ფაღვეანთა დიდი ქება შეასხეს. მაშინ უკამანმა სთხოვა იმ დიდებულთა რომ, მეორე მწვანე სვეტზედც დაეწერათ ყველა იმის მოქმედება და უკამანის სახეც გამოეხატათ და ის თარიღი ყოველივე ზედ დაეწერათ და ციხის სიხლოვეს დაერგათ. ისე რომ მოუშლელი იყოსო, ვიდრე წინასწარმეტყველის დრომდინა. იგი ზღვის საშინელი კაციც უკამანის დაკოდილობისაგან მომკვდარიყო.

რა ესე საქმე ყველა შეასრულა, წასვლის თათარიგი ნახეს, სცა ის ადამის ტომნი იყვნენ და ჯინისტნის სულთნები მუშთარი-ბანო და სხვა-

ნი ხუთასი ათასნი იყვნენ. აქვანის ხაზინა გურჯი თაჯი და წერილის ჰიკები რომელიც ოკიანეს ზღვიდამ გამოეტანა თან წამოიღო და უარამანი და სხვანი წამოვიდნენ, იგი ბერი-დევიც თან წამოიყვანეს და ქუი-ბაბუთის ქვეყანა ანგურ-დევის შვილს ქაბუნ-ნარას მიაბარა, და ხუთასი ათასის ნარა დევით ანუაბუზ და ანგურ წინ გამოუძღვნენ, აღფრინდნენ ჭკერში უარამანითურთ და წამოვიდნენ.

აქ უარამანისაგან ჯინისტანში მისვლა და უარამანისაგან ოკიანეს ზღვიდამ ბერი-დევის გამოყვანა.

იმ ვამად რომ აქვანი დევს თავისი შვილი ქაბუნ-ნარა ხუთი-ათასი ზვადი დევით გაესტუმრებინა სავზაბარდამ ჯინისტანში, თუ ანუაბუზ დევი არ დაგემორჩილეს მოჭკალო და ჯინისტანი გააოხრეო, მამაცნი გაწვიტე და დიაცნი სავზაბარში მოასხიო. სანქაროდ ქაბუნ-ნარა ჯინისტანში მისულიყო, სანქმან-აღამიანთ-მონათესავე და ჯინისტანის დიდებულნი უჭმან-შაჰსთან შეერილიყვნენ, ღხინსა და შექცევასი იმყოფებდნენ ნახეს რომ სავზაბარის მხრიდამ შავის დრუბლის მსგავსად რაღაც გამოჩნდა, და ამათკენ მოდიოდა კითხულობა შეიქმნა, ეს რა უნდა იყო. სო: ანუაბუზისა ერთი ვაჟი შევიდა და მოახსენა: ჭკეი, უარამანის ნაიბო, თქვენს სიმაღლეს მოხსენდეს, აქვალი დევის შვილი ქაბუნ ხუთასი ათასი დევით მოდისო. რა ჯინისტანის ხალხთა ესე სიტყვა შეიტყეს თვისის თავის უიმედონი შეიქმნენ. ზოკაბს გმობა დაუწვიეს, ამ საქმისათვის, სანქმანმა შესედა და უთხრა: ჯინისტანის დიდებულნი, რაზედ გაგისქლათ გულებიო, ესრეთ მწარეთ რაზედ შეშინდითო? აქვანი დევის შვილი რა ძაღლიაო, რომ თქვენ იმისაგან ესრეთსა მწუხარებასა მიეცითო, თქვენ აქ დასხედით მე იმათ მარტო ჰასუხს მივცემო, ესე სთქვა და მსწრაფლად ზე წარმოსდგა, შავის ფოლადით შეიჭურვა და შვიდასი ქუი-სურხარაბის დევი ამასთან მოემზადნენ, საფი გასწიეს და დადგნენ, მერმე უჭმან-შაჰს ჯინებს გაუწვიეს და უთხრა: არა გვრცხვენინანთ? ბროლიაზამიდამ მოსული დევი თქვენის ცოლ-შვილის დასასხნელათ, ხუთას ათას დევს წინ უნდა აღუდგეს და თქვენ კი უფურებთო, შემდეგ ივინიც მოემზადნენ, და სანქმანს ბოდიში მოსთხოვეს ორასმა ათასმა ჯინმა, სანქმანთან საფი გასწიეს და დადგნენ, სავზაბარდამ დასტა-დასტა დევი მოვიდნენ, ეკონათ თვითო და თვითო ჯინისტანს გაგაოხრებთო, ნახეს რომ ჯინნი სულ ერთათ შეერილიყვნენ და საომრად იდგნენ, ისინიც ჭკერიდამ მიწასზე ჩამოხტნენ და დასტა-დასტათ გაეწვივნენ.

რა ქაბუნ-ნარამ მათი ურდობა ნახა განრისხდა, ერთს ხვადს ღვეს უბრძანა; შიდი ნახე ანგაბუზ იქ არის თუ არაო, ის ერთის ეშმაკობით მოჰკვალ და ჯინისტინის დიდებულნი დაიჭირე და ჩემთან მოასხიო! მას შინვე იმ ღვემა თვისი ლახტი აიღო და ლაშქრის სიახლოვეს მივიდა ნახა რამ ერთი საშინელი ხვადი ღვევი შვიდას ღვეთა და ამ ლაშქართა წინ უდგას, ხელთა ერთი აღმასის ნაჯახი უჭირავს, მზესავით ბრწყინავს, ზოკაბიცი გვერდით უდგას: ამ ღვემან უჭმან-შაჭმან, ქაბუნ-ღვევის დავედრებულნი სიტყვა მოასხენა, რა უჭმან-შაჭმამ ესე სიტყვა მოისმინა დიდად შეშინდა და დიდსა მწუხარებას მიეცა.

აქ საჭმანისაგან ჯინისტინის ხალხით აქვანი ღვეის შვილის ქაბუნ-ნარასთან ომი ძლიერი.

**ი**მ ჟამად ამ ღვემა შემოსდა, ვიცი ეს ღვევი ზოკაბის მოუყვანია, პირველად ამ ღვეს მოგვლავ, მერმე თქვენ ხელ-თვეს შეკრული აქვანი-ღვეთან შიგასხამთო, რა ესე სთქვა მსწრათჳს საჭმანს გურზი შეუმაღლა. საჭმანმა თვისი ნაჯახი იტარა: საჭმანმა მისი მოქნეული გურზი ანად მიიჩნია და უშიშრად დადგა. რა რიგი საჭმანს ერგო, ჯინისტინელთა ასე ეგონათ საჭმანს ცნობა მიეთანტა და შეშინდაო, მასშინ საჭმანმა განრისხებულმა ესრეთ შესძახა, ცოცხალს სად მომირჩებიო?! მისწვდა და გურზი ხელიდამ წაართვა და შორს გადაავლო: შემდეგ ასეთი სილხა შემოჰკვრა რამ შეიბნოდა და ძირს დაეცა. რა იგი ღვევი გონებას მოვიდა, საჭმანი მისწვდა მას ღვესა—ორსავ უურებსა მოსწივა და მოკლიჯა, ხელში მისცა და უთხრა: წაიდე შენი უურები და ქაბუნს მიაკრევი, და თვითონ მოვიღეს უჭმან-შაჭმან თავი დაუკრას და მონათ შეეჭმანს, თუ არა და მოედანს გამოვიღეს შემებას და ყარამან-ყათილის მონა საჭმანი მნახოს რაკორი თალეყანი ვარ. იგი ღვევი მასშინვე დიდის კრძალვით შეიჭრა და ქაბუნ-ნარას საჭმანის დაბარება უოველივე წვრილად მოახსენა, იგი დიდად განრისხდა, ლომებრ და ბაბრებრ ბრღვინვა დაიწყო, და ღვეთა ერთობრივ შეტევა უბრძანა, მათ ზოგმა ჰყარით და ზოგმა ქვევითად, მის ლაშქარმა შემოურტოეს. იმ ჟამად ჯინთა ლაშქარი დიდათ შეშინდა, ხალხის ტირილისა და გლოვის ხმა ზეცამდის აღიწივა, ჯინისტინის დიდებულთა რა ესრეთ იხილეს, თვისის სიცოცხლის უიმედონი შეიჭმნენ. მასშინ საჭმანი მოვიდა და უჭმან-შაჭმან მოახსენა, თქვენ ამ ეჭვს ათას ღვეთან დადეგით, მე იმათ ასის ღვეით ზასუხს გავცემო. ესე თქვა და გაერია იმ ღვეთა ლაშქართა და ერთმანერთსა ჰკრა, ისე რამ მარცხენა, მარ

ჯვენსა ჰკრა და წინა უკანსა, უკუ მიაქცოვს, იმ წამსვე რისხვას დღით-  
სა მათზედ მოაღწევს, ეს ხუთასი ათასი დევნი გაჰკვირდნენ საჭმანისაგან  
ესრეთსა ფიცხელსა ბრძოლასზედ.

რას უჭმან-შაჰამ და ჯინისტინის დიდებულთა და ხალხთა ესეთი სა-  
შინელი და საზარელი ომი იხილეს, საჭმანისაგან აღტაცებასა და მზია-  
რულებას მიეცნენ და იმათაც საჭმანის მათურებელნი ფიცხელი ომი  
შეჰქმნეს. რას საჭმანის ომს ვეღარ გაუძღეს შეშინებულნი დასტა-დასტად  
გაიქცნენ ქაბუნისაკენ. რას ქაბუნმა ესე იხილა რომ დევნი სრულიად  
პირბოდნენ, დიდად გაწერას და პირიდან გაჰფარებულმა ცეცხლის ურას  
დაიწყო, ერთი ნარას გასწია და საჭმანს წინ მოეჭრა. რას საჭმანმა ნახს  
რომ ესრედ მამაცურად შეკაზმული იყო რომ, წინააღმდეგომნი მისს ნა-  
რას ვერ გაუძღებდნენ, ხელთა აღმასის ნაჯახი ეჭირას და მრისხანედ  
ომობდა. საჭმანმა ისიც ნახს რომ ერთი ორმოცდა თვრამეტის მწერთის  
სიმაღლის მჭონებელი ერთს მარტო-რქასზედ ზის, ხელთა ერთი მძიმე  
ლახტი უჭირავს და სწორედ მისკენ მივს. საჭმანმა მასშინვე იცნა რომ  
აქვანის შვილი ის იყო, შესძახს აწ ჩემის ხელიდამ შენს სიცოცხლეს  
სად გადაარჩინო და შემოუტოვას, ქაბუნ-ნარამ ლახტი მოუქნია, საჭმან-  
მა ნაჯახის ტარით აიცილნა, მერმე შეორეცა და შესამეცა უგულას აცი-  
ლნა, რას ესრედ შედგრად ომი დაიწყო, ორმოცდა ათასმა დევმა საფო  
გასწიეს და ომს უურება დაუწიეს.

აქ ესენი დაუტევოთ ღმერთს რამ უარამანისა მოიხსენიეთ.

**რ**ას უარამანი ჯინისტინისაკენ ხუთასი ათასი დევით წამოვიდა, გზა  
და გზა შექცევითა და ნადირობით მოდიოდნენ. ანუბუზ წინ მოუძღოდა.  
მობრუნდა და უარამანს მოახსენა. ის მთები რომ სჩანს საგზაბარის მთები  
არისო. რას ფაღვანმა ესე მოისმინა დიდად გამხიარულდა, რას უარამანმა  
იგი მთანი გაშინჯა დიდად მოეწონა დაბრძანა: „ამის უკეთესი ქვეყანა,  
ამ არე-მარეში ჯერ არ მინახავსო“, მოდი ძმანო იმ ქალაქში მივიდეთ  
უნახოთ ვითარი ქალაქი არისო. მის ბრძანებისამებრ იმ ქალაქში მივიდ-  
ნენ, კარავნი დასცეს და სალაფარდანი შემოაგდეს, დას უცხოს ფარ-  
ხებისა. ანუბუზ და ანგური სელიან-შაჰას სასახლეში ჩამოხტნენ. რას ქა-  
ბუნ-ნარას ჯინისტანში წასუღიყო, ამიდ-დევნი ოცი ათასის დევით იქ მცვე-  
ლად დაეღვინა. რას ამიდამ ნახს ქუი-ბაბუთის მხრიდამ; ესოდენი ლაშქა-  
რი მოვიდა რომ რიცხვი არ შეიკლებოდა, ქალაქსა და მისს არე-მარეში  
ჩამოხტნენ. ერთი უცხო ტახტიც მოიტანეს და სელიან-შაჰას სასა-

ხლეში ჩამოახტუნეს, იმათ ამ ჯარის მოსვლა აქვანის მოსვლა ეგონათ და ალბათ თამაშით შევიდა იმ სსსსსლეშიც, როდესაც შევიდა ნახა რომ სეილან-შაჰა ტახტზედ ბრძანდებოდა და ჯინისტნის ტუსადნი აქეთ-იქით უსხედან და ერთს ოქროს სკამზედ ერთი ორმოცდა ცხრა მწერთის მქონებელი ვინმე იჯდა, მარხის ვარსკვლავის მკზავსი, ახალად აკოკრებულნი წვერ-უღვასში, იმ გვარი ურმა ფალეგანი ჯერეთ არავის ენახა და არც თუ სმენოდა, ამიდ დევი ამისთანა ფალეგანის ნახვით დიდათ შეწუნდა და ფიქრსა მიეცა სოქვა, ეს რა ამბავიაო. ფალეგანმა ანგურს ანიშნა, ჰკითხე აქვანის შვილი ქაბუნ-ნარა სად არისოქო. ანგურმა უთხრა ამიდ რას გაშტერებულხარ? იმ სკამსა მჯოდამი ფალეგანი უარამანი არისო. ამ უამად დიდი სახელგანი სააბურანი. აჭანგის ციხეში გადავიდა აქვანი მოკლდა, — იგი ქვეუნიები და ციხე სულ დაიმორჩილა და თავის ბანდათ გახდა, სეილან-შაჰა და მუშთარი-ბანო, რომელიც პერობილად ჰყვანდა იგინი კანთავისუფლა და ხუთასი ათასის დევით აქ მობრძანდა, ქაბუნის სასიკვდინოთ. რა ანგურ-დევისაგან ესე გაიგონა, უარამნისაგან ისეთი შიში მიეცა რომ სულისა ხოცნათაგან გაურას მცირედლა უკლდა, მაშინვე ანგურს შეეხვეწა უარამანს შემარიგეო, ანგურმა შეარბო და ოცი ათასის დევით მისი მონა შეიქმნა, უარამანის წინ მიწას აკოცა ქება შეასხა და მოახსენა: „დღეს ორმოცდა ათი დღე არის, რომ ხუთასის ათასის დევით ქაბუნ-ნარა ჯინისტანში წავიდაო, რა უარამანმა ესე გაიგონა მაშინვე, ბრძანა, მოემზადებით რომ უნდა წავიდეთო სინქარით ჯინისტნისაკენ ჯარს უკანიდამ გამოუდგეთო. რა ასაურელად მზადება იწეეს, იმ ქალაქში და ქვეუნიებში ხმა გავარდა რომ, უარამანს აქვანი მოუკლავსო, სეილან-შაჰა და მუშთარი-ბანო გაუნთავისუფლებიაო, ის ფალეგანი სააბურანი უოფილაო. როდესაც ესე ამბავი შეიტყეს ყოველთა, დიდსა მხიარულებას მიეცნენ, და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ სიხარულით, თითქმის მკვდარნი მაშინ დაცოცხლდნენ ყოველნი. მაშინ სულეველა ერთად შაიურნენ და მოვიდნენ, როდესაც სეილან-შაჰა თავისსა ტახტზედ მჯოდამი იხილეს დმერთს მადლობა შესწირეს, უარამანი დალოცეს და ქება შეასხეს და მისს თავსა ეთაყვანებოდნენ, შემდეგ სეილან-შაჰამ ბრძანა: ორი ათასის ჯინის თან სახლებლად უარამანისა, იგინიც მოემზადნენ, რა დილა გათენდა უარამანი ანუაბუზ დევმა შეისვა და ქაბუნს გამოუდგა. როდესაც მისსა ქალაქსა მიახლოვდნენ, უარამანმა ნახა რომ ორსა ალაგს ძლიერ დიდი ომი არის.





### აქ ქაბუნ-ნარას და საჭმანის ომი ძლიერი.

**მ**აშინვე ორისავე მხრიდან ასეთი ხმიანობა იყო, რომ ქვეყანა მოეცვა, ნახეს რომ დევნი ქალაქში შესულან და შიგნით ომი აქვსთ, მეორე რიგი კი ქალაქს გარეთ იბრძოდნენ. უკრამანმა თვალი დააკვირვა ნახს რომ შეიდანსა შინა, ორმოც ათასმდის დევს საფი გაუწევიათ და იმათ შ. საჭმანიც იხილა თვისი ბასრი აღმასის ნაჯახი ხელთ ეჭირა და ერთ ოთხმოცდა ცამეტის მწერთის სიმადლის მქონებელს დევს ებრძოდა, იმ დევს თავი ღამის მიუტავდა, მაგრამ საჭმანისაგან არა მცირედ შეშინებულყო. რა უკრამანმა საჭმანისა იმ აღაგას ესეთი ჭირავად ომი იხილა, ანგურს უბრძანა: „ორმოცი ათასის დევით მიდი და საჭმანს ჩემი მოსვლა აცნობე“. იგი ანგურ ჭყერით მიწასა გარდმოხდა. რა მათ იხილეს სავსებადის მხრიდან უანგარიშო ლაშქარი ჭყერით მოდიან და ერთი დიდი ტახტი ეჭირავთ და იმათ ომს უუერებენ. როდესაც იმ ქვეყნის ხალხმა ესე იხილეს, აჭვანი-დევთ ეგონათ და თავიანთ თავის იმედი გარდაიწვიტეს, შემდეგ ნახეს რომ ანუაბუზ და ანგურ-დევნი იმ აღაგას მოვიდნენ, საცა საჭმანს თიცხელი ომი ჰქონდა, — დაუძახა და უთხრა: „რას თქვამბ. იგი ჭყერში მეოთხე უკრამან-ყათილი სააპყირანი არის და შენს ომსა სიამოვნებით თამაშს უუერებსო: ქუი-ბაბუთს მივიდა აჭვანი-დევნი მოკლა, იქაური ბურობილნი გაანთავისუფლა და ახლა ეს არის რომ აქ მობრძანდა“.

რა საჭმანმა ესე სიტყვები მოისმინა, მადლის ხმით დაიძახა „შე იგი ჭყარი აჭვანისა მეგონა თორემ შე იმათს არც ერთს ცოცხალს არ გადავარჩენდიო“ — ესე თქვა და ასეთი ნაჯახი დაჭკრა რომ იგი ბილწი შუა გაჭკვეთა. რა იგი ბილწი მოკვდა, იქ მდგომთა ორმოც ათასს დევს შეუტოვა და მცირესა ხანსა ერთმანერთსა ჰკრა და მრავალი დახოცა.

იმ უამად უკრამანი, ანუაბუზი და ანგური ქალაქში შემოვიდნენ, ნახეს რომ ორი ათასი დევნი გარს შემოხვევიან და ზოგიც ქალაქში შესულან, და იქ იბრძვიან, ისე უწყალოთ ხოცვენ რომ მათი გლოვის ხმა ცაში აღიწვივდა. როდესაც უკრამანმა მათი ესეთი მწუხარება იხილა ღვთის სახელი ასეთი ხმით დაიძახა რომ ცა ქვეყანაზედ დაცემის ხმას ჰტვანდა. რა დევთა ეს ხმა მიესმათ, მრავალი შიშით დაიხოცნენ და ზოგი უსულოდ დაბნედილნი ევარნენ, ესენი ისრე გაწვიტეს რომ მათის სისხლით ქალაქი აღივსო. რა უკრამანმა მათ ომისაგან მოიცალა უჭმან-შაჭას სასახლეში მიბრძანდა. იმ ქალაქსა შინა ხმა გავარდა, რომ ამ თვალევანსა უკრამანი ეწოდება, აჭვანი მოუკლავსო, აპანგის ციხე შეუმურავს და ჯონისტნის სულთნები სეილან-შაჰა და მუშთარი-ბანო გაუნთავისუფლებიანო.

იმ ჟამად ჯინისტინის სუფთნები და ხალხნი შეიყარნენ და უარამან-  
თან მოვიდნენ, მრავალი ზატიოსანი თვალ-მარგალიტით მიუღოცეს და  
ღმერთს ავედრებდნენ. უარამანმა სვილან-შაჰს ხელი მოჰკიდა, ტახტზედ  
აიყვანა და დასვა, თვითონ ერთი მუქასა სკამი დაიდგა და თვისს შესა-  
ფერს ალაგს დაბრძანდა.

იმ ჟამად ზოგადი შემოვიდა უარამანს მუხლს მოეხვია, მერმე თვისს  
მამას მოეხვია ხელზედ აკოცა და მიესალმა, ერთმანერთის ნახვით და  
სიხარულით მრავალი ცრემლი გარდმოსცვივდათ, მერმე მუშთარ-ბანო  
მოვიდა უარამანს თაფი დაუკრა და ზოგადს გარდაეხვია, ერთმანერთს მიე-  
სალმნენ, სხვანი ჯინისტინის დიდებულნიც მოვიდნენ, უარამანს ხელსა  
აკოცეს ყველა იქ მეოფნი ტუსაღნი მიესალმნენ, განთავისუფლებულნი შვიდ-  
ნივე ძმანი სუფთნები ერთათ დასხდნენ და ერთმანერთის ნახვითა დიდსა  
სიხარულსა და განცხრომაძი იუფნენ, უარამან-საბაგირანიც ხომ თავის  
ადგილას იჯდა და სხვანიც თავთავის ალაგს დასხდნენ, ანუბუზ და ან-  
გურ და იმათი შვიდი ათასი დეკი, თავზედ ადგნენ, საჰმან-ადამიანთ-  
მონათესავე უარამანის წინ თვისსა ნაჯახს დაეუუდა და ბრძანებისა მო-  
ჩილებითა იდგა, მერმე აჰანგის ციხეში მეოფნი ტუსაღნი უჰმან-შაჰს,  
თვისი ქალი მუშთარ-ბანო და დიდრონი კაცის ცოლები და ქაღნი მო-  
ვიდნენ და უარამანი თვისის ენით დალოცეს და მრავალი ქება შეასხეს.

როდესაც ზოგადმა პირველად მუშთარ-ბანო დაინახა, ამოიხხრა,  
და ცნობა დაეფნტა დაბნდა ერთს უამაშდისინ უსულო იდგა. რა ცნობას  
მოვიდა წარმოდგა გაცრებული იუურებოდა, სხვათაც ვინცაგინ ტუვეთ  
იუფნენ ზოგმა შვილი იხილა, ზოგმა ძმა, ზოგმა დედ-მამა, ერთმანერთის  
ხილვით დიდსა სიხარულსა მიეცნენ და ტირილით ერთმანერთს გარდა-  
ხეულები არ იცოდნენ თუ რა ექმნათ, ერთმანერთს ჰგოცნიდნენ და სიტ-  
უვით ღმერთს მადლობასა სწირავდნენ, ყოველი სულა უარამანს ღოცვიდ-  
ნენ, მცირეს ხანს შემდეგ თვისსა ალაგს დასხდნენ. უარამანმა ზოგადს  
ხელი მოჰკიდა, გვირდით დაისვა და ორმოც დღეს და დამეს სიხარული  
და მილოცვა ჰქმნდათ, ორმოცი დღე რომ დასრულდა: ჯინისტინის დიდ-  
ებულნი და დიდებულთა ცოლნი — და თვითონ უარამანიც სავზაბარში მო-  
ბრძანდნენ. რა მუნ მეოფთა უარამანის მისვლა შეიტყეს წინ მოეკებნენ უარ-  
მანი დიდის დიდებთ ქალაქში შეიყვანეს და იგი ქალაქი უცხოთ მოამზა-  
დეს, დიდის გამოჩინებითა და დიდებითა. რომ კაცის ენა ვერ იტყვის,  
ასე რომ სულ მუშკი და ამბარი უკმის, ჩირადღით მოამზადეს და შეკაცმეს,  
ასე რომ სურნელების სუფით კაცი შებნდებოდა — მერმე უარამანმა ანუ-  
ბუზმა და ანგურმა ქორწილის მზადება იწყეს. უბრძანეს და მამინვე ბრძა-

ნებისამებრ ეველა მოამზადეს, ორმოც დღესა და ღამეს მუშთარი-ბანოს და ზორაბის ქორწილი გარდაიხადეს. რა ორმოცი დღე დასრულდა მივიდნენ უკამანი დალოცეს და მადლი მოახსენეს და ხელსა აკოცეს. უკამანმა ზორაბს ხელი მოჰკიდა ანუაბუზი, ანგური და საჭმანი წინ გაუძღვნენ და სხვანი, უცხო მურასათ შეტედილი შანდნები ხელთა აიღეს და ბროლის საწოლისაკენ წავიდნენ, სრულიად იგი ქვეყნის ბანოვანნი სულ იქ შეერლიყვნენ, უცხოს შექცევით თამაშობდნენ. რა უკამანი ბროლის საწოლის კარს მიბრძანდა, ზორაბი თან ახლდა და მუნ მყოფნი ბანოვანნი და მის ქალაქისა ერნი სრულიად წინ მიეგებნენ, ეველა თავთავის შესაფერი ჯავაირით მიულოცეს და ქება შეასხეს. რა მუშთარი-ბანომ უკამანი დაინახა, წინ მოეგება, ნახა რომ უკამანს ცალს ხელით ზორაბი ეჭირა მოიხმო და მეორე ხელითაც მუშთარი-ბანო დაიჭირა და ხელი ხელთა ჩაუთვალა, დალოცა ესრედ: „ღმერთმან ერთმანერთს შეგაბეროსთ, მანამდისინ ცასა ქვეშე მზის ბრუნვა არ მოიშლებოდეს მანამდის თქვენც ერთმანერთს ნუ გაგაშორათ“, მათაც თავიანი სცეს მადლობა, ქება და დღეგრძელობა მოახსენა, უკამანმა იგინი მას საწოლსა დაუტევა და თვითონ კარზედ გამობრძანდა, საჭმანს და ანუაბუზს უბრძანა: „ჯინისტნის სამსნი ფაღუვანნი და მათნი სატრფონი აქ მოახსითო!“ მათაც ბრძანებისამებრ აღასრულეს, ეველას თავთავის მატრანებს ჩააბარა იმათაც თავიანი სცეს, დალოცეს და თავიანთ სახლებში წავიდნენ.

რა სიხარული და ქორწილი გარდაიხადეს, უკამან თვისსა საწოლს მიბრძანდა და მუნ განისვენა. რა დღესა გათენდა, მუნ მყოფნი სეილან-შაჰას სასახლეში შეიყარნენ და შეიდი დღე და ღამე მეჯლისი იყო, მერვესა დღესა უკამანმა ბრძანა: „ღმერთმან თქვენ ეველანი, ბედნიერებაში და მშვიდობაში გაყოფათ, მე მინდა გულისტამ-ბადიირამში წავიდეო“. ამით მოახსენეს;—გულისტამ-ბადიირამში ჩვენც გიანლებითო, უკამანმა ამით გარჯისთვის უარი უბრძანა, მაგრამ იმათ არას გზით არ დაიშალეს. რა უკამანმა ამითი ასე მონდომება ნახა და დაშლას აღარა გაეწყობოდა რა, ბძანა: „რადგან არ იშლით, ამ სამს დღეზედ უნდა წავიდეო და მოემზადენითო!“ იგინი სიხარულით მოემზადნენ, მეოთხეს დღესა საჭმან-აღამზადი, ანუაბუზი და თვისის ხუთასი ათასი დევით საბუირანის კარზედ შეიყარნენ, და ჯინისტნის შეიღმა სულთნებმა შეიდასი ათასი ჯინი მოამზადეს ცხრა მურასა ტახტი გააკეთებინეს, ზედ ლაჯვარდი ქოლკები დაადგეს, უკამანმაც თვისი თადარიგი ნახა, შეიკაზმა და გარეთ გამოვიდა, სულთანთა და დიდებულთა თავი დაუკრეს, დალოცეს და ქება შეასხეს, და მანცა მრავალის სიყვარულით მოი-

კითხა და საღამო ჩამოართვა. მოიღეს იგი ცხრა ჰატიოსანი ტახტები, ზირველს ტახტსა ზედა უარამანი დაჯდა და შვიდზედ შვიდნი სულთანნი დასხდნენ და ერთს ტახტზედაც ზოგან და მუშთარი-ბანო დაბრძანდნენ. რა ესენი ესრედ დასხდნენ მოვიდნენ ათასნი ჯინნი ტახტები აიღეს და ჭკერში აღფრინდნენ და სხვათა დევებმაც უარამანის ტახტი აიღეს და გულისტამ-ბადიირამისაკენ წავიდნენ.

აქ ესე ამბავი დაუტეოთ და მცირე რამ შაჰზადლ-შაჰის და სარგინურამანის ამბავი მოვისსენიოთ.

**რ**ა უარამანი დაიკარგა, ძლიერ შეწუხდნენ და მრავალხ ეძებეს მაგრამ მისი ამბავი ვერსად გაიგეს, თორმეტი დევი გაგზავნეს მრავალი არე მოეფლათ და ფაღვანის ამბავი ვერსად ვერ ეცნათ.

იმ უამად, შაჰზადმა შემრამლე მოაყვანინა და მრამლი აურყვინა, მათ მოახსენეს: უარამანი რ წელიწადს უკან მოვაყო, ამ რ წელიწადში უარამანს ვერავინ ნახავსო საჰმანის მეტიო, თუ ეს ასე არ აღსრულდეს ჩვენი თავი მახაჯათ დაგვიდგიაო. დასწერეს იმ დღის თარიღი—და მისსა მოსვლასა მეორე წლის გასვლას ელოდნენ და იგინიცა მას უეურებდნენ. ერთს დღესა შაჰზადიმ იგი დაწერილი თარიღი მოითხოვა და იმ დღეს იგი დაწერილი იანგარიშეს, ნახეს რამ რ წელიწადი გასულიყო; გაწერა შაჰზადლ-შაჰა და მერამლეს მრისხანის თვალთ შეჰხედა, მერამლე მკვლად მრამლი შეუარა და მოახსენა: დღეს უთუოდ უარამანის ამბავი მოვაყო, ამ სიტყვასა ზედ იქ მუოფნი დიდად გამხიარულდნენ და სარგინურამანის ზირი ვარდს დაემსგავსა და ენას ბუღბუღივით აუბნებდა.

აქ უარამანის მოსვლა და ჯინისტნიდამ გულისტამ-ბადიირამში გაგზავნა საჰმანისა, თვისის და უარამანის გულისტამში მოსვლის ამბის მბობა.

**რ**ა საჰმანმა გულისტამ-ბადიირამში მთები დაინახა, მივიდა და უარამანს მოახსენა სააზვირანო ეს მთები ბადიირამისა არისო. უარამანი დიდად გამხიარულდა და უთხრა: ჩემო საყვარელო და ერთგულო საჰმანი შენ წინ წადი და ფაღვანთა ჩვენი მოსვლა აცნობე და ისინი ჩვენი მოსვლით გაახარეო, მაშინვე საჰმანმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა და თვალის დახამხამებდის გულისტამ-ბადიირამში შაჰზადის სასახლეში ჩამოხდა, რა მერამლეგებმა იგი სიტყვა დაასრულეს, საჰმანიც შინ მივიდა და შაჰ-

ჰაღს თავი დაუკრა. რა შაჰჰაღმა და სხვათა ფალაგანთა სჰჰმანი დაინახეს, დიდის მხიარულებით შესძახეს, მშვიდობა შენი მოსვლათ! გარდანქეშანი მსწრაფლად სჰჰმანთან მივიდა და ურამანის ამბვის კითხვა დაუწყო, სჰჰმანმა შაჰაღ-შაჰას თავუანი ჰესცა და ურამანის შაკიერათ მოკითხვა მოახსენა, ურამანის მოსვლა, იმასთან ჯინისტნის სულთნების ხლება, ზოგადის და მუშთარბ-ბანოს მოყვანა და ხუთასი ათასი დევების თავისთან ხლება და შვიდასი ათასი ჯინის ღაშქრის მოყვანა, ესე ყოველივე მოახსენა. რა მოისმინეს დიდსა სიხარულსა მიეცნენ. შაჰჰაღ-შაჰამ მაშინვე ბძანა: ერთი ტახტი მოამზადეთ იმ ტახტზედ ბაჰჰმან-შაჰას, სარვიხურამანი, უთრანი და გარდანქეშანი დასხდნენ და თვითონაც ერთს ტახტზედ დაბძანდა, აკრეთვე ზულუმთის სულთნებისათვის ტახტები გააკეთეს და დასხდნენ, დევებს უბძანეს და ჰჰაერში აღიტაცეს და ურამანის მისაკებებლად წაბრძანდნენ, ესოდენი კაცთა სიმრავლე იყო რომ ასი კაცის ალაგას ორასი კაცი ძლივას ეტეოდნენ.

**ამ ურამანისავე მოვიხსენიოთ.** რა ურამანმა შემოხედა ნახა რომ გულისტამ-ბადიირამის მხრიდაშ, დევთა და ფერიის ღაშქრის სიმრავლეს ჰჰაერი სრულად მოეცვა. რა ურამანთან მომავალთ ჯინთა ესე დაინახეს, შეშინდნენ და მტერნი ეგონათ, ურამანმა ამათ შიში შეიტყო და უთხრა: „ნუ შეწუხებულხანთ იგინი მტერნი არ არიანო, შაჰჰაღისა და ზულუმთის დევნი არიანო, ყოველნი ჩვენ წინ მომკებებლები არიანო, ამ სიტყვის თქმაში რაჰინდის ტახტი ურამანთან მოიტანეს, ჯინისტნის ბანოგანთა ნახეს, რომ ორნი აღამიანის ხელმწიფენი ისხდნენ, უცხოეს ქცევისანი და მშვენიერნი, ერთი თეთრწვერა იყო და თავსა თავი ეხურა, ამასთან ორნი ვეშვის მსგავსნი ფალაგანნი ისხდნენ, სარვიხურამანს თავზედ შვიდ კუთხიანი თავი ეხურა და მათ ესე ემასლაათებოდა, ესრედ ამაყად იქცეოდა რომ იმოდენა დევთა და ჯინთა ღაშქარი არად შიანდა, მერმე გარდანქეშანს შეხედეს, ოცის მწერთის სიმადლის მქონებელი, ბირის ფერი სისხლსა უგვანდა, თავს ერთი უცხო თავი ეხურა, ტანსა ოქროს ქსოვილი ეცვა, მარჯვნივ და მარცხნივ მურასა ხანჯლები ერჭო, ხელთა ნაჯახი ეხურა და ესეთი ფიცხელი ყოფა ქცევა ჰქონდა რომ თუმცა მოენდომებინა ცის ჩარხის ბრუნვას გარდასხლტებოდა სიმარდით: ჯინისტნის სულთნები ამათსა ესეთსა ქცევასა გაკვირვებინა. რა ამათ ურამანი დაინახეს მსწრაფლ წინ მიეგებნენ, ურამანიც მათ წინ მოეგება, შაჰჰაღმა ურამანი მკერდსა მიიკრა და ორსავე თავლებში აკოცა, ცრემლები გადმოსცვივდა და უთხრა. „შვილო ურამან უშენოთ დამერტმან ნურც ჩვენ გვაცოცხლესო“. მერმე ბაჰჰმანი და ბარამჯიბილი მივიდნენ და მიე-

საღმუნენ, მერმე სარგინურამანი მოვიდა უარამანს ხელს აკოცა. რა უარამანი და სარგინურამანი ერთმანერთს შეეუარნენ ერთი ათასად ეშხი და სიუვარული გაუმრავლდათ, ამასთან უთრანი მოვიდა გარდაეხვია და სიუვარულით ერთმანერთს მიესაღმუნენ. მერმე გარდანქეშანი მოვიდა, ხელსა აკოცა, ამასთან რაჭინდი, ამასთან სამანდოვანი მოვიდა, რაღა გრძლად მოგახსენოთ თვრამეტნი დიდებულნი მოვიდნენ უარამანს ხელს აკოცეს და აგრეთვე შაჰბალ-შაჰა მოვიდა უარამანი მკერდის მიიკრა და მრავალად ლერსი მოახსენა: მერმე გულისტამის დიდებულნი მოვიდნენ, თვითთ თვითთ მიესაღმუნენ, რა ჯინისტნის სულთნები უარამანის ესრეთი დიდებულობა იხილეს დიდსა განკვირვებას მიეცნენ, შემდეგ ზორაბი მოვიდა და რაჭინდს ბაჰმან-შაჰას და შაჰბალ-შაჰას ხელსა აკოცა, მერმე სხვათა ფაღვეანთა მიესაღმა, უარამანმა მათ მოახსენა: „ეს უმაწვილი ჩემი ძმობილი არისო, ჯინსტანში წასვლის მიზეზი ეს შეიქმნა“. რა უარამანისა ესე მოისმინეს, ზორაბს ბატონი სცეს და მრავალის სიტყვით შეაქტევდნენ, ამასთან სოილან-შაჰა უჰმან-შაჰა და შვიდნი სულთანი მიესაღმუნენ და ამოდ ხელმწიფეს, შაჰბალ-შაჰა მიესაღმა, მერმე მუშთარი-ბანო მობრძანდა, თვითთ თვითთ ხელსა აკოცეს. რა ესრედ უველა მიესაღმა მასუკან უოველნივე თავის ალაგს დადგნენ. მურასა კარავანი დასცეს და სალაფარდანი შემოავლეს, და უოველმ თავთავის კარავში განისვენეს. შემდეგ სარგინურამანი და მუშთარი-ბანო, და ჯინისტნის ბანოვანნი უმარლუხის სადგომს შეიუარნენ და შემდეგ შაჰბალ-შაჰა თვისსა ქალაქში წაბძანდა, იმ დამეს რანიც ფერიის ბანოვანნი ივენენ უოველნი სარგინურამანთან შეიუარნენ, ხადიმი დაიდვეს რაც მათ შეეფერებოდათ, მუშთარი ბანოს უარამანის ამბავი ჰკითხეს, მანცა უარამანის ამბავი უოველივე მოახსენა და თვისი ტუვეობა და გამოსხნა უამბო, რა მათ ესეთი ძალი და გულფონობა მოისმინეს დიდსა განკვირვებას მიეცნენ. უთრანმა, ბარამჯობილმა და გარდანქეშანმა იმ დამეს ისეთი ღხინი გარდაიხადეს რომ იმისთანა ღხინი არ ენახათ. იანგარიშეს თვისის ქვეყნიდამ წამოსვლა ხუთი წელიწადი გასულიყო. მერმე უარამანმა ბძანა: „უშანგის ნახვად დიდის სურვილით მინდაო, ახლი უნდა წავიდეთო, ამდენი ხანია აქ ვიმყოფებითო. რა ეს ფაღვეანთა მოისმინეს დიდსა მხიარულებას მიეცნენ. რა დიდა გათენდა დევთა, ფერათა და ჯინთა დიდებულნი რაჭინდის სასახლეში შეიუარნენ და თვისსა ალაგსა დასხდნენ, შემდეგ უარამანი და სხვანი ფაღვეანნი მოვიდნენ, საჰმანი და გარდანქეშანი წინ მოუძღოდნენ, რა უარამან შემობძანდა, თავი დაუკრეს და ხელმწიფენი ფეხზედ აუდგნენ ადგილი უთავაზეს, და თავის შესაფერს სკამზედ დაბძანდა, იმასთან უთ-

რანი დაბძანდა და აკრეთვე სხვანი ფალავანნი დაბძანდნენ. იმ ღამეს და-  
 ვარცხეს სამოცდა თორმეტის ქვეუნი სჯლხნი შეიყარნენ და ასეთი სი-  
 მრავლე იყო რომ მათსა სიმრავლეს კაცის თვალი ვერ გარდასწვდებოდა,  
 შავშალ-შავშამ ბრძანა მეჯლისის გაიმართვა, იმ დღეს როგორც მათ შეეფი-  
 რებოდათ იმ გვარი ღვინი გარდისხდეს და იმდენი საბოძარი რომ  
 კაცს გაუკვირდებოდა, ორმოცს დღეს იმ ღვინისა და შექცევასში და გაცე-  
 მასში ბძანდებოდნენ, იმ უამად ფერიის ქვეუანსში სხვა სიტუვა აღარა იყო-  
 რა, უოველნი უარამნის მოქმედებას ლაპარაკობდნენ, ან რაც დევთ-ქვე-  
 უანსში გარდახდომოდა და ანუ თუ ჯინისტანში, უველა დიდსა ქებასა შე-  
 ასხმიდნენ უარამანს. რა ფერიანი სხვა და სხვა ქვეუნიდამ მოვიდოდნენ,  
 უარამანის სანახავად, დიდად მოსწონდათ და ქებას შეასხამდნენ. ორსა  
 თვესა ამ ღვინისა და შექცევასში იუვნენ, მაგრამ რაჟინდი და ბავშვან-შავ-  
 უარამანის პირსა უუურებდნენ, ნეტა ინებებს თუ არა შავშალ-შავისაგან  
 დასტურს წასასვლელად. მეჯლისში უარამანმა შავშალ-შავსა მოახსენა:  
 „მოწყალეო ხელმწიფეო! ხუთი წელიწადი იქნება რაც აღამიანთ ქვეუნიდამ  
 ამბავი არა შემიტუვიარა, თუ როგორ არიანო. მე იმ უამად ჩემს ხელ-  
 მწიფეს ექვსი თვის ვადით დავუთხოვე და ახა ეს ხუთი წელიწადი შეს-  
 რულდა რაც რომ დაშორებულნი ვარ აღამიანთ ტომისა და ჩემს ხელმწიფეს.“  
 შავშალ-შავამ უარამანს მოახსენეს: ჩემო თვალის მინათლეგ და გულისა  
 სინარულო, ამ ერთი წელიწადში აქ შეისვენეთ. მხოლოდ ფერიანი გავგზავ-  
 ნოთ ინდოეთში და უშანგის ამბავი გავიგოთ და შემდეგ თადარიგი ისე  
 დავიჭირათო. „უარამანმა მოახსენა, ხელმწიფეო, ჩვენ ჩვენთავად არა  
 ვართ წამოსულნი, რუბი-მასკუნის ქვეუანა მისის ბრძანებისა მოაწილებსა  
 ქვეშე არიანო, ექვსი თვის პირობა მიგვიცია და ჩვენ კი ამოდენა ხანი  
 აქ დავუვიოთ, ახლა კი წასვლელობა არ შეიძლება, ამდენს ხანს ჩვენგან  
 ხელმწიფის უნახობა არ იქნება, ამას გარდა თქვენი სიმამრი ბაშან-შავ-  
 შამბასარ-დევის ხელში პერობილია და ამის ქვეუნიდამ სხვას უჭირავს  
 და ჯიბილ-გაბარის ქვეუნიის ხელთა ესენი აღარა გვტონიათ, იმედ გარდაწ-  
 ევეტილნი იქმნებიან, და ამას იტუვიან ჰაღბათ ისინი ცოცხალნი არ  
 არიან თორემ აქამდისინ ამქვეუანსში გახელმწიფედებოდნენო, ამ მოხსენებას  
 აღარ მოუშვა შავშალ-შავამ თავი აღარ შეაწეინა და მოახსენა: ფალავანო  
 რადგან დაშლას აღარა გაეწეობარა წასასვლელად მოვემზადდითო.

აქ უარამანისა და სარგის-ურამანის წასასვლელად მომზადება.

**იმ** უამად შავშალი გამოეთხოვა და ქალაქსა წავიდა, უშანგისათვის  
 და შარიბ-შავისათვის მრავალი უცხო ფეშქაშები მოამზადა, რაჟინდისა-

თვის, ბაჭმან-შაჭისათვის, შარბი-შაჭისათვის, უარამანისა და ბარამისათვის და კარდანქეშანისთვის, უოველთათვის თავ-თავის შესათუერი ფეშქაშები მოამზადა და თვისის ხელთი მოართვა, სარვიხურამანსაც თვისი შესათუერი ფეშქაში მოართვა, და მდობლად ბოდში მოსთხოვა, შემდეგ უარამანისა და რაჭინდისათვის ტახტები მოამზადეს, რაც გზისთვის ადარივი იყო ვეკლა მოამზადეს, შემდეგ უარამანს მოახსენა: გზის თათარივი მზათ გახლავსო. უარამანმა ზულუმ-მთის ხელმწიფენი და ჯინისტნის სულთნები მოასხმევინა და მოახსენა: „ჭე, ხელმწიფენო! ჩვენთვის ესე ოდენი ჯაფა გასწიეთ და გაისარჯენით, არა მცირე ხანია, რომ თქვენს ქვეუნიდამ ხელ აღებულე ხართ და ჩვენთან ბძანდებით, ჩვენ ახლა თქვენწინ ბოდში ვითხოვთ და ამას იქით თქვენ ღვთისათვის მიმიბარები-ხართ, აქედამ თქვენ თქვენსა ქვეყანაში წაბძანდით და ჩვენ უშანგ-შაჭის სამსახურში უნდა გახლნეთ და მისი ხელმწიფობას თავი უნდა დაუკრათო“. რა უარამანისაგან ესეთი ბრძანება მოიხსენიეს, უოველნი ადგნენ თავუანი სტეს და მოახსენეს: „ჭე, საბოიარანო! ჩვენგან აღმთანთ ქვეყანაში წასვლა და თქვენთან ხლება დიან დიდი წყალობა იქმნებაო“. ჩვენ თქვენთან ხლებისაგან და სამსახურისაგან ნუ გაგვერითო, ჩვენც თქვენს სათარველსა ქვეშე წამოვალთო, — და შვიდი იულიმის ჰერობელი ხელმწიფე უშანგი ვახლოთ და თავუანი ვცეთო, შემდეგ თქვენ ღმერთს შეგავედრებთ და ჩვენ მუნიდგან ჩვენსავე სამეოფში და ქვეყანასა წავალთო. უშანგისა და თქენი მაქებარნი ვიქნებითო, ეს ჩვენთვის უმჯობესი არისო. ამ თხოვნას აღარ მოეშვნენ. რა უარამანმა შეიტყო რომ თვისაგან გაურა არა ჰსურდათ, მოახსენა თადარივი ნახეთო, (მოემზადენითო) და სხვალით გავემგზავროთო. ამ ბძანებისა მსმენელნი დიდსა სიხარულსა მიეცნენ. უარამანმა ზულუმსტნის ხელმწიფეთა უბძანა: „ზულუმთიდამ შვიდასი ათასი დევი თან წამოასხითო. და სხვანი დაითხოვეთო. იმოდენა რიცხვი დევი მოასხეს და სხვანი კი დაითხოვეს.

აქ უარამანისა, სარვიხურამანისა ო სხვათა ხელმწიფეთა ო ფალავანთა, ჯართა ო დევთა წასვლა ერანისაკენ.

იმ უამად ანუბუზმა და ანგურმა, შვიდასი ათასი თავიანთი ქვეუნიების დევი მოასხეს და სხვანი დაითხოვეს, შაჰზად-შაჰამ ბადიირამის ქვეუნი-დამ შვიდასი ათასი ფერია მოამზადა ინდოეთში წასასვლელად, დევი, ჯინნი და ფერია რიცხვით მრავალნი შეიქმნენ. რა ათი დღე შესრულდა მეთერთმეტე დღეს უარამანმა აურა ბძანა: და ვეკლა ხელმწიფენი და



ბანოვანნი ოცდა ოთხს ტახტზედ დასდნენ, ყარამანმა დეგთა და ფე-  
რიათა უბძანა ალება ტახტებისა, იმათაც ასწივეს ჭკარში და ინდოეთი-  
საკენ ჴტაემართნენ; ესრეთ მადლა აღიწივნენ რომ ქვეყანა მცირედლა  
სჩანდა და გარეშემო ზღვას მოეცვა.

იმ უამად ყარამანი, უათრანი, ბარამჯიბილი და გარდანქეშანი რომ  
ინდოეთიდან გულისტამში წავიდნენ მისაშველებლად, მას შემდეგ უშანგი  
რაჭინდითა. სარვიხურამანით და დანარჩომის ერანის დიდებულებით ინ-  
დოეთის მთებში ნადირობდნენ, იმ მთებში მრავალი უცხო საკვირველი  
ნადირი და მხეცი იხილეს, მაგრამ სარვიხურამანმა ყარამანის მწუხარე-  
ბით არაოდეს არ მოიღვინა. ამ ნადირობაში რამდენიმე დღე გავიდა და  
ერთსა დღესა რაჭინდი თვის კარვიდამ მოიტაცეს, ვიდრემდის ამ სიტუვა-  
სა ხალხში გაავრცელებდნენ სარვიხურამანიც უჩინო შეიქმნა, მათი ერთ-  
გული მსახურთაგანის ტირილის ხმა ზეცად აღიწეოდა, უშანგ ამ ამბისა  
მსმენელი დიდად მწუხარე შეიქმნა, უოველს მხარესა კაცნი გაგზავნა მაგ-  
რამ იმათი ველარა გაიგორა, ამაში სამი თვე გამოხდა, ზამთარი შეიქმ-  
ნა, უშანგმა ჯარები დაითხოვა, ზამთრის გამო, სხვა და სხვა ქვეყნებში.  
უშანგ-შაჰა, ქეივან-შაჰა და დანუ-შაჰა, ერთად იმყოფებოდნენ, ეს ზამ-  
თარი გავიდა, უშანგმა ბრძანა: „ყარამანისა ვერა გავიგეთარა“, ამ სიტ-  
უვის თქმაზედ საჰმანი და გარდანქეშანი შემოვიდნენ, უშანგ-შაჰა დალო-  
ცეს ქება შეასხეს, და რაინდისა და სარვიხურამანის ტუეეობიდან გან-  
თავისუფლება ყარამანისაგან მოახსენეს და ქეივანის გაქცევა. უშანგ-შაჰი  
ამისთანა ამბის სმენით სიხარულსა მიეცა, მაშინვე საჰმანი და გარდან-  
ქეშანი უკან დააბრუნა და სთხოვა რომ ყარამანი წამოეყვანათ, ის ზამთარიც  
გავიდა და ზაფხულიც, მაგრამ ყარამანის ამბავი არ მოუვიდათ, ამაში ხუ-  
თი წელიწადიც სხვა, მაგრამ ყარამანის ამბავი ველარც მაშინ გაიგეს, უშანგი  
და სხვანი ხელმწიფენი მარადის მწუხარებაში იყვნენ, არ იცოდნენ თუ  
ყარამანი და მასთან მყოფნი ფაღვანნი ცოცხალნი იყვნენ თუ არა. რა  
დღიდანაც ისინი ფერიათ ქვეყანაში წავიდნენ და იმდონი ხანი დაჰყვეს:  
ესრეთ იტუოდნენ, ვინიცის მათი საქმე საეჭვო უნდა იეოსო. რა ესე  
თქვეს ყარამანისა და ფაღვანების იმედი სრულიად გარდაიწვიტეს.

იმ უამად უშანგ-შაჰამ შირფანჯა აიარს უბრძანა, „ჰე, აიართა სარ-  
დალო! აქედამ ერანში წადი ნახე იგი ქვეყნის ხალხნი თანჯაჰ-შაჰისაგან  
მადრიელნი არიან თუ არა? იქიდან დეშტი-ყაფხადს წადი, მამახუმს მუჭ-  
ლეილან-შაჰას ჩემ მაგორად თავგანის ცემა და მოკითხვა მოახსენე, ნახე  
მშვიდობით იმყოფება თუ არა, იმის ქვეყნის უოფა-ცხოვრება როგორდა  
არის. ჩვენი ამბავი იმათ მოახსენე და იმათი ამბავი ჩვენ მოგვართვი.

ჩვენ მატერიალთ მოახსენე, ინდოეთიდან შაჰშაღის მისაშველებლად წავიდ-  
 ნენ თქო უარამანი, უათრანი, ბარამჯობილი და კარდანიქშანი, 'იმ დღის  
 აქეთ მათი ამბავი ვერა შევიტყუეთა თქო. ხუთი წელიწადია მას აქეთ  
 და მათი ამბის შეუტყობელია ხელმწიფე თქო,—და მწუხარებაში იმყო-  
 ვება და მათ გზის მახურობელია თქო. ვინც კი ინდოეთში დიდებულნი  
 იმყოფებოდნენ უოველს საკუთარი წიგნი მისწერა და შირფანჯას გატა-  
 ნა. შირფანჯა-აიარმა უშანგს თავი დაუკრა და სხვათა დიდებულთაგ  
 ამოესალმა, თვისსა კარავსა მოვიდა ასიმ-აიარი თავის ალაგას ნაბათ  
 დაადგინა და უთხრა: სხვათა აიართაგ, ჰე, აიარო! თქვენ დღე, უშანგ-  
 შაჰას კარს ნუ მოშორდებით და თქვენს საქმეზედ ფრთხილად იყავითო,  
 ესეთი დარბევა მისცა და ერანისაკენ გაემგზავრა. უშანგ-შაჰა კი უა-  
 რამანისა და შირფანჯას გზის მარადის მახურობელი ბრძანდებოდა.

აქ ესენი დაუტოოთ ღ იხვე უარამანის ამბავი მოიხსენიეთ.

**რ**ოდესაც უარამანი ღვეთა აუარებელი ლაშქრით ზუღუმიტისტნის  
 და ჯინისტნის სულთნებით და დიდებულებით შაჰშაღ-ფერიას გამყო-  
 სალმენ, ბადიარამიდან აიყარნენ და ინდოეთისაკენ გამომგზავრნენ, შვი-  
 დი დღე და ღამე იარეს, ამ სიარულში მრავალი უცხო ქვეყნები გამოი-  
 არეს, რომელნიც ურჯულთა ქვეყნები იყო. იგი ქვეყნები ყველა დაი-  
 მორჩილა და საბათ ღმერთი აწამებინა. ვინც უარამანს აღმამანი ახლ-  
 დნენ, თავიანთ ქვეყნის ნახვა ისე სურდათ, ვითა წურგვალსა კაცსა კეთი-  
 ლი წყარო, და უოველთვის მის საგონებელსა იფუნენ, რომ რომის იქ-  
 ნება რომ ჩვენის ქვეყნის სამზღვარს მივახწიოთო. რა ამ საგონებელსა  
 იფუნენ, მიმავლობაში ნახეს რომ, აღმოსავლეთის მხრიდან ერთი დიდი  
 შავი დრუბელი გამოჩნდა, იგი დრუბელი თურმე მთა ყოფილიყო, ისრე-  
 თის სიმალლის მქონებელი რომ, იმ მთის დასასრული არ იხილვებოდა,  
 წვერი დრუბელსა შინა ჰქონდა დამალული, იმ მთას კიდევ სხვა მთა ჰქონ-  
 და გვერდით, ამ ორსა მთასა წვერნი ერთმანერთს მიებჯინათ ისე რომ  
 მნახვთა ეგონებოდათ ერთმანერთს თავიანთ გულის ჰასუსს ეუბნებინო.  
 შუაში ერთი აღაჯის ტოლა მინდორი იყო. კაცი რომ იმ მინდორის შუა  
 ალაგს დამდგარიყო და მადლა შეესედა, ის ორი მთა ისე იყო თავში შეერ-  
 თებული რომ კაცს ეგონებოდა კარგს ხელისანს თადი შეუკრავსო. ვადრე  
 უარამანი იმ მთის ამბავს იკითხავდა, საჰმანმა მოახსენა: საბუიარანო,  
 უფის მთას რომ იტყვიან, ეს ის მთა არისო? ამ მთის იქით კიდევ ქვეყანა  
 არის აღმამანთ სამყოფი და სინდისტნის სამზღვარია. ამ მთას ერთი კარი

ახია ღრმად და ათი მწერთა სიგანე აქვს, ასი მწერთა სიმაღლე და ოც და ათი მწერთა სისქეო. ეს კარი სრულად ფოლადისა არის და იმ ამართულს მთას აბია. იმ კარის ამოღები, სრულად ოქროსი არისო, გასაღები არსათა აქვს და არც გაიღებაო. იმ კარის ძირზედ ორი ისრეთი რკოლი აბია რომ თითოში თითო სპილო გაძვრება და იმ რკოლების სიმსხოს გამოჩენილნი ფაღვეანნი ხელს ძლივ შემოაწვდენენ, ვინც აქედან ადამიანთ საშუაოში მისვლას მოინდომებს დევნი თუ ფეოქიანი, თუ იფრითნი ის კარები უნდა ასწიონ და იმაში გაიარონ თორემ სხვა გზა არსათა აქვს. ამ მთას აქეთ დევთა მამული არისო და მთას იქით ადამიანთ მამულიაო, და რაც ამ უაფის მთის დევნი არიან; ანუ იფრითნი სულ ვეგლანი მოვიდნენ და მის კარის აწევას მოინდომეს, მაგრამ ვერცა ვინ დასძრა და სირცხვილეულები ისევ გაბრუნდნენ. ამ მთის სიახლოვეს ერთი ფალანჯსარ-დევნი არის სპინელი ჭადო, ისრეთი წყეული რამ არის რომ, ამ არე მარეში რაც დევნი არიან მისის შიშისაგან ძრწიანო, ორი კიდევ სხვა ძმა ჭყავს დიდად გრძნეულები, ერთსა სახელად ოჭყალი-ჭადო ჭჭვიან და მეორეს ადრაფ-ჭადო. ეს წეული ცეცხლის მთაში იმყოფებაო.

აქ უარამანისაგან უაფის მთაში მიხვლას, ფალანჯსარ-ჭადოს სადგომთან.

**რ**ა უარამანმა ესე მოისმინა, დიდად იამა და ვინც ჭარი ახლდა უბრძანა, წარვიდნენ და მის კარის სიახლოვეს ჩამოხდნენ. შჭვალ-შაჭვა, რაჭინდ, ბაჭვან-შაჭვა, უთრანი, ბარამჯინილი და სხვანი მივიდნენ და თავთავიანთ კარებში ჩამოხტნენ, უარამანმა მას მთას, შეხედა და ნახა რომ მისი სიმაღლე ცამდის აწეულიყო, ამ მთაზედ მრავალი უცხო ხეები იდგა, დიან მშენიერნი და მწვანე, აღმოსავლეთის მხრიდან მრავალი მდინარეები გამოდიოდა და დასავლეთის მხრისაკენ მიმდინარეობდა. იგი მთა დიდად მოეწონა, ისე რომ მისთანა მთა არსად ენახა. ისრეთი უცხო და უცხო უვაფილნი იდგნენ მას მთასა ზედა რომ მთის სუნელებისაგან კაცს ცნობა მიეღებოდა. რა კარ გასიჩჯა დიდად მოეწონა, რომ უცხოს ბასრის ფოლადისა იყო, ერთ ნაკვეთად შექმნილი, ისრეთის ხელოვნებით იყო შექმნილი რომ უოველს მისს მნახავს სულდგმულს, მოეწონებოდა და შეხედვასზედ სხვა და სხვა რიგზედ ეჩვენებოდა. რა კაცი შეხედავდა იგი ადგილი, მთა, ხე და უვაფილნი უველა მწვანე სარკესავით ჩნდა. იმ კარსა ფარისავით ჭჭინდა ადგილ-ადგილ გაკეთებული ვერცხლის ღურსმები.

რა უკრამანმა იგი კარი კარგათ დათვალიერა, მის კარის ნახვასზედ ძლიერ  
გაჭკვირდა, მის კარის სისქე და სიმაღლეც გასინჯა, ღმერთს მადლობა  
მისცა და მისს ოსტატს ქება შესხა. როგორც საჭმანს მოეხსენებინა,  
იმ კარის ამბავი, ან სისქე, სიმაღლე, სიგანე და გრგოლების სიდიდე,  
უფრო უმეტესი იყო, და სხვა გზა არ საით იშოებოდა იმ კარის კარ-  
და. თუ იმ კარს არ ასწევდნენ და მის ქვეშ არ გაივლიდნენ სხვაგან იმას  
სულდგმული ვერ სად გარდაუვიდოდა. რა უკრამანმა ესე გასინჯა სურ-  
ხარად-ნარას უბრძანა: მოვედ ასწივე ვნახო როგორ ასწივო. იგი ოთხ-  
მოცდა ჩვიდმეტის მწურთის სიმაღლის მქონებული დევი, მივიდა და  
სამჯერ ასწივა მაგრამ ვერა დააკლოდა და ვერცა თუ შესძრა. ყოველს  
ფაღავანს დიდად გაუკვირდათ. მას უკან ანუბურ-ნარა დევი მივიდა და  
ვერც იმან ასწივა. მერმე ბნელეთის ქვეყნის დევი მივიდნენ, ბერს  
ეცადნენ მაგრამ ვერც იმათ ასწივეს. მას უკან რაინდ-დევი მივიდა და  
ვერც იმან ასწივა, მერმე უკრამანმა ბარამს შეხედა. რა უკრამანის შემო-  
ხედვა ბარამმა ნახა მაშინვე სწრაფად მივიდა, მის კარის გრგოლებს ხე-  
ლი სტაცა და ესრედ ასწივა რომ თუმცა ყათის მთისთვის აწივა მასაც  
აკლევდა, მაგრამ იგი კარი ვერ შესძრა და ისრეთი ძალა დაადგა ბარამს  
რომ ორსავ ნესტოდამ სისხლი წასქდა და განრისხებულმან ისრეთი  
მუშტი დაჭკრა მას კარსა რომ ყათის მთამ სრულიად ზრიალი დაიწყო  
და ვინც დევი იყვნენ ბარამისაგან იმისთანა მუშტის დაკვრას გაჭკვირდ-  
ნენ და მისი ფაღავნობა მოეწონათ. მერმე უათრანი წარმოსდგა და ვერც  
ამან დასძრა. რა დევთა და ფერიათა ესე ნახეს დიდად გამზიარულდნენ  
ამისთვის რომ, თუმცა ჩვენ ვერ ავსწიეთ ვერც ამათ ასწიესო, ყველანი  
თავთავისად დადგნენ და ერთმანერთს ეუბნებოდნენ, რომ ამ კარს სა-  
აბურჩანოდ ვერ ასწივსო. რა სარვიხურკამანმა გაიგონა რომ დევი უკრ-  
მანისას ამას ამბობდნენ, თუ ვერც იგი ასწივსო, დიდად ეწეინა, ვეღარ  
მოითმინა და უკრამანის კარავს შევიდა, საჭმანი და გარდანქეშანი წინ მო-  
ეკებნენ, და უკრამანთან შემოიყვანეს, უკრამანი ზე აღზდგა და გვერდით და-  
ისვა. სარვიხურკამანმა მოახსენა ჩემო თვალის სინათლეე ფაღავანო! საჭმანს  
კი ნუ ეწეინება და ვინც დევი და ფერიანი არიან, ყოველსა თავი თავს  
მიუდვიათ და ამას ჩურჩულობენ რომ კარის აწივა ვერც უკრამანს შეუძ-  
ლიანო და ამას სიტყვაზედ ვსწუხვარო. უკრამანმა გაიციინა და უთხრა: ჭიო,  
საუვარელო! მაგაზედ ნუ შეწუხდები უნამუსონი ნიადაც ნამუსიანზედ  
იციინანო, ღვთის შეწევნით ხვალ ნახამო. მტირე ხანს შეექცნენ და მე-  
რმე მოსვინებას მიეცნენ, რა დილა გათენდა, ქვეყნისა მნათობულმან შავი  
ნისლი გარდაუარა და თვისი ბრწყინვალება ქვეყანაზედ მოჰვიინა, ყოველ-

ნი ფერაინი, დევნი და ჯინნი სულ უარამანის კარზედ შეიყარნენ და იმის გამოსვლას ელოდნენ. უარამანი ზე აღზდგა ღვთის სახელი ახსენს და შიძიმედ მოირთო და საომარის იარაღით შეიჭურვა, ოქროს თაჯი თავსა დაიხურა და კარზედ გამოვიდა, უველანი დიდად შხიარულად დნენ, ვინც იქ აღამანნი იუვნენ, ერთმანერთს სიხარულით ეუბნებოდნენ: დღეს ჩვენის ქვეუნი მიწის დანახვა გვედისებაო.

აქ ფალანგსარ-ჯადოსან, სარვიხურამანისა, ეამარბანოსი და მუშთარი-ბანოს მოპარვა და უარამანისაგან მათ ქალთა სძებრად წასვლა.

**რ**ა ამ ფიქრში იუვნენ, სარვიხურამანის კარვის მხრიდამ ერთი დიდი ტირილისა და ყვირილის ხმა მოესმათ. რა უარამანმა ეს ხმა გაიგონა მსწრაფლად შესძახა, ღვთის გულისთვის შეიტყუებით ეს რა ამბავი არისო? რამტონიმე ფერაინს ქალები შეცვივდნენ, ნახეს რომ სარვიხურამანი იქ არსად იყო. მკერდ კარდახეულნი და თავ-შირ ცემით უარამანთან შემოცვივდნენ და მოახსენეს: წუხელის სარვიხურამან, ეამარბანო და მუშთარი-ბანო უჩინო შექმნილანო. იმათი შესამოსელი და იარაღნი იქავ არის და თვითონ აღარსად სჩანანო. რა უარამანმა ესე მოისმინა, საზარლად ამოიოხრა და სთქვა: „ვინ შენ ჩემო თავო! ამდენი ხანია იმ საბრალდო ქალების გულისთვის, რამდენჯერ დევებმა შიძინაკეს აღმოცატეს ჰაერში და ოკიანეს ზღვაში ჩამაგდეს, მაგრამ ღვთის მოწყალებით დევნი დაუხრცე და ისინი მოვარჩინეო. იმათის გულისათვის ქვივან-ნარამ ჭეიათის მინდორში ჯოჯოხეთის ორმომში ჩამაგდო, შვიდი დღე და ღამე თავდადმა ორმომში წისქვილის ქვასავით მივდიოდი, და ორი ნაწილი ქვესკნეთისა გავიარე და იმ ბნელს ორმომში ძლივს ჩავადწიე, მრავალი დევნი დაუხრცე, ღვთის ძალით და ისევ ზე ამოვადწიეო. ესენი სულ იმათის გულისათვის დავშუერო. ასე მეგონა რომ ჩემი ჭირები უველა დავსრულე მეთქი, მაგრამ ნახეთ ამა სოფლის ვითარებამ რა ცუდს დროს შემასწრო, რომ სევდა და ჭირი გამიძინეა“. ესე სთქვა და მტირეს ხანს დაფიქრდა, შაჭაა-შაჭამ და ყოველმა, საყელეები კარდაიხიეს და ტირილი დაიწიეს, და სთქვეს, ჩვენ ესრედ ვამბობდით რომ ამ შეჭირვებისაგან მოვრჩით, და ის კი არა კვალად უარეს განსაცდელს შევესწართო. „უარამანმა ზეგით აიხედა და საჰმანს უთხრა: „ჩემო გაჭირვების ტალკვესო! ეს რა მოგვევლინა?“ საჰმანმა მტირეს ხანს თავი დაჭკიდა დაფიქრდა და შემდეგ

უარამანს მოახსენა, ფაღვეანო, მე თქვენ აღრევე მოგახსენეთ რომ, იგი წვეულები რეჟალ-ჯადოს ძმა ფაღანგსარ-ჯადო, ამ არე-მარეში ბუდობს ხოლმე, ეს ალაგი ფერიებს წაართვა და ესაა აქ მკვიდრობს, მაგრამ იმ წვეულის ნამდვილი ბინა არაფერ იცის, ჩვენ რომ ქობულარ ხელმწიფემ „ისმიაზამის“ ძალით თორმეტნი დევნი დაგვიტოვა და უარუნ-შაჰას თილისმაში ჩავგვარა, იმ დღიდან აქამომდე ამის შიშით არა სულებს აქ ვერ გაუფლავ და ვერც ზე ფრინველი და ვერც ქვე ნადირი გაიფლავს. ახლა ჩვენ რომ აქ ერთად შეურიდები გვინახა, იცოდა რომ აქ თავის ჯარით ვერას გააწეობდა ჩვენთან, სწორედ ეს იმის საქმე იქნება. ახლა თქვენ რომ ეს რღენი ჯარები შეგოურათ, დასაბამიდან აქამომდე, ეს ამბავი არავის ჩაუდენია, ბრძანეთ წარვიდეთ ზღვა და ხმელეთი სულ მოვიაროთ, და თუ გავიგეთ რამ ამბავი უგულა მოგახსენოთ. საჰმანმა მაშინვე ორ-სამათასი ხვადი დევი სხვა და სხვა მხარეს გაგზავნა და თვითონაც ერთს მხარეს წარვიდა, კიდევ მეორე ღამეს შაჰზად-შაჰა, ზორაბ-შაჰა და სავზაბარის სულთანნი უჩინო შეიქმნენ, მაჰლაილ ავსთარ-დევი მოვიდა და უარამანს მოახსენა: „წუხელის შაჰზად-შაჰა და სავზაბარის სულთანი, და ზორაბ-შაჰა, უჩინო შეიქმნენ, ამ ამბავზედ უარამანი დიდად შესწუხდა და ბრძანა, მაჰლაილ წადი რაც შეუენი, ფაღვეანნი და სარდლები არიან იმათ ტანისამოსებზე და სამარ იარაღზედ და აღმებზედ. „ისმიაზამი“ დაწერიანო, მაჰლაილ წავიდა და როგორც უბრძანა ისე აღასრულა. მეორე უოფლის მოსვლის გზისაკენ უარაულები დააყენა. შემდეგ უარამანი ზე აღსდგა, დაშქარი სულ რაჟინდს და ჯიბილ-გაბარის სულთანს ბაჰმან-შაჰას მიაბარა, უათრან და ბარამ-ჯიბილი თავის მაკივრად დაადგინა, თვითონ კი შეშთაბარსა ამხედრდა და ქუი-უაფის მთისაკენ წავიდა.

უარამანმა მტერი ხანი იარა, ისეთი ადგილები ნახა რომ არც ბნელეთში და არც ჯიბისტანში ენახა, იმისთანა ადგილები და არა მტრედ მოიწონა, უარამანი თავისა შეშთაბარსა ქუსლი ჰკრა და დილის ნიავსავით მიდიოდა, რამდენიმე ხანი იარა და ერთი ნადირი ნახა, ისარი ჰკრა იგი მოჰკვლა. შეშთაბარიდან გარდმოხტა ერთს კარგს წელიან ადგილს, ცეცხლი აღაგზნო, მწვადი შესწვა და შეექცა. შეშთაბარი ბაღასზე მიუშვა, თვითონ დაწვა და მოსვენებას მიეცა, იმ ღამეს მუნ განისვენა, რა დილა გათენდა ზე აღსდგა, დიურთი ილოცა. და შეშთაბარს ამხედრდა და ერთის მხრისაკენ წარვიდა, თუმცა უნდოდა რომ თავის ჯარისაკენ დაბრუნებულყო, მაგრამ სთქვ: თავის გუნებაში, მათ დაკარგულთა ამბის შეუტეობლად დაბრუნებას, ამ გზაზედ ჩემთვის სიკვდილი შემჯობესიაო, ესე თქვა და მხეცი დასავლეთის მხრისაკენ გაბრუნა.

იმ ჟამად რომ უარამანმა საჰმანი, რინდ-ნარა და ანუაბუზ-ნარა, ორსი ათასის ხვალი დევით გაისტუმრა, დაკარგულთ ქალების საძებნე-  
ლად, ისინი თითოც მხარეს წასულიყვნენ, მრავალი ეძებნათ მაგრამ  
მათი ამბავი ვერა გაეგოთრა, გამობრუნებულყვნენ და ისევ ჯარში მო-  
სულიყვნენ და შეერთებულყვნენ, ენახათ რომ უარამანი იქ არ იმყოფე-  
ბა, იმათ დააპირეს რომ უკანვე წასულიყვნენ და უარამანი მოენახათ,  
მაგრამ მაჰლაილ-ავსარმა არ გაუშვა და უთხრა: ძმებო თქვენ ნუღარ წახ-  
ვალთ, იცოდეთ რომ ამ ჩვიდმეტს დღეს სააჰვირანს ვერავინ ნახავსო და  
აღარცა ვინ ჯარილამ დაგვაკლდებო, მათაც დაუჯერეს და აღარ წავიდნენ.

აქ უარამანისაგან ზღვის პირს მისვლა და უძანგის  
ცოლის დილაფრუსის გამოხსნა ზღვის კაცებისაგან.

**რ**ა უარამანი დასავლეთის მხრისაკენ გაემართა, შვიდი დღე და  
ღამე იარა მრავალი უცხო და უცხო საკვირველი ადგილები ნახა, და უან-  
გარიშო და საზარელი მხეცები იხილა, მერვესა დღესა ნახა რომ ერთს  
ხეში ცეცხლის მსგავსათ რაღაც ანათებდა, ახლოს მივიდა ნახა რომ  
ერთი საშინელი ვეშაპი იყო, ისრეთი რომ უარამანს ფარვან-ბარეუშის  
სამეოფს რომ ვეშაპი მოეკლა, (რომელიც უოველთვის ფარვან-ბარეუშს  
ბარტყებს უჭამდა), იმ ვეშაპზედ უდიდესი იყო. რა შემუთაბარმა იგი  
ვეშაპი დაინახა საშინლად დაიჭიხვინა, ტოტს ცემა დაუწყო და მიწას  
ბრდღვინვიდა. რა მან ვეშაპმან იგი ხმა გაიგონა დიდის გუშათის  
მსგავსი თავი აღიღო, ქურახანის ცეცხლის მსგავსად თვალნი აღნილა  
და უარამანს შემოუტოვა, რა უარამანმა იგი თავისაკენ მომავალი იხილა  
შემუთაბარლამ გარდახლტა და ესრეთ შესძახა რომ ცამ და ქვეყანამ  
ზრიალი დაიწყეს, და ისრეთის მრისხანებით წარვიდა იმ ვეშაპზედ,  
რომ თუნდა დევსა, ფერასა ანუ ქაჯსა ანუ აღამის ტომს, რომ ენახა  
ეგრეთ განრისხებული მისსა შეხედავს ვერ გაუძლებდნენ, რა მან ვე-  
შაპმან ისრეთი განრისხება ნახა, უჩინო შეიქმნა, რა იგი ვეშაპი ველარ  
დაინახა დიდად გაჰკვირდა და სთქვა: „უთუოდ ეს ერთი რამ კრძნეუ-  
ლება იქმნებაო, მერმე დუთის სახელი ახსენა, შემუთაბარსა ამხედრდა  
და თავის გზას გაემართა, ხუთი დღე კიდევ სხვა იარა და ზღვის პირ-  
ზედ მივიდა, რა მცირე ხანი გაიარა ერთი მადალი შთა ნახა, მას შთა-  
ზედ ერთი ფილაქნის კიბე იყო, ზევიდამ ზღვის პირამდინ ჩატანილი,  
მის კიბის დასასრულს ერთი მარმარილთს კოშკი იყო, ისრეთი მადალი  
რომ წვერი ცას შესწვდებოდა.

რა უკრამანმა იგი კოშკი ნახა, მხეციდამ ჩამოხტა, შევიდა დაიარა და დიდად მოეწონა, მას უკან ფილანქის კიბეზედ აღვიდა და მის ზღვის ნაშენობას უურება დაუწყო და დიდად მოეწონა, იგი კოშკი ზღვაში იყო გარდამდგარი და დიდი ხნის აშენებულ იყო, ერთობოდა რომ ძველთაგან იყო აშენებული, უკრამანმა მცირე ნადირის ხორცი სჭამა, რამინ-შაჰის ფარი თავით დაიდვა, დაწვა და ზღვისაკენ უურება დაუწყო, ნახა რომ ეს ზღვა აღელდა, ზღვიდამ საკვირველნი და საშინელნი ნადირნი გამოვიდნენ, ვეკლას თვითთ-თვითთ უცხო, ღამის მანათობელი თვალი ხელთა ეჭირათ და ავარვარებდნენ, ზოგნი ბაჯახსა სძოვდნენ, ზოგნი ხეზედ ავიდნენ და ხილს ჭამა დაუწყეს, ზოგმა კი მეჯლისი გამართეს. მცირე ხანს უკან ორმოცის მწურთის სიმაღლის მქონებულნი ზღვის ცხოველნი გამოვიდნენ, ზოგსა ღომის თავი ჰქონდა, ზოგსა ვეფხვისა, ზოგსა ძაღლისა და ზოგსა მამუნიისა. რა ესენი გამოვიდნენ ერთი ოქროს ტახტი გამოიტანეს, იმ ტახტის გარეშემო, იმტონი შამჩრადი დაანთეს რომ, მისი სინათლე ერთსა აღაჟსა დღესავით ანათებდა, მეორე ერთი კიდევ სამოცის მწურთის სიმაღლის მქონებულნი გამოვიდა, დათვის თავი ჰქონდა, ხელნი ვეშახის ტოტებს უგვანდა, მას უკან ერთი ადამიანის მზგავსი ოთხ-ფეხი რამ გამოჰყვა, ზედ ერთი აბანოზის კუბო იდვა კუბოს ოთხი მხარე მინისა ჰქონდა, ის კაცი მივიდა და მას მურასა ტახტსა დაჯდა. იგი კუბო მას მოართვეს და წინ დაიდვა. იმ კუბოდამ ერთი მთვარის მზგავსი და ტანადობით ადვის შესადარი ქალი გამოიყვანა, რომელსა მწუხარებისაგან ჰირსა ფერი აღარა ჰქონდა. რა უკრამანმა კარგათ თვალი დააკვირვა, იცნა რომ ქუი-ყამარის ხელმწიფის ქალი დილაფრუხ დედოფალი იყო, უშანგ რომ ქუი-ყამარის სულთანზედ მივიდა მაშინ ის ქალი უშანგმა თვისს ცოლად მიიკვარა, და ესე იგი უშანგის ცოლი იყო, ამასთან უშანგს ერთი შვილი ჰყვანდა სახელად არდევან-შაჰა ერქვა.

რა უკრამანმა ესე ნახა სთქვა, ვაი თუ მე რამე უაფის მთაში წამოვვალ უშანგ-შაჰას აწნეს ვინმემ რამე? მაგრამ სად ინდოეთის ქვეყანა და სად უაფის მთა: ესე სთქვა და თავში ხელნი შემოიკრა. ამ ზღვიდამ გამოსულთა ხადიმი დაიდეს და მეჯლისი გამართეს, დილაფრუხი კი სტიროდა, მისი ტირილი მათთვის ღებინი იყო, იმ ტახტზედ მჯდომის უთხრა: „ჰეი, დილაფრუხ! ვადა ხომ დღევანდლამდინ იყო, ახლა ჩემის დამორჩილებიას რას მეტყვი და ან რა მიზეზს? თუ ამას ფიქრობ რომ მოკეშელებს ვინმე, აქედან ადამიანთ ქვეყანა ოცის წლის სავალია და შენ ადამიანს ვეღარ ნახაშო. ამაღამ უნდა დამნებდეთ, თუ არა და ჩემის დემკრთი ფაღანგისარის მადლმა, ათას ნაჭრათ გარდაგაქცევო. დილაფრუხ-



მა მიუგო: „შე წყუელთ! თუ გინდა ასი ათას ნაჭრათაც რომ გარდამაქცო, მაინც ჩემგან შენი დამორჩილება არ შეიძლება!“ იგი განრისხდა და სთქვა: „ათხი ზალო დაურქეთ და შუაში ცეცხლი დაანთეთო და მას ზალოებზე გააკართ ეს ურჩი დიადო, ცეცხლში უნდა დაწვაო. რა მან მშენიერმან ესე მოისმინა, დიდად მწუხარე ღმერთს ევედრებოდა შეეღას.“

რა უარამანმა ესე მოისმინა, სთქვა: „ხედავ ის წყუელი რა ვნებას აძლევსო“. მსწრაფელ შავარდენისავით წამოფრინდა და გუნებაში იფიქრა, თუ აქედამ შეუტოო, ვაი თუ ის ქალი მომტაცონ და ზღვაში შეიფანონ, მაშინ უშანგს რაღა უთხრა, ან რა პირობა ვნახო. ძირს ჩამოეზარა, ზღვის მხარე დაუჭირა და იქიდან ესრედ შექუვირა რომ ზღვამ ღელვა დაიწყო და იგი არე-მარე სრულად შეიძრა, ხმა-ხელ მოკრულმან შეუტოვა. იმ ხმაზედ ვინცა ვინ ზღვიდამ გამოსულიყვნენ დიდად შეშინდნენ, ზოგნი ზღვისაკენ გაიქცნენ და ზოგმა მთას მიაშურეს. იგი ტახტზედ მჯდომი ესრედ შეშინდა რომ; იმ ალაგიდამ ვეღარ დაიძრა. უარამანმა მას ტახტზედვე მოასწრო და მკერდსა ისრეთი მუშტი დაჰკრა რომ სამჯერ გარდატრიალდა, ხელი სტაცა დაიჭირა, ორივე ხელნი მაგრად შეუკრა, სხვანიც რამდენიმე დახოცა, და რამოდენიმე დასტა-დასტად გაიქცნენ და ზღვაში შევიდნენ. დილაფრუზს რა იგი საშინელი ხმა მიესმა, ნახა რომ ერთი ადამიანი ზღვის მხრიდან მოიჭრა, ერთის მუშტის დაკვრით იგი ტახტზედ მჯდომი დაბნდა, შეკრა და დააგდო. რა კარგად გასინჯა ნახა რომ. ერთი მთვარის მზგავსი და უსწორო ფაღვეანი ადამიანი იყო. დილაფრუზი დიდად გამზიარულდა და სთქვა: ნეტარ ეს ვინ უნდა იყოსო? ნახა რომ უფლის გაჭირებულის მხსნელი, ზეროშილთა გამანთავისუფლებელი, უარამან-ყათილ საბაგიანნი იყო. რა სწოროდ იცნა მეტის სიამოვნებით უცნობო შეიქმნა. უარამანს დიდის თავაზით დილაფრუზმა თავი დაუკრა და ხელნი აუხსნა, დილაფრუზი უარამანს მოეხვია, შვილის მკზავსად შეიტკობო და უთხრა: ჩემო სიცოცხლეჯ უარამან, ღმერთმან უშენათ ჩვენ ნუ გვამოფოსო! რა უარამანი მართლად გასინჯა, დილაფრუზს დიდად მოეწონა, როდესაც უარამანი ენახა მას აქეთ ერთი ათასად გარდაქცეულიყო. ისრეთი იარაღები ეშოვნა რომ კაცის თვალი მისთანა იარაღს ვერ ნახავდა, — ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. მერმე უარამანმა მოახსენა: „დედოფალო! თქვენ აქ რომლის მიზეზით ჩამოვარდნილხართო? დილაფრუზმა უპასუხა: ფაღვეანო! თქვენ რომ შვილის ფერიით შავზალ-შავს მისაშველებლად წაბრძანდით, მესამე დღეს მე ხელმწიფეს დავეთხოვე; ქუი-უამარისაკენ ჩემი შვილი ათასის უფლებით წაველ, მიმავლობის უამს ერთს ალაგს დავდექით და იმ დამეს იქ დავიძინეთ. რა გამომეღვიძა ვნახე რომ

ამათთან ვიკავი, თერმე იმ ალაგს ფალანგსარ-ჯადო პატრონობს და იმას მოუპარავივარ, ის წყუელი თავის თავს ღმერთს ეძახის, ეს თქვენ რომ დაიჭირეთ და შეიპყარით, ეს ზღვის ხელმწიფე არის, და ამას სახელად მაჰმადიანობა, ამას ფალანგსარი ღმერთად სწამს და იმას ემსახურება, იმან მე ამას მიბოძა და შემდეგ შემომიგვეთა რომ, უეჭველად ამასთან დავწოდებოდა და ამის ნება აღმესრულებინა, — მზირდებოდა შემდეგ განთავისუფლებას, მეც ძალა უნებლიეთ შვიდი წელიწადი ვადა დაუდე, ისე რომ ამ შვიდის წლის განმავლობაში მეს არ უნდა მამკარებოდა, შემდეგ შვიდის წლისა თავის ნება უნდა აესრულებინა. ამათ ერთი სამყოფი აქვთ ზღვაში, დღე იქ იმყოფებიან და ღამე აქ გამოვლენ ხოლმე, იმისთანა ხასიათი აქვთ ამათ, როდესაც მზე ამოვა, თუ ზღვაში არ არიან და მზე ნახეს, მაშინვე დაიხრებიან, ამ ღამურაში რომ აუკუნენ კიდევ კათენდა მზე გამოვიდა და მან ზერობილმა დაიჭურაალა და მოკვდა.

როდესაც უარამანმა ესე ნახა, დიდად გაჰკვირდა და ღვთას განტებულებას დიდება შესწირა, შემდეგ დილაფრუზს ჰკითხა: „არ იცი ფალანგსარ-ჯადო სად ბუდობსო?“ დილაფრუზმა მოახსენა, ეგ კი არ ვიცი. საბუიარანო, ვმადლობ ღმერთსა, და მერე თქვენ რომ მე ამათ ხელიდამ დამიხსენ, მიბრძანე საბუიარანო, თქვენის აქ მობრძანების მიზეზი რა იყო? უარამანმა თავის თავის კარდასვალე ყოველივე წვრილად უამბო. ამისთანა ამბის სმენით დილაფრუზი დიდად შესწუხდა. უარამანმა დილაფრუზს დედოფალი თავის შემთავიბარზე შესვა, თვითონ ჯაჭვის კალთები წელში გაიმაგრა და წინ გაუძღვა, საში დღე და ღამე იარეს, მეოთხეზე, ერთი საშინელი მთა გამოჩნდა, რომ მის სიმაღლეს თვალი არ შესწვდებოდა, და მის მთის ძირსა მრავალი უცხო და უცხო მხეცნი და ნადირნი იყვნენ.

რა ესენი ნახეს მიმავალი, იმ მხეცთა ყოველმა ერთად საშინელი მწუხარების ღმუილ-წკმუტუნის ხმა აღმოუტყვეს და მომავალთა მომართეს, პირი მიწას გაუერთეს და ვედრებასავით დაუწყეს. დილაფრუზს და უარამანს ძლიერ გაუკვირდათ ამ ხიროტყვეების მოქმედება: „თქვა უარამანმა! ამ ადგილებში ადამიანის შვილი არ არის, რომ ესენი იმათ გაწვრთნათ! მაგრამ ძლიერ საკვირველებას ამათ მოქმედებოდა“. ესე თქვეს და წავიდნენ, რამდენიც წინ წადგნენ უფრო და უფრო გამრავლდნენ, მხეცთა და ნადირთა ისეთი ხმა გაამრავლეს—ვითა რომ ცხვარნი, ბატანთა შიგან დაეკრუნენ, დილაფრუზს დიდად შეშინდა ამ ამბავზედ. რა უარამანმა დილაფრუზს ესრეთ შეშინებულნი ნახა, ქეომარის ქამარი შეისხნა, დილაფრუზს შემოარტყა და მოახსენა: დედოფალი! ნუ გეშინიან! ვისაც ეს ქამარი ერთვას, იმას ვერც დევნი, ვერც ფერიანი და ვერცა ჯადონი ვერას აფ-

ჩებენო, ის დღე იარკეს და ერთს კარსა მიაღწენ, ის კარი გააღეს და ერთი უცხო სასახლე გამოჩნდა, რომ მის უმშვენიერესი ადარა იქნებოდა, სახელმწიფო ტახტი იდგნენ, გერცხლისაგან შექმნილნი, მას ზედა ფრინველნი ისხდნენ. რა ფრინველთა ესენი მისული ნახეს, ერთიანად საშინლად დაიჩხვალეს და ტრიალი დაიწვეს, მაშინ ერთი კიბე გამოჩნდა, მას კიბეს უარამანი და დილაფრუზი შეჭყვინენ და იმდენი იარკეს სანამდინ იგი კიბე დასრულდებოდა. რა იგი კიბე დასრულდა, მის კიბის თავსა ერთი ქვაბი გამოჩნდა და მას ქვაბისა შინა კიბე იყო გაკეთებული, მაგრამ იგი კიბე ასეთი განიერი იყო რომ ორმოცი კაცი ერთიანად სიგანეზედ კარგათ ავიდოდნენ. მის კიბის სიმაღლე ორმოცდა რვა ფეხი იყო, უარამანმა „ისმიაზამი“ სთქვა და თვით შესთავაზარს წინ გაუძღვა და მას კიბეზედ ავიდნენ. რა იგი კიბე დასრულდა. ერთი კიდევ სხვა ქვაბი გამოჩნდა და მის ქვაბისა კარზედ, ორი ბერი დევნი ისხდნენ, ორმოცდა რვა მწერთის შქონებულნი იუფნენ და ოკიანეს ზღვას თამაშის უუფრებდნენ.

რა უარამანი და დილაფრუზი დაინახეს, ორნივე ზე წამოდგნენ და დიდრონი ძელები ამ დიდრონს ქვაბებში გაუყარეს და ხელი მიჭვეეს, უარამანს შემოუტივეს! ერთი წინიდან მოუხტა და მეორე უკანიდან, ერთმა რომ მოუქნივა იგი ფარს აატანინა და მეორემ უკანიდან ბეჭებში დაჭკრა, მაგრამ ვერც ერთმა ვერა ავნორა, მას წინა დევს, ხმალი დაჭკრა და ბეჭამდისინ გააპო და კვალად მას მეორესა მოუქნივა, იგიცა შუა გაწვიოტა, ორნივე ძირს დაეცნენ. დილაფრუზმა უარამანს ქება შეასხა, შიგნით შევიდნენ ნახეს რომ ერთი გრძელი ქვაბი იყო, მარჯვნივ და მარცხნივ ოთახები იყო გამოჭრილი და უოფელსა რკინის კარებები უბა, რა უარამანმა და დილაფრუზმა იგი ქვაბი ნახეს დიდად გაჭკვირდნენ, კიდევ ერთის კაცის სიმაღლეზედ სხვა ქვაბი იყო გამოჭრილი და სულ ტიტველად ბებრებით იყო სავსე, მაგრამ ასე დაბერებულიყვნენ რომ, თვალები მწვანე მინას დამგზავსებოდათ, ისე რომ სიბერისაგან თავები მუხლიდგან ვეღარ აცდილებინათ. თურმე სულ ესენი ჯადონი უოფილიყვნენ, თავიანთ სიცოცხლეში ამ უკეთურობაში უოფილან, ჯადოებით უცხოვრიათ, ეს ალაგი მოსწონებიათ და აქ იმოფებინ, რამდენსამე ამ ჯადოს სული ამოსვლოდათ, ამ ქუი-უათის დევთა და გრძნეულთა თურმე ამათგან უსწავლიათ და ამათგან მიუღიათ გრძნება.

რა მათ ბებრებთა მათი ფეხის ხმა ესმათ, თვისნი შევირდნი ეგონათ, უველას სახელები დაუძახეს, „წუხელის რამდენი ადამიანი გინადინათო? მათი გულები მოგვიტანეთ რომ ვჭამოთო“. რა უარამანმა ესე მოისმინა საგდებელი შესტეორცნა და თვითთ თვითთ ჩამოყარა და დახო-

და, მას დღეს რიგგეგმით თრმოდდა ჩმიდმეტი ჯადო მოკლა. რა იგინი დახტა რკინის კართან მივიდნენ—და ის კარი დიას მაკარი იყო, ბეგრს ეტადა და დიდის შრთმით გაალო. რა იგი კარი გაალო, ნახეს რამ ერთი მშეენიერი და უცხო სსახსლე გამონდა, ისეთი რამ მის უმშეენიერესი აღარა ინახეობდა. მრავალი უცხო და უცხო სსახსვები იყო დასატული, იმ სსახლის საშუალო ერთი დიდი ტახტი იღვა და მის ტახტის გარკემო ღომისა, ვეფხვისა, და უცხო ნადირის ტყავებით დაფენილი იყო, მას ტახტზედ ქერთი სამოდდა ხუთი მწერთის სიმადლის მქანბელი ვინმე იწვა, თავი ვეფხვს უგავდა, უურები დათვსა, ხელები ღომის ტატებსა, შუბლი თხას, ფეხები სპილას, სამოდდა რვა კბილი ეშვობივით კარზე გამოეროლი, ისეთი კბილები რამ, თვითთ მტკაველი, აქვთიქით გაეშინათ წვეერებს, კბილებს ფერი იაკუნდისა ქქონდათ და ეძინა.

აქ უარმანისსაგან, უათრანის ცოლის უამარლუნის გამოსხნა და ფაღანგსარ-ჯადოს შეპერობა.

**უ**არმანმა ნახა რამ მას ტახტის ფეხთა ერთი მანათობელი ქალი რკინის ჯაჭვებით შეკრული და დაბმული. საწალო ქალსა ფერი ისე ქქონდა და მიხდილი შიშისაგან, რთორც ღიმონი. რა დილაფრუშმა ესე იხილა, შიშისაგან ზიხსა ფერი ამასაც შეეცვალა, თუბიღამ ჩამოხტა და უარმანს უკან მოეთარა, რა იმ ქალმა ესენი დაინახა დიდად გაცოდა და სთქვა—რამოდენი ხანია მე აქ ჯაჭვებით შეკრული ვიმყოფები და ამის მეტად აქ აღამანი არავინ მინახავსო, რა კარგათ დააკვირდა, ნახა რამ ერთი თრმოდდა ცხრის მწერთის სიმადლის მქანბელი, სამოდდა თრმოდის იარადით შეჭურვილი, ხედათ ბასრის ხდმის მჭერავი უმადლო კაცი, წვერი ახლად მოსვლად, რამედიც მას განრისხებულს იხილავდა მისის შიშისაგან გული გაუსკდებოდა. რა იმისთანა მშეენიერი ვაჟი ნახა, თვისი თავი დაავიწვდა და სთქვა—თავის გულში, ცოდვა არ არის რამ ამითანა ჭაბუკი, თავის უცოდინრობით განსაცდელს მიეცესო? აქ აღამის ტომი საიღამ შემოსულა, ამ წვეუელთანაო! რა ამ ფიქრში იყო, ნახა რამ ამ შეჭურვილის უკან, ერთი მშეენიერი ქალიც იყო მდგომარე, შემდეგ თავალი დააკვირვა კარგათ ნახა რამ, აგრეთვე მათ უკან ექვს ფეხოვანი და თხთ თვალოვანი მხეცი ჯაჭვით და მისის საომარი იარადით შეკაზმული იღვა. რა ის მხეციც დაინახა უარმანის შეშფაობას მამსგავსა, იმ უურებაში ცნობა დაეკარგა შიშისა და სიხარულისაგან, ხან იმას ამსგავსებდა და ხან სხვა რამეს, მაშინ ტირილი დაიწყო და სთქვა:

ნეტარ ღმერთო! სიზმარია თუ ცხადი — როგორც ვხედავ ეს ჩვენ უარ-  
მანის სახე უნდა იყოს, თუ ვტუუვდები და ჯაღოდ მანქანება არიანო?  
ცოტათ გონებას მოკეო და კვალად თვალი დააკვირვა, ქალიც იცნო,  
უშანგ-შაჭის სათუნი, ქუი-ყამარის სუფთის, ფარიშხანის ქალი დაჯა-  
ფრუზი. უშანგ-შაჭამ ქუი-ყამარს გაგზავნა და იქიდან რომ დაიკარგა ის  
არისო სწორეთ. როდესაც გუფს დაჯერა და კარგათ იცნო სამივენი,  
ერთი მწარეთ ამოიხრის და სთქვა — „უოფლის შეწუხებულის ნუგეშო და  
ჩემის თვალის სინათლევ, ფაღვეანო უარმანი თქვენა ხართ თუ რა გა-  
მომეტხადა თვალში? უარმან კიდევ შენ მოესწარ, ჩემ ფრინველისაგით  
ამამსველელ სუფსა“! ესე შესძახა და კვალად შებნდა.

რა უარმანმა თვისი სახელი გაიგონა იმ ქალისაგან, დიდად გაჭ-  
კვირდა, მსწრაფლად წინ წარსდგა და ჯაჭვით შეკრული ქალი შტანთა-  
ვისუფლა ტუუვობილამ. უარმანმა და დილაფრუზმა მამინ იცნეს რომ  
იგი ქალი, ქეივან-შაჭის ქალი უმარლუხი იყო, ერთრანის ცოლი. დილა-  
ფრუზს ძლიერ გაეხარდა, მივიდა და მისი თავი კალთაში ჩაიღვა და  
ტირილი დაიწყო. რა უმარლუხი გონებას მოკეო, თვალნი ადახილას  
ნახა რომ თავი დილაფრუზის კალთაში ედგა, და უარმანი ფაღანგსარს  
თავს ადგა. უმარლუხი მსწრაფლად ადგა და სიუყარულთ მიესალმა და  
გამარჯობა მოახსენა — უარმანმაც თავი დაუკრა. რა ორნივე ხელმწიფის  
ქალები ფაღანგსარს შეხედავდნენ, შაშისაგან ცნობა მიეხდებოდათ, რა-  
დესაც უარმანს შეხედავდნენ ისევ გონებას მოვიდოდნენ. იმ წუთულ ფა-  
ღანგსარს ისე ეძინა რომ ამათმა ესოდენმა ლაპარაკმა ვერ გამოადვიდა.  
დილაფრუზმა უთხრა უარმანს — სააბიარანო, ღვთის მოწყალებით სანამ  
სძინავს რატომ არ მოჰკვლავ მძინარესო?

რა უარმანმა ესე გაიგონა, გაიცინა და უთხრა, ამისთანები რომ  
მძინარენი დამეხრცა, რა სააბიარანობა იქმნებოდაო? ფაღვეანობის წუში  
არ ჩამეთვლებოდა, მუხთლათ სიკვდილი ფაღვეანთ წესი არ არისო. ესე  
თქვა, და ღვთის სახელი ესრეთ დაძახა რომ, იმ საშინელა ხმისაგან,  
ის კლდე და არე-მარე, სრულებით შეიძრა, ისე რომ შეორეთ მოსვლის  
ხმას ჰგვანდა. რა ამ ხელმწიფის ქალებს ესეთი საშინელა ხმა ესმათ უა-  
რმანისაგან, დიდის გაოცებით ღმერთს მადლობა მისცეს, და სთქვენს:  
„ღმერთო, მადლობა შენთვის, რომ ერთას კაცისათვის ისეთი ძალი მიგიცია,  
რომ ამისთანა საშინელ ალაგს, უშიშრად შენს სახელს გამოაცხადებსო“.

იმ ჟამად უარმანის ყვირილის ხმაზედა ფაღანგსარ-ჯადოსანც გამო-  
ედვიდა და თვალნი აახილას ნახა, რომ უარმანი და ორნი ქალნი, უარმ-  
ნის საჯდომი შეშფაობრით იქ იდგნენ, დიდად შაშინებულმა ფაღანგ-

სარმა ერთი დიდად, შეჭკივლზე ზე ახლტა და მრავალის ეშმაკობით საესე მინები ჰქონდა მომზადებული იქით და აქეთ, მათგან ერთს მინას ხელი მიჭყო, და ურამანს ესრელა, ის მინა ძირს დაეცა და მრავალნი გველნი და გუშაბნი გამოცვივდნენ იმ მინიდან, და ყველამ ურამანს შემოუტივეს რა ურამანმა ის ეშმაკულება ნახა, მაშინვე „ისმიაზამის“ ღოცვა თქვა: შებერა იმ ჯადოსა და იგი ჯადონი განქარდნენ. რა ფაღანგსარმა თავისი ჯადო განქარებულად ახილა, დიდად შეშინდა, განკისხდა და თვისსა მძიმეს ლახტსა ხელი მიჭყო და ურამანს მოუქნივა. ურამამა მის მოქნეულსა ლახტსა ხმალი მიაშველა, და მისმა მოქნეულმა ლახტმა ურამანს ვერა აწორა, მერმე ურამანმა ფაღანგსარს ასეთი სილა შემოჭკრა, რომ შვიდჯერ ურამანს კარდატრიალდა, და დაეცა, მისწვდა და იმ ორის ფარის ოდენი უურებით ასეთი მოზიდა რომ ხეთა ფურცელთაებრ თროლდა დაიწყო, და გველივით კლავება შექმნა, შემდეგ თვისის ქამანდით მაგრა შეკრა, რომელიც ის ქამანდი ვეშის ტყვისა იყო, (რომელიც ურამან-ბარეუშს მართვეთა უჭამდა, იმ ვეშისა იყო), რა შეკრა და „ისმიაზამი“ ღოცვით ძირს დააგდო, შებერა ხელი მოჭკრა ზე წამოაყენა, დიდის მინარის მსგავსი. რა ამ ქალებმა ურამანისას ესეთი სიმხნე ნახეს. დიდი ქება შეასხეს, და ზირ-მიწა გაერთებით ღმერთს მადლობა მისცეს შემდეგ მოუხტა უამარლუხი და ფაღანგსარს თავს მრავალი სცემა და სამ-ოთხ ალაკას გაუტეხა, ამაზედ ურამანმა სიცილი დაიწყო, და უთხრა: უამარლუხ მაგას ეგეთის მცირე დაკოდლობით ვერას აწნებო, მინამ ხლმით არ დაჭკიეოგო, ამ ლაშარაკში ერთი მწარის მწუნარების ხმა მოესმათ, უფრო ის ხმა ადამის ტომისას ჰკვანდა, მობრუნდა ურამანი, ფაღანგსარს უთხრა: „სარკიბურამან და მუშთარი-ბანო რა უყავო? ისინი გვიჩვენე და შენ ადრე დასდე რომ შენ სიცრუხლეში ჯადო ადარ შექმნა, და შენ განგათავისუფლებო“, ფაღანგსარმა მიუგო ზასუხი: „ფაღევანო, მე ისინი დავხოცეო, ჩემის ძმის აზრად-ჯადოს მაგავრათაო და იმისი სისხლი ავიღეო“. რა ურამანმა ამათი დახოცა მოისმინა, ერთი მწარეთ ამოიხსრა და თქვა: „გავი თუ ამ წყეულის სიტყვა მართალი იეოს, ვაჭ, რა ტყვილად დავშვერ და ტყვილად ვეწვალე, ჩემმა ამდენმა ამაგმა ტყვილად ჩამიარაო, მაგრამ ამ წყეულის სიტყვა დასაჯერი არ არისო.

აქ ურამანისაგან სარკიბურამანისა და მუშთარის განმოსხნა, ფაღანგსარ-ჯადოს საპერობილედამ.

ამ უამად კვების ხმა გამოვიდა, ურამანმა თვალი მიაგლ-მოავლო

და ერთი რკინის კარი დაინახა, იმას უური დაუგდო ცაიგო რომ იმ მწუხარების ხმა სწორედ იქილამ გამოდიოდა, მსწრაფლად იმ კართან მივიდა, ცაღის ხელთ ფაღანგსარი და ცაღის ხელთ ქეომარის ლახტი ეჭირა, შემოჭკრა ლახტი და იგი კარი დაღწია, შიგან შეიხედა ნახა რომ, ასეთი ბნელი იყო რომ კაცის თვალს იმაზე უბნელესი არა ენახა რა. იმ ლახტს ბუდე წაჭყარა და იმ ლახტიდამ ასეთი სინათლე გამოჭკრთა, რომ იგი ბნელი ალაგი დღესავით გაანათა, შევიდა უარამანმა ნახა რომ, ორნი კაცნი თავჭვე ეკიდნენ. რა ახლოს მივიდნენ, გაშინჯეს: იცნეს რომ ერთი შაჭხალ-შაჭა იყო და მეორე ზორაბ შაჭა, მსწრაფლად მივიდა უარამანი, შემოჭკრა თავისი ჰირ-ბასრი ხმალი და ჯინჯილები დააწევიტა, მანამ ძირს დაეცემოდნენ შეაშველა ხელი და ხელთ დაიჭირა, ალაგზედ დაცემა აღარ აკადრა, ნახა უარამანმა რომ მცირეს ტუსადობით ფერი მიხლოდათ. შაჭხალ-შაჭა გონებას მოეგო და უთხრა: საბუირანო, შენ აქ რომელმა დმერთმა მოკიუვანაო? ზორაბიც გონებას მოეგო, უარამანი დაინახა თუ არა ჰირ-მიწა გაერთებით დმერთს მადლობა შესწირა, მოიხედა უკან და ორი ქაღი დაინახა, მუშთარი-ბანო ეგონა, თვალი დააკვირდა ნახა რომ მუშთარი არ იყო, შემდეგ უარამანს ჭკითხა — საბუირანო, ფაღანგსარ-ჯადოსი რა იცით? შემდეგ ზორაბი კარგათ დააკვირდა ნახა რომ ის წეუული ფაღანგსარ-ჯადო შეპურობილი ხელში ეჭირა ხელებ შეკრული უარამანს, როდესაც ფაღანგსარი ხელშეკრული იხილეს, ძლიერ გაიხარეს, ქება შეასხეს, უარამანმა იმათ ჭკითხა, სმასლაანო, ქაღების ამბავი იცით რამა თუ არაო? ზორაბმა მოახსენა: არაფერი არ ვიცითო, ეს წეუული ჩვენი სატანჯველათ რომ შემოვიდოდა ხოლმე, შემდეგ იმ კარიდამ ძირს ჩავიდოდა და ის კი არ ვიცით იქ რას იქმოდა და ან რისთვის ჩადიოდა. უარამანი მაშინვე იმ კარს მიაღება ნახა რომ ერთი კიბით ჩასავალი ბნელი ორმო დახვდა და ზედა ერთი დიდი ფიქალი ეხურა, იგი ფიქალი შორს გადააგდო, ცაღის ხელთ ფაღანგსარი ეჭირა და მეორე ხელთ ხმალი მიიტა, ჩავიდა ნახა რომ ორმოცდა რვა ფეხმდის ჩასასვლელი კიბე იქნებოდა, ქაღებიც თან ჩაჭყუნენ, უარამანის საჯდომი მხეცი კი ზევით დასტოვეს, რა კიბეს ჩასცილდნენ, ნახეს რომ ორი ქაღი თმებით ეკიდნენ. როდესაც ახლოს მივიდნენ ნახეს რომ, ერთი უარამანის სატრფო სარფიხურამანი იყო და მეორე მუშთარი-ბანო. უარამანმა რა ესენი ამ უოფით იხილა, დიდად განრისხდა: მობრუნდა, ფაღანგსარს ასეთი სილა გააკრა რომ, რვა კბილი ჩაუმსხვრია, მსწრაფლად მივიდა და ორნივე ჩაიხსნა, ნახეს რომ საცოდავებს ორივეს გონება დაჭკარგოდათ, ერთი უამარლუხმა ჩაიწვინა კალთაში და მეორე დილა-

ფრუშმა, საბუიროანო, ეს ჩვენი საწვიხურამანი არისო, ეს მეორე მნათობი ვილა არსო? ურამანმა უმსუხა: იგი ჯინისტის სუფთის ზოკაბ-შაჰის ცოლი მუშთარბანო არისო. როდესაც საწვიხურამანი გონებას მოკეო, თვალი ახილა ნახა რომ დილაფრუშის კალთაში თავი უღევს. ზე აღსდგა დააკვირდა და იცნა დილაფრუში, მაშინ თავი დაუკრა და ესე მოახსენა: „ბანოვანთა უწარჩინებულესო დედოფალო! შენ აქ საილამ აღმიჩნდი? შემდეგ მუშთარბი გონებას მოკეო. როდესაც ურამანბი იხილეს და ფაღანკსარ-ჯადო ხელშეკრული, ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს.

ურამანბაც ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: „გმადლობ გამჩენო უფალო, რომ ესენი საღსაღამათო მანოვინე და ჩემი ამოდენა შრომა არ გამოცუდო“. შემდეგ ურამანმა ის ადგილი დათვალიერა ნახა რომ, იქავ ახლო, ერთი რკინის კარები გამოჩნდა და ზედ ერთი ფოლადის რკოლი ება, და რკოლი ჯაჭვით გამოკრებული იყო. ურამანი მიაიდა და რკოლს გამოსწია და იგი კარი სრულიად დაღეწა, შევიდა და ვეელანი თან შექვევინ, ნახეს რომ იმ სახლის საშუალ ალაგს, ერთი ორმო არის, და იმ ორმოს ერთი ფიქალი ხუკავს. ურამანმა იგი შოკს გარდაგდო, ჩავიდნენ ნახეს რომ ძლიერ ბნელოდა, მაშინ ურამანმა ქომარ ხელმწიფის გურში ამოდო ბუდილამ და მით ჩანათა, ნახეს რომ ერთი რკინის კიბე იყო ჩასასვლელი, ჩავიდნენ, მიიხედეს-მოიხედეს ნახეს რომ მრავალი ოთახებივით იყო გამოჭრილი, ვეელას კარები ება. რა უური მიუგდეს კარებებს, გაიგეს რომ ერთი რაღაც კვნესისა და გმინვის ხმა გამოისმის, იმ კარებებს რკოლები ჰქონდა ვეელას— და შიგ ჯაჭვები გაურილი, ურამანმა რკოლებს ხელი მიჭყო და გამოზიდა, მაშინვე ვეელა კარებები გაიღო, ნახა რომ საშინელი ცუდი ჰაერი იყო აურთლებული, და ძლიერ ცუდი საზურობილე, რა ისეთი ბილწი საზურობილე ნახეს, ვერავინ ვერ გაბედეს შიგ შესვლა ურამანის მეტმა, ნახა რომ იმ ჯურღმულში რამდენიმე ვეშაპის მსგავსნი ფაღანნი, დიდრონის ჯინჯილებით და ჯაჭვებით შეკრულნი იყვნენ, ამათ გარდა ნახეს რომ ოთხნი მთვარის მსგავსნი ქაღინი მათთან დაბმულნი.

ურამანმა იგინი, ბანოვანნი მოიხმო თავისთან და ჩვენი უოგელნი იქ ჰურობილნი, მათ ურამანს დიდი ქება შესახეს და მის მეფნიერებას აქებდნენ. ურამანმა თვალი დააკვირვა ნახა რომ ერთი ჰურობილთაგანი შარბ-შაჰას შვილ ხოსროვირს ჰგავდა, რომელიც უსწორო ფაღეგანი იყო, რომელიც ურამანს შეედრებოდა, შემდეგ ბაჰმან-ასფარელი ნახა. რა ესენი ურამანმა ნახა, ერთი მწარეთ ამოიხრა და დაძახა: „გაი შენ



ჩემი სიხარული ძმაო ხოსროვირ, ეგ რა ამბავია შენს თავსა? სარ-  
ფიხრამანმაც თავ-პირში შემოიკრა და მწარეთ ამოიხსრა, მეორეს შეხე-  
და ნახა რომ თვისი ბიძის ქალი, სარჯანისა, გულჩინი იყო და მეორე,  
გურგან-ბელად-ქამანის ქალი გულრუხი იყო. მესამე ქეთან-შაჰას ქალი,  
სურხარავარდ, მეოთხე, გვა-შაჰის ქალი ფარხუ-შაჰადი იყო. სარფიხრამ-  
ანმა იმათ ხელები დაუსხნა, ისე დასკებულ იყვნენ რომ ჰერობილობისა-  
გან აღარც ერთს გონება აღარა ჰქონდათ, დაბნედილნი იყვნენ. რა ესენი  
ამ გვარად იხილა, უარამანმა მრავალი იტირა. შაჰვალ-შაჰამ და ზორამ-  
შაჰამ ჰკითხეს, ფაღვეანო ესენი ვინ არიანო? უარამანმა უბასუსა: „ფე-  
რიათ ხელმწიფევე, მაშინ რომ შეიღი ფერია გამოგებ ზაფხათ ჩემს წასა-  
ვენად თქვენთან, მე თქვენთან წამოველ ესენი უშანგ-შაჰასთან გაუშვი და  
ახლა აქ ვხედავ ამათ, არ ვიცი რა ამბავიაო“. ამათ ლაშარაკში ჰერო-  
ბილინც გონებას მოეგნენ. როდესაც ხოსროვირმა თავისი თავი გან-  
თავისუფლებული იგრძნო, ურთი დაუტოლო და ლაშარაკის ხმა გაიგონა,  
მაგრამ ვერ გაარჩივა სისუსტისაგან. მაშინ ხოსროვირმა ერთი ასეთი  
ამოიხსრა რომ, იმ საზურობილეში, იმ ოხვრის ხმისაგან სულ რევეა და-  
იწყო, და თქვა: „ვაჰ, ჩემ ფაღვეანობას რომ ჩემი საწადელი, მეორეთ  
მისვლამდის დამჩნაო“. ძმაო უარამან, ნეტავი შენი მშვენიერი სახის  
ხილვა კიდევ შედიხარება თუ არაო. ან ეს ჩემი მწუხარება იცოდე შენ,  
რომ ამ ჩემ ტანჯვისთვის თავი დასდვა და მე აქედამ დამიხსნა, მე ხომ  
ვიცი შენგან ჩემი სიუფარული, ვგონებ შენ ჩემის გულისთვის შენს თავს  
განსაცდელში მისაცემად არ დაზოგავდიო. ესე სთქვა და ატირდა, და  
თვალთაგან მარგალიტის მსკავსი ცრემლები გადმოუარა, მაგრამ ჯადოს  
გრძნობისაგან თვალები დამდგარი ჰქონდა და თვალთ ვერასა ჰხედავდა.  
როდესაც უარამანი და სხვანი, საზურობილეში შევიდნენ, იქ ჰერობილ-  
თა ფაღანგსარ-ჯადო ეგონათ, ფაღანგსარს ისეთი ჩვეულება ჰქონდა რომ  
ორ დღეში ერთხელ შევიდოდა და სატანჯველს მოუმატებდა. ჰერობილთა  
ფაღვეანთა ახლაც ისე ეგონათ, რომ ჩვენის ტანჯვისთვის მოვარა. რა  
გულჩინმა ესეთი მწუხარების ხმა გაიგონა ხოსროვირისაგან. გულსა  
ცეცხლი მოედვა და მდუღარე ცრემლი გადმოუარა—და თქვა: „გულისა  
ჩემისა სიხარული და თვალთა ჩემთა ნათელი, დიდის ხელმწიფის შვი-  
ლო, უსწორო ფაღვეანო, ხოსროვირ! დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩემ-  
თვის, რომ მე, შენის ჭირის სანაცვლო შეგქმნილიყავ და ანუ ესლაც  
შევიქმნა, და მე შენი ეკეთი მწუხარების ხმა ურთო წარ შემესმოდას,  
ან ეს წიუელი, კანის ხორცს არა სჭამს? რომ მომკლას და მოგჩე  
ამოდენის შენის მწუხარების ხმის სმენისაგან“. რა „ხოსროვირმა გულ-

ჩინისაგან ესეთი სიტყვები გაიგონა, უნამეტნავათ ჭირი მთემატა და უთხრა: „საუფარულო გუღჩინი შენგან ეგეთი ლაპარაკი ჩემთვის უნამეტნავესი მწუხარებაა და სატანჯველია! ჩემი შვიება და ათასი სიხარული ის არის, რომ, შენ აქედამე განთავისუფლდე და ამ წყეულის საპურობილეში არ მეგულებოდეო“. რა ბაჭმანასთარელმა ესე მოისმინა, წარმოსთქვა: „ჭუი შენ წყეულო ფალანჯსარ ამდენი ჩვენის ტანჯვისთვის, როგორ არ შეგცნება და ან ეს ხელმწიფის შვიდი როგორ არ გებრალება? წყეულო! გიხვეწები, რაც მაცისთვის სატანჯველი გსურდეს, მაგის მაგივრად ჩვენა გვტანჯე, ხომ იცნ მაცას ხელმწიფენი როგორ ნებივრათ და სათუთობით ზრდიდნენ, რომ ვარდის კონასაც არ ესროდნენ რომ არ ეტყინოსო. სატანჯველი აკმარე, ან ხელმწიფის შვილობით შეიწყინარე ან საცოდაობით“. ესე სთქვა და გულთა და ღვიძლთა მწუხარების ხმა აღმოუტყვა.

როდესაც ესე ლაპარაკი უარამანმა მოისმინა, მიხვდა რომ ფალევანთა თვალები ჯადოსაგან დაუენებული ჭჭონით და თურმე ვეღარას ხელდადნენ. უარამანი ამ სიტყვების გამგონი დიდად შესწუხდა, ასე რომ სინჯობს ჯადო შერჩა, მსწრაფდ მივიდა, ფალევენებს ჯინჯილები დაუღწა, ხელები დაუხსნა, ხოსროვშირს ტირილით გარდაჭკოცნა, მკერდს მიიკრა უარამანმა, ხოსროვშირი და ესე უთხრა: მუჭლეილან-შაჰას შვილო, უმანგის ძმის წულო, ჩემო საკუთარო ძმაო, ხოსროვშირ, ნუ სჭმუნავ მე ვარ შენი ძმა უარამან უათილი სააბუირანიო, რა ხოსროვშირმა უარამანის ხმა იცნა მეტის სიამოვნებისაგან დიდხანს გაოცებული იყო. რა გონებოხ მოეგო გარდაეხვია და შუბლსა აკოცა, და უთხრა: ყოველთა სააბუირანთა უმადლესო და ყოველთა ფალევანთა მჯობო, ფალევანო უარამანი დიდის ამაღლებულის უმანგ-შაჰის და ჩემო საუფარულო ძმაო უარამანი ვაჭ, ჩემსა სინჯობს რომ თვალთა სინათლედ კი აღარა მაქვს რომ შენი უსწორო და მშენიერი სახე მაინც დავინახო და შენის ნახვით ჩემი თავი ვაცოცხო. რა ესე სახუკარი ტკბილი საუბარი ესმა უარამანს. ხოსროვშირისა: გუღჩინი დიდს მხიარულებას მიეცა და ჭკითხა: მაღლის ხელმწიფის შვილო ხოსროვშირ! ძლიერი ფალევანი და ჭკეუნისა შემაშინებელი, დევთა და ქაჯთა ამამწევეტი, ყოვლისა სააბუირანის უმჯობესი სააბუირანი, უარამანი ეგ არისო! ხოსროვშირმა მიუგო ეს არისო? ეს ჩვენთვის უნამეტნავესი ცუცხლი არის, რომ თვალები რატომ არ გვაქვს რომ ამისი მშენიერი სახე დავინახოთ. რა სხვათა სძასალართა და ფალევანთა, საპურობილესა შინა მუთფთა, უარამანის იქ ყოფნა შეიტყეს, მეტის სიხარულისაგან უცნობო შეიქმნენ, ჰირს ხან ფერი ეფუჯებოდათ და ხან მზის მსგავსად გაუბრწყინდებოდათ, გონებას ვერ მო-

